გადამწყვეტი შემოდგომა და პოლიტიკური რისკისთვის მზაობა A2

სანამ ისევ დავიბომბებით... A2

რა სურს ხელისუფლებას - რეფორმები თუ არსებული სიტუაციის დაკონსერვება A3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 17 აგვისტო, 2002 წელი. №76

ფასი 50 თეთრი

## ამერიკელი კონგრესმენი სტუმრად მთავრობაში...

თამარ ხორბალაძე

ივლისი და აგვისტო საქართველოში ამერიკელი კონგრესმენებისა და მაღალი სამხედრო ჩინების გახშირებული ვიზიტებით აღინიშნა. არსებული ინფორმაციით, ორშაბათს საქართველოში აშშ-დან ახალ სტუმრებს ელიან.

ასეთი ინტერესი საქართველოსადმი, რუსეთ-საქართველოს შორის მეტისმეტად გამძაფრებული ურთიერთობების ფონზე, კიდევ ერთი დასტურია საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერისა, კიდევ ერთი გამაღიზიანებელი ფაქტორი რუსეთისთვის და გარკვეული გარანტია საქართველოსთვის.

სხვათა შორის, საქართველოს ხელისუფლებისადმი აშშ-ს მხარდაჭერის საბუთად თამამად შეიძლება გამოდგეს გუშინ უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ ელექტროენერგიის ტარიფთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებაც. მთავრობას ელექტროენერგიაზე გაზრდილი ტარიფის სხვაობის დაფარვის საშუალება ისევ აშშ-ს ფინანსური დახმარების წყალობით მიეცა.

ხელისუფლების პოლიტიკისადმი მხარდაჭერას ადასტურებდა გუშინ, მთავრობაში გამართული შეხვედრების შემდეგ, ამერიკელი კონგრესმენი, დემოკრატი ტეხასის შტატიდან, ლოიდ დოგეტი. იგი, მეუღლესთან ერთად, საქართველოში 13 აგვისტოდან იმყოფება.

კონგრესმენი საქართველოში შეხვდა პრეზიდენტს, სახელმწიფო მინისტრს, ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს, გარემოს დაცვის მინისტრს...

ვიზიტის თემები გახლდათ ადამიანის უფლებების დაცვა, ორმხრივი თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში, გლობალური ომი ტერორიზმის წინააღმდეგ, საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა, ეკონომიკური თანამშრომლობა.

გუშინ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრიდან გამოსულმა კონგრესმენმა განაცხადა, რომ საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თემას. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ აშშ აღიარებს და პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მხარეებს თავშეკავებისკენ მოუწოდებს.

**"აშშ-სა და რუსეთს შორის დღეს მეგობრული ურთიერთობებია დამყარებული. იმედს გამოვთქვამთ, რომ ასეთი ურთიერთობები იქნება თქვენს ქვეყნებს შორისაც,"** - განაცხადა მან.

თუმცა, საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერასთან ერთად, შიდაქართული მოვლენების გამო, იგივე ხელისუფლება კონგრესმენის კრიტიკას ვერ ასცდა.

საქართველოს პრეზიდენტსა და სახელმწიფო მინისტრთან ამერიკელი კონგრესმენის შეხვედრების ერთ-ერთი მთავარი თემა გახლდათ რელგიური უმცირესობების დაცვის თემა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კონგრესმენის ვიზიტს დაემთხვა კასპის რაიონში ამ დღეებში განვითარებული მოვლენები, ცხადი გახდება ის სიმწვავე, რომლითაც სტუმარი შეხვედრებზე ამ თემას აყენებს.

საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის თემა გახლდათ ასევე პრესის თავისუფლების საკითხი.

**"მე ვიცი, რომ საქართველოში პრესა დამოუკიდებელია და იმედი მაქვს, რომ ეს ასეც გაგრძელდება,"** - განაცხადა კონგრესმენმა.



*კონგრესმენი და საქართველოში აშშ-ს ელჩი პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ*

ბესო გულაშვილის ფოტო

## ვინც ახლოს იცნობს შევარდნაძის მოღვაწეობას საქართველოში, ნაწილობრივ იმედგაცრუებულია

ინტერვიუ დემოკრატ კონგრესმენ ლოიდ დოგეტთან

ეკა კვესიტაძე

შოთა უტიაშვილი

**- მას შემდეგ, რაც რუსეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობები დათბა, ყველა ელოდებოდა საქართველოსა და რუსეთს შორის, სულ მცირე, დაძაბული სიტუაციის განმუხტვას. თუმცა, სულ ახლხან პანკისსა და კოდორის ხეობაში ხელახლა შექმნილი პრობლემები საპირისპიროს მეტყველებს.**

- ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაა. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის მოგვარება ყველას ინტერესში შედის. მაგრამ იმისათვის, რომ ეს ურთიერთობები გამოსწორდეს, მხოლოდ ერთი მხარის ძალისხმევა საკმარისი არ არის. აუცილებელია ორივე მხარის სურვილი და მონდომება. მჯერა, ჩვენი მთავრობა ისევ განაგრძობს რუსეთის დარწმუნებას იმაში, რომ საქართველოსთან ურთიერთობების დარეგულირება თავად რუსეთისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩვენ შეშფოთებულნი ვართ რუსეთში არსებული ვითარებით. ძალაუფლების კონცენტრაცია მცირე

გაგრძელება A8 გვერდზე

## პაატა ბლუაშვილი: "ჩვენ მხოლოდ თავს ვიცავთ"

"ჯვარი" "იეღოველთა" დარბევას აღიარებს

მაია მოსიაშვილი

*გორსა და კასპში "იეღოვას მოწმეთა" კონგრესისათვის მომზადებული ადგილების დარბევაზე პასუხისმგებლობა პატრიოტულმა ორგანიზაციამ "ჯვარმა" თავის თავზე აიღო. "24 საათი" ორგანიზაციის ლიდერს პაატა ბლუაშვილს ესაუბრა, რომელმაც დაადასტურა, რომ დარბევაში მისი ორგანიზაციის წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას.*

- სამი კვირის წინ მივიღეთ ინფორმაცია, რომ ეს ჭია-ღუები მარნეულში, 13-15 სექტემბერს, კონგრესს ატარებენ. ჩვენ საპროტესტო განცხადებით მივმართეთ ეუთო-ს წარმომადგენლობას, ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის ელჩებს, შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრებს, გენერალურ პროკურორს და თავად იეღოველების ცენტრალურ ოფისსაც. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ამ სექტის წარმომადგენელთა მიერ ხატები დაიწვა მეჯვრისხევში, მუხიანში, ზუგდიდში, კასპში. რუსთავში სამჯერ გაიქურდა ეკლესია, თბილისში მოძღვრის მეუღლე შეურაცხყვეს - ამას ჩვენ ქართველი ერის შეურაცხყოფად მივიჩნევთ და დაუშვებლად მიგვაჩნია კონგრესის ჩატარება.

ჩვენი განცხადების პასუხად, ზედიზედ ორი კონგრესი დაინიშნა, კასპში და გორში. ჩვენ გვყავს ჩვენი ხალხი მაგათ ორგანიზაციაში და ინფორმაცია მათ მოგვაწოდეს. მოძალადეები რომ ვყოფილიყავით,

გაგრძელება A8 გვერდზე

თბილისში ვითარება სტაბილურად გაურკვეველია A3

მოსკოვიდან უფრო ახლოს მოჩანს აფხაზეთი A3

ფრიდომჰაუსი : საქართველოში დემოკრატია რეგრესს განიცდის A5

ელექტროენერგიის ტარიფის ბედი ორ კვირაში გადაწყდება A6

დაბინძურებული მდინარეებიდან ფირნიშები მოიპარეს A6

გატაცებული სამხედროს ძიებამ მხარეები შეაკავშირა A7

გვინდა, მათ რამე დავუშავოთ", - ასეთია მომჩივანთა მიზანი A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | |
| ქუთაისი | 29 | |
| ბათუმი | 26 | |
| სოხუმი | 26 | |
| ფოთი | 26 | |
| თელავი | 28 | |
| ზუგდიდი | 28 | |
| გორი | 26 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.179 |
| ევრო | 2.1473 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3406 |
| რუბლი | 0.0693 |

## "სელფორდ" -"ტელენორის" "პიარის" ფუნქციებს მთავრობა ასრულებს

გვანცა კვინიკაძე

გიორგი კალანდაძე

*"სელფორდი" - "ელექტროკავშირი" - "ტელენორის" საქმეში ყველა, უფრო სწორად, თითქმის ყველა მთავარი მოთამაშე უკვე სცენაზე გამოვიდა. ქონების მართვის სამინისტროს, ალბათ, საკმაო ჯაფა დაადგა იმისთვის, რომ "ელექტროკავშირის" ხელშეკრულების შემსწავლელი მუშა-ჯგუფის გუშინ გამართულ შეხვედრაზე, ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ თანამდებობიდან საკუთარი სურვილით გადამდგარი და თბილისიდან უკვალოდ გამქრალი "ელექტროკავშირის" გენერალური დირექტორი - **თემურ ბუცხრიკიძე** წარმოედგინა. მთავარი კი ამ შეხვედრაზე იმის დაფიქსირება იყო, რომ მუშა-ჯგუფის ვერც ერთმა წევრმა სახელმწიფო სტრუქტურებიდან, ხელშეკრულებაში საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა. უფრო მეტიც, მათი აზრით, ეჭვები "ტელენორისა" და "სელფორდისკენ" კი არა, საქართველოს ხელისუფლებისკენ არის მისამართი და ამ უცხოურ კომპანიებს მადლობაც კი ეკუთვნით იმისთვის, რომ საქართველოსთან, საერთოდ, თანამშრომლობენ.*

მაშ ასე, გუშინ სახელმწიფო მინისტრის დავალებით ქონების მართვის სამინისტროში ჩამოყალიბებულმა მუშა-ჯგუფმა მუშაობა დაასრულა. მიუხედავად იმისა, რომ "24 საათს" გუშინვე ვერ მიაწოდეს შეხვედრის ოქმი, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სამთავრობო ჯგუფმა "სელფორდს", "ტელენორსა" და "ელექტროკავშირს" შორის 10 ივნისს გაფორმებულ ხელშეკრულებაში იურიდიული და სხვა საგანგაშო დარღვევები ვერ აღმოაჩინა. სავარაუდოდ, ქონების მართვის სამინისტროსთან შექმნილი სამთავრობო ჯგუფი სახელმწიფო კანცელარიაში ასეთივე შინაარსის დასკვნას წარადგენს. იმის გასაგებად, თუ რა მოხდა გუშინდელ შეხვედრაზე, საკმარისია მოვიყვანოთ "სელფორდის" საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორის, გიორგი ბედინეიშვილის განცხადება - შეხვედრა გაცილებით კონსტრუქციულად დასრულდა, ვიდრე ველოდითო.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ჩუბინიშვილმა „ეი-ი-ესს„ ელექტროენერგიის ტარიფში ზედმეტი თეთრები უპოვა

მაია ურუშაძე

*ენერგეტიკის დარგში არსებული კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ მთავრობას წინ ახალი დოკუმენტები დაულაგა. კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ჩუბინიშვილის მტკიცებით, "ეი-ი-ესმა" თავის ტარიფში სემეკს ერთი და იგივე ხარჯები ორჯერ გაათვალისწინებინა. შედეგად, 150 მილიონი ლარის დანახარჯის ტარიფში ორჯერადად გათვალისწინებამ ტარიფი 2-2,5 თეთრით გაზარდა, რამაც "ეი-ი-ესს" 8 წელიწადში 260 მილიონი ლარის ზედმეტი მოგება უნდა მოუტანოს.*

როგორც ირაკლი ჩუბინიშვილი აცხადებს, **"კომპანიის მიერ 1999-2000 წლებში გაწეული ჭარბი ინვესტიციების ჩამონათვალში შეტანილია საბითუმო ბაზრისგან ელექტროენერგიის შეძენაზე დახარჯული 150 მილიონი ლარი, რომელიც ერთხელ უკვე გაითვალისწინა სემეკმა "ეი-ი-ესისთვის" ტარიფის დამტკიცების დროს."** ამ და სხვა დარღვევათა შესახებ, რომელთა გათვალისწინებითაც დასაბუთებულია, რომ ელექტროენერგიაზე დადგენილი ტარიფის ზრდა უკანონოდ მოხდა, საპარლამენტო კომისიამ პრეზიდენტს წერილით აცნობა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## სადა ხარ, მაია წყნეთელო!

ზაზა ფაჩუაშვილი

*სადა ხარ, მაია წყნეთელო! უშენოდ წყნეთის გონივრული განვითარება არ ხდება. შენ რომ გახსოვს, იმ ტყის აჩრდილიღა დატოვეს და იმასაც ანადგურებენ. პატარ-პატარა ნაკვეთებს სათავისოდ ღობავენ, შიგ მოყოლილ ხეებს ბურღით და ნავთით ახმობენ, შემდეგ "კანონიერად" ჭრიან და ქვის სასახლეებს აშენებენ. ქვეყნის მოღალატე კაცები ამ საქმით კარგად ხეირობენ. ჯერ თავად სახლდებიან, მერე კი ხალხის კუთვნილი ტყის მიწებს სხვებზეც ჰყიდიან და "უგალონშიც" არ მიდიან. გავირთხდა ხალხი!*

*...არსად წავსულვარ, აქა ვარ. შუა წყნეთში, მაღალ ქვაზე ვდგავარ და ყველაფერსაც კარგად ვხედავ, მაგრამ... მეფე ერეკლეს ველოდები. მალე მოვა და მეც მერე მოვიქნევ ამ ჩემს მოღერებულ ხმალს...*

გაგრძელება A6 გვერდზე



*თხრილი თანდათან ივსება*

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

## შევარდნაძეს კიდევ ერთი თანაშემწე გამოუჩნდა

კობა ლიკლიკაძე,

"რადიო თავისუფლება", სპეციალურად "24 საათისთვის"

*აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში, საერთაშორისო ინსტიტუტებისა და გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის ქვეყნების მონაწილეობის პარალელურად, თბილისი სულ უფრო აქტიურად ცდილობს მოლაპარაკების პროცესში შიდა რეზერვების ამოქმედებას. აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში პრეზიდენტის წარმომადგენლის სტატუსით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარის ასლან აბაშიძის დანიშვნის შემდეგ, ედუარდ შევარდნაძის*

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 მუსიკა B3 რეკლამა B4–B5 კვირის TV პროგრამა B6 სპორტი B7 სპორტი B8 სხვადასხვა

**თბილისი.** პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის 2 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტში რეორგანიზაცია მიმდინარეობს.

როგორც პრაიმ-ნიუსს საბაჟო დეპარტამენტში აცნობეს, აღნიშნული ბრძანებულების მიხედვით, დაგეგმილია რეგიონული საბაჟოების ჩამოყალიბება. არსებული 17 საბაჟოს ნაცვლად შეიქმნება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველო, რეგიონული საბაჟო "აღმოსავლეთი", რეგიონული საბაჟო "ჩრდილოეთი", რეგიონული საბაჟო "სამხრეთი", რეგიონული საბაჟო "დასავლეთი", რეგიონული საბაჟო "რკინიგზა" და რეგიონული საბაჟო "ენერგეტიკის საბაჟო."

ამავე ბრძანებულებით, საბაჟო "აღმოსავლეთს" დაექვემდებარება საბაჟო გამშვები პუნქტები - "წითელი ხიდი," "სადახლო," "ახკერპი," "გუგუთი," "მტკვარი," "ლაგოდეხი," "სამთაწყარო," "უდაბნო," "საბათლო," "ვაშლოვანი" და "თბილისის აეროპორტი".

საბაჟო "ჩრდილოეთს" - საბაჟო გამშვები პუნქტები "ყაზბეგი" და "გორი".

საბაჟო "დასავლეთს" - "ფოთის პორტი", "ქუთაისის აეროპორტი", "სენაკის აეროპორტი", "მამისონი".

საბაჟო "სამხრეთს" - საბაჟო გამშვები პუნქტები "ვალე" და "ნინოწმინდა".

საბაჟო "რკინიგზას" - საბაჟო გამშვები პუნქტები "გარდაბანი," "სადახლო" და "ფოთი".

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებით, საბაჟო დეპარტამენტის პირველი რიგის ღონისძიებები 10 სექტემბრამდე უნდა დასრულდეს. ამ დრომდე საბაჟო დეპარტამენტის უკლებლივ ყველა თანამშრომელი მოვალეობას ასრულებს.

რეორგანიზაციის პროცესი არ ითვალისწინებს თანამშრომელთა რიცხვის შემცირებას, სამაგიეროდ, საგრძნობლად მცირდება თანამდებობების დასახელება და რიცხვი.

რეორგანიზაციის პირველი რიგის ღონისძიებების დასრულების შემდეგ, რეფორმის შემდგომი პერიოდი საბაჟოს თანამშრომელთა ტესტირებას ითვალისწინებს, რომელიც წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მზად არის, მეგობარ სახელმწიფოებს 30 ივლისს სომალის ნაპირებთან მეკობრეების მიერ გატაცებული 6 ქართველი მეზღვაურის გათავისუფლებაში დახმარებისთვის მიმართოს.

ამის შესახებ პარასკევს გამართულ ბრიფინგზე საგარეო უწყების ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა კახა სიხარულიძემ განაცხადა.

ამასთან, მისი თქმით, ქართველი მეზღვრეების გათავისუფლების საკითხი დელიკატური და სარისკოა. ამიტომ ამ ეტაპზე არ ღირს რაიმე სპეციალური ოპერაციის ჩატარება.

კახა სიხარულიძის ინფორმაციით, დღეისათვის მეზღვაურების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და ისინი მეტ-ნაკლებად ნორმალურ პირობებში არიან.

დიპლომატმა აღნიშნა, რომ მეკობრეობა 21-ე საუკუნეში საერთაშორისო ტერორიზმის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმაა.

ბერძნული ტანკერი "ჯენლილი" მეკობრეებმა 30 ივლისს გაიტაცეს სომალის ნაპირებთან.

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ბერძნული გემის ბორტზე საქართველოს მოქალაქე 6 მეზღვაური იმყოფებოდა - გემის კაპიტანი არუთუნ არუთუნიანი, კაპიტნის მთავარი თანაშემწე ზურაბ გიორგაძე, უფროსი მექანიკოსი ნიკოლაი პიჟოვი, მეორე მექანიკოსი ალექსანდრე ჭიჭაძე, ელექტრიკოსი ანატოლი არხანგოროდსკი და მზარეული გულადი რუხაძე.

ტყვეებს იცავს ასამდე შეიარაღებული სომალელი მეკობრე, რომლებიც ტანკერის მეპატრონეებისგან 600 ათასი დოლარის ამოსასყიდს ითხოვენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი კახა სიხარულიძე "აბსურდულს" უწოდებს რუსეთის საგარეო უწყების პრეს-ცენტრის განცხადებას, საქართველოს მთავრობის კავშირების შესახებ ასლან მასხადოვის მთავრობასთან.

როგორც კახა სიხარულიძემ პარასკევს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, საქართველოს ხელმძღვანელობას არ ჰქონია და არც აქვს არანაირი კონტაქტები მასხადოვთან და მის მთავრობასთან.

ეს განცხადება გაკეთდა ქართული მასმედიის მასალების საფუძველზე, მაგრამ მსგავსი არგუმენტაცია არ შეიძლება გამოყენებული იქნას ქვეყნის ხელმძღვანელობის ბრალდებისათვის და ამიტომ თბილისში მას განიხილავენ, როგორც არასერიოზულს.

კახა სიხარულიძე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას უპასუხისმგებლოს უწოდებს იმ მიზეზითაც, რომ რუსეთის საგარეო უწყებამ ფაქტიურად იგნორირება გაუკეთა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტას აფხაზეთის არაღიარებულ რესპუბლიკაში რამდენიმე დღის წინ რუსეთის სახელმწიფო დელეგაციის უკანონოდ ყოფნის შესახებ.

მისი თქმით, ეს განცხადება ხელოვნურია, რადგანაც საქართველოში ოფიციალურად არ არსებობს ჩეჩნეთის წარმომადგენლობა.

"ასეთი წარმომადგენლობა საქართველოში არ არსებობს და საქართველოს ხელისუფლებას ამ არარსებულ წარმომადგენლობასთან არანაირი კონტაქტები არა აქვს", - განაცხადა კახა სიხარულიძემ.

ამავე დროს, მან აღნიშნა, რომ მოსკოვში ფუნქციონირებს ეგრეთ წოდებული აფხაზეთის წარმომადგენლობა, რომელთანაც კონტაქტები აქვთ რუსეთის ოფიციალურ პირებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელმძღვანელმა თინათინ ნადირაშვილმა ქვემო ქართლის მხარის ჯანდაცვის სამსახურის უფროსს თამაზ მურჯიკნელს, ფულის გამოძალვის მცდელობის ბრალდებით, პროკურატურაში უჩივლა.

როგორც ჟურნალისტებს ნადირაშვილმა უთხრა, მურჯიკნელი მას ყოველთვიურად 1000 ლარს სთხოვს, იმ მოტივით, რომ, თითქოს, რუსთავში ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება ხდება, საიდანაც გარკვეული წილი მას უნდა მისვლოდა.

თინათინ ნადირაშვილის განცხადებით, მურჯიკნელს ჰყავს მფარველები ჯანდაცვის სამინისტროში და იგი მის "განადგურებას ცდილობს".

თავის მხრივ, თამაზ მურჯიკნელმა ჟურნალისტებთან საუბარში ნადირაშვილს "ფსიქიატრთან გასინჯვა ურჩია". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მშრომელთა უფლებების დაცვის პარტია", რომელიც "ლეიბორისტული (შრომის) პარტიიდან" გასულმა ავთანდილ ტყებუჩავამ დააფუძნა, "ლეიბორისტთა" თავმჯდომარეს შალვა ნათელაშვილს უპასუხისმგებლობაში ადანაშაულებს.

როგორც ავთანდილ ტყებუჩავამ განაცხადა, შალვა ნათელაშვილს საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი თავდაპირველად "ახალი მემარჯვენეების" ლიდერისათვის ლევან გაჩეჩილაძისათვის სურდა, თუმცა, ამ თანამდებობაზე ტყებუჩავამ თავისი კანდიდატურა წარადგინა, რადგან, მისი თქმით, არჩევნებში გამარჯვებულმა პარტიამ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.

ამის შემდეგ ნათელაშვილი პასუხისმგებლობას მაინც გაექცა და საკრებულოს არჩევნებში მეორე ადგილზე გასულ "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის" ლიდერს მიხეილ სააკაშვილს აღნიშნული პოსტი შესთავაზა, - აღნიშნა მან.

ტყებუჩავას თქმით, ნათელაშვილს თვითონ უნდა აეღო პასუხიმგებლობა და ეს პოსტი სააკაშვილისთვის არ უნდა დაეთმო, თუ "ლეიბორისტთა" ლიდერს "დიდი ამბიციები" გააჩნდა.

ტყებუჩავამ თავი შეიკავა თბილისის საკრებულოში "მშრომელთა უფლებების დაცვის პარტიის" ფრაქციის წევრთა რაოდენობის დასახელებისაგან.

მისი ინფორმაციით, პარტია სერიოზულ კონსულტაციებს აწარმოებს "ეროვნულ ძალებთან და ღირსეულ ადამიანებთან".

მისივე თქმით, პარტია მემარცხენე ცენტრისტული მიმდინარეობისაა და მასში უკვე 12 ათასამდე ადამიანი გაწევრიანდა.

ამასთან, ტყებუჩავას მონაცემებით, დაახლოებით 40-მდე რაიონული ორგანიზაცია დაფუძნდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისის ხეობის მთელ ტერიტორიაზე, უახლოეს დღეებში, შინაგანი ჯარების დამატებითი ნაწილების განლაგება დაიწყება.

როგორც პრაიმ-ნიუსს შსს-ს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა პაატა გომელაურმა განუცხადა, მინისტრი კობა ნარჩემაშვილი შაბათს დილით პანკისის ხეობაში გაემგზავრება, სადაც ადგილზე გაეცნობა შექმნილ სიტუაციას და პირადად მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ რა ადგილას განლაგდებიან ჯარის ნაწილები.

მისი თქმით, ნავარაუდევი არაა ახალი ბლოკ-საგუშაგოების გახსნა, თუმცა პანკისის ხეობის ტერიტორიაზე რამდენიმე სამხედრო ბაზა მოეწყობა.

ეს გადაწყვეტილება ადგილობრივი უხუცესებისა და მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე მიიღეს, რომლებიც შიშობენ, რომ რუსეთი პანკისის ხეობაში საქართველოსთან შეუთანხმებლად სპეცოპერაციას ჩაატარებს.

ამჟამად, პანკისის ხეობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 11 ბლოკ-საგუშაგო მოქმედებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსთავის ინფექციურ საავადმყოფოში მუცლის ტიფით დაავადებული თხუთმეტი პირი მკურნალობს. საავადმყოფოს მთავარი ექიმის ნანა გელაშვილის განცხადებით, რუსთავის ინფექციურ საავადმყოფოს მიაკითხა გარდაბანში მცხოვრებმა ახალგაზრდამ, რომელიც მუცლის ტიფით მტკვარში ბანაობის შედეგად დაავადდა. მარნეულის რაიონის სოფელ საბირქენდში პირველად მუცლის ტიფი გასანოვების ოჯახის წევრებს აღმოაჩნდათ. ამ დაავადებით ინფიცირებულ თოთხმეტ პირს სწორედ ამ ოჯახთან ჰქონდა კონტაქტი. მათთან კონტაქტისას, ალგეთსა და თამარისში მცხოვრები ნათესავებიც დაავადნენ.

გელაშვილის განცხადებით, მუცლის ტიფის გავრცელება დაავადებული პირის მიერ მომზადებული საკვების მიღებამ გამოიწვია. ამჟამად სიტუაციას თბილისის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ზედამხედველობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „ეი-ი-ეს თელასი" მუშაობის ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. როგორც ცნობილია, კომპანიის ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობის გამო, "ეი-ი-ეს თელასი", ფაქტობრივად, პარალიზებული იყო. როგორც „მედია-ნიუსს" „ეი-ი-ეს თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცნობეს, ამ საზარელი მკვლელობის გამო, მხოლოდ კომპანიის ცენტრალურმა ოფისმა შეწყვიტა ერთი დღით მუშაობა, გუშინ და დღეს კი იგი ჩვეულებრივი რეჟიმით მუშაობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ხელისუფლება დამატებით ზომებს მიმართავს კოდორის ხეობის ქართული მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამის შესახებ ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ.

მისივე ცნობით, მიუხედავად დღეს ხეობაში მესანგრეთა ჯგუფის გაგზავნისა, მარუხის უღელტეხილზე განაღმვითი სამუშაოები მოგვიანებით დაიწყება. "ამისათვის აუცილებელია გაერო-ს სამხედრო წარმომადგენლებთან ვადების შეთანხმება, რომლებიც განაღმვის პროცესზე მონიტორინგს განახორციელებენ", - აღნიშნა მინისტრმა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 19 აგვისტოს თბილისში ორდღიანი ვიზიტით ჩამოდის ევროპაში ნატო-ს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოადგილე, გენერალი დიტერ შტოკმანი. ამის შესახებ კავკას-პრესს საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს.

ვიზიტის დროს გენერალი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, თავდაცვის მინისტრ დავით თევზაძეს, საგარეო საქმეთა მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილს, პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი ბათიაშვილს.

შეხვედრებზე განიხილება სამხედრო სფეროში მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები. **კავკას-პრესი**.

# გადამწყვეტი შემოდგომა და პოლიტიკური რისკისთვის მზაობა

ბადრი კოპლატაძე

პოლიტიკურ ლიდერებს შორის ბოლო პერიოდში გახშირებულ კონსულტაციებს აშკარად გაურბიან საქართველოში ყველაზე პოპულარული პოლიტიკური პარტიები - ნაციონალისტები და ლეიბორისტები. მათი ლიდერები, როგორც ჩანს, სულაც არ არიან განწყობილნი ვინმესთან შესაამხანაგებლად.

მიხეილ სააკაშვილსაც და შალვა ნათელაშვილსაც საერთო მომენტებიც ბევრი აქვთ და განმასხვავებელიც. პოლიტიკაში ორივე შევარდნაძის დროშის ქვეშ მოვიდა, ორივე შევარდნაძის უმრავლესობის წევრი იყო (თუმცა, სხვადასხვა დროს). მათი მოღვაწეობა სწორედ შევარდნაძით დაიწყო, თუმცა შემდეგ, სხვადასხვა გარემოებების გამო, ისინი ოპოზიციაში აღმოჩნდნენ. განსაკუთრებული სკანდალურობით მიხეილ სააკაშვილის მოღვაწეობა გამოირჩეოდა, რაც საბოლოოდ მთავრობის სხდომაზე ჩინოვნიკთა სახლების ფოტოების ფრიალით დასრულდა. ამას ნაციონალური მოძრაობის შექმნა მოჰყვა.

მიუხედავად განვლილი წლებისა, სააკაშვილი დამოუკიდებელ პოლიტიკურ კარიერას მხოლოდ ახლა იწყებს. ამიტომაც მასში სჭარბობს ჟინი და განცდა, რომ ის მარტოც შეძლებს იმას, რაც აქამდე სხვებმა ვერ შეძლეს, ანუ - შევარდნაძის დამარცხებას. აქედან გამომდინარე, ის საკმაოდ სკეპტიკურადაა განწყობილი მიმდინარე პოლიტიკური კონსულტაციების მიმართ. გარდა ამისა, იგრძნობა, რომ სააკაშვილს არ სჯერა პოლიტიკური გადაჯგუფებების გზით შევარდნაძის დამარცხების პერსპექტივის. ამიტომაც აგრესიულ ტონს ინარჩუნებს და სიტუაციის აშკარა გამწვავებაზე მიდის. მას, როგორც ჩანს, ძალზე ეჩქარება, შევარდნაძეს და სხვებსაც კიდევ ერთხელ უჩვენოს თავისი ძალა.

გამწვავებაზე, მაგრამ უკვე სხვა მოტივებით, შეიძლება ხელისუფლების ის ნაწილიც წავიდეს, რომლისთვისაც შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი სიტუაციის არევა და ამის ფონზე საკუთარი პოზიციების გაძლიერებაა. ამიტომაც, თუ ინტერესთა ასეთ დაჯგუფებას გავითვალისწინებთ, საუბრები დესტაბილიზაციაზე საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. მაგრამ ასეთი ბრძოლა სააკაშვილის მხრიდან საკმაოდ დიდ რესურსებს და გამჭრიახობას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოკალური გამარჯვება შეიძლება სტრატეგიულმა დამარცხებამ შეცვალოს.



შალვა ნათელაშვილი



მიხეილ სააკაშვილი

სააკაშვილის დღევანდელი მდგომარეობა, გარკვეულწილად, ჰგავს შალვა ნათელაშვილის ეიფორიას 1998 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ. მაშინ ედუარდ შევარდნაძემ ნათელაშვილს ღიად შეახსენა, რომ გამარჯვებას დამარცხება მოსდევს ხოლმე. ამ სიტყვების სიმწარე ლეიბორისტებმა სულ ცოტა ხანში იწვნიეს, როდესაც მათი ფრაქცია ნაწილ-ნაწილ დაიშალა. სხვათაშორის, შეიძლება ამ კუთხით სიმპტომატურიც იყოს რეზო შავიშვილის მიერ ნაციონალური მოძრაობის დატოვება. არსებობს კიდევ სხვა გარემოებებიც.

სააკაშვილის მოძრაობაში არიან ასევე რესპუბლიკელები. ისინი, ისევე როგორც ჟვანია, სარიშვილი, ასათიანი ქართული პოლიტიკური სივრცის ვეტერანები არიან. ამიტომაც მათთვის დიდი ცდუნება იქნება, არ შეუერთდნენ თავისი ძველი პარტნიორების და კონკურენტების ახალ მოძრაობას. მით უფრო, რომ შინაგანი განწყობით და ტემპერამენტით მათთვის ახლობელი სწორედ ასეთი ტიპის გაერთიანებაა.

ამიტომაც მიხეილ სააკაშვილს საკმაოდ რთული გზა ექნება გასავლელი. მას მოუწევს, თავის თავზე გამოსცადოს ის შეცდომები, რომლის ანალოგები ქართულ პოლიტიკურ ისტორიაში არც თუ ისე ცოტაა. ფაქტობრივად, ახლა სააკაშვილი ისეთივე პოლიტიური ილუზიის ტყვეობაშია, როგორშიც, 90-იანი წლების დასაწყისიდან, სხვადასხვა დროს, არაერთი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე აღმოჩნდა.

რაც შეეხება ნათელაშვილს, არავის გაჰკვირვებია, რომ მას არც ჟვანიასთან, არც სარიშვილთან და არც ასათიანთან ურთიერთობის დიდი სურვილი არ გამოუმჟღავნებია. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ნათელაშვილი საერთოდ უარყოფს ვინმესთან გაერთიანების შესაძლებლობას. ამის მიზეზები ლეიბორისტთა ლიდერის ფსიქოლოგიაში უნდა ვეძიოთ. მან თავის დროზე ვერ შეძლო სოციალისტებთან ბლოკის შენარჩუნება. არადა, ეს მემარცხენე გაერთიანება შეიძლება ერთ-ერთი უძლიერესი გამხდარიყო, მაგრამ, უფრო ნათელაშვილის მიზეზით, ბლოკი დაიშალა, პარალელურად რღვევას განაგრძობდა ლეიბორისტთა ფრაქციაც. ამ მოვლენებმა ნათელაშვილს ისეთი ღრმა კვალი დაამჩნია, რომ იძულებული გახდა, 2 ივნისის არჩევნების წინ სკანდალურად ცნობილი პარტიული ეთიკის კოდექსი შეექმნა. არჩევნების შემდეგ ლეიბორისტებში აზრთა სხვადასხვაობის ნიშნები კვლავ გამოჩნდა. ამიტომაც ნათელაშვილის მთავარ მიზანს ამ ეტაპზე პარტიის შენარჩუნება წარმოადგენს, ამის გაკეთება კი, რომელიმე ბლოკში გაერთიანების შემთხვევაში, კიდევ უფრო გაჭირდება. აქედან გამომდინარეობს მისი მუდმივი განდეგილობა.

საბოლოო ჯამში, ნათელაშვილიც და სააკაშვილიც შეიძლება, ინტეგრაციული პროცესებისაგან მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ. ასეთი მდგომარეობის კომპენსირება კი ყოველთვის რადიკალიზმის ხარჯზე ხდება. თუმცა, ერთია რადიკალიზმი საჯარო გამოსვლებში და მეორეა რადიკალიზმი ქმედებებში. დღეისათვის პოლიტიკური რისკის სურვილი ყველაზე მეტად სააკაშვილში იგრძნობა. ამიტომაც ეს შემოდგომა მისთვის და ხელისუფლებისთვისაც შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

# სანამ ისევ დავიბომბებით...

თეა გილიგაშვილი

ბოლოს, როცა საქართველოს ტერიტორია დაიბომბა, საზღვრისპირა სამხედრო ნაწილში ერთი ძალიან საინტერესო და ყველაზე გავრცელებული ვერსია მიამბეს: რუსეთი ღამით ჩეჩნეთს ბომბავს. მფრინავები ბომბების სრულად ჩამოყრას ვერ ასწრებენ, მათ არც ის შეუძლიათ, მეორე წრეზე წავიდნენ, რადგან ჩეჩნეთის სამხედრო ძალები უკვე მზადყოფნაში მოდიან და თავისუფლად შეუძლიათ რუსული ბომბდამშენების ჩამოყრა. ამიტომ, რუსები ცდილობენ, გვერდი აუარონ ჩეჩნეთის ტერიტორიას და უკან ისე დაბრუნდნენ, ამასთან, ბომბების სიმძიმის გამო, დროულად გათავისუფლებას ცდილობენ და ამიტომაც ყრიან მათ საქართველოს ტერიტორიაზე.

ამ ვერსიას მხოლოდ ერთი არსი აქვს, დაამოწმოს, რომ რუსეთი მიზნმიმართულ აგრესიას კი არ ახორციელებს, უბრალოდ, საკუთარ ბომბდამშენებს ზედმეტი ტვირთისგან ათავისუფლებს. ეს თუ სიმართლეა, რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის მიმართ გამოჩენილი ასეთი ცინიზმი კიდევ უფრო შეურაცხმყოფელია, ვიდრე წინასწარგანსაზღვრული აგრესია;

მაგრამ, ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ საქართველოს სჭირდება საკუთარი საჰაერო სივრცის დაცვა. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, თავდაცვის სამინისტრომ ეტაპობრივად 12 მილიონი ლარი უნდა მიიღოს ქვეყნის თავდაცვის რესურსების აღსადგენად. ჩვენი მწირი ბიუჯეტის ფონზე, ამ შესაძლებლობას თვით შეიარაღებულ ძალებშიც კი საეჭვოდ მიიჩნევენ. თუმცა, ამას მომავალი გვიჩვენებს; მანამდე კი - რა საშუალებები აქვს საქართველოს საჰაერო სივრცის დასაცავად?

## მაინც რა საჰაერო ძალები გვაქვს?

საქართველოს სახმელეთო და საზღვაო საზღვრების დაცვა საზღვრის დაცვის დეპარტამენტს ევალება, საჰაერო სივრცეს კი, თავდაცვის სამინისტრო აკონტროლებს.

ამონარიდი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს "თეთრი წიგნიდან": **საქართველოს საჰაერო და საჰაერო თავდაცვის ძალების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს საქართველოს საჰაერო სივრცის დაცვა და კონტროლი მშვიდობიანობისა თუ ომის პერიოდში. საჰაერო და საჰაერო თავდაცვის ძალები დაახლოებით 1700 ადამიანს მოიცავს. საბრძოლო და სატრანსპორტო თვითმფრინავები განლაგებულია მარნეულის საჰაერო ბაზაზე; ყველა ვერტმფრენი განლაგებულია თელავში. ოპერატიული თვითმფრინავი შეიცავს ცხრა საწვრთნელ-საიერიშო თვითმფრინავს L-29, შვიდ ჟ -25 საიერიშო თვითმფრინავსა და ოთხ An-2 სატრანსპორტო თვითმფრინავს. თელავში განლაგებული შვეულმფრენები: ორი Mi-2, სამი Mi-24, ორი Mi-8, რვა UH-1H - ე.წ. "იროკეზი".**

საქართველოს ტერიტორიაზე შემოფრენილი უცხო ქვეყნის თვითმფრინავის აღმოჩენა რადიოლოკაციური სადგურების საშუალებით უნდა ხდებოდეს. დღეს ასეთი 13 სადგურია - თბილისში, მარნეულსა და კოპიტნარში.

## საჰაერო თავდაცვის სისტემა - სენტიმენტალური მოგონებები

**"როცა ომალო პირველად დაიბომბა, მე დავურეკე გენშტაბის უფროსს და ვუთხარი, მაქვს ჩემი მოსაზრება, როგორ შეიძლება მოვახერხოთ, რომ ეს შემთხვევები აღარ განმეორდეს და თუ განმეორდა, როგორ აღვკვეთოთ-მეთქი. მითხრა, ახლა ამისთვის არ მცალიაო. მე მაინც მოვამზადე წინადადებები და მივედი საჰაერო ძალების შტაბში. მეგონა, დამხვდებოდა საბრძოლო მზადყოფნა და ყველგან გაშლილი რუკები, საფრთხის თავიდან აცილების შესაძლო ვარიანტებით, ხუმრობა ხომ არ იყო, დაგვბომბეს.... რომ მივედი, ოფიცრები ისხდნენ და დომინოს უკაკუნებდნენ. ჩემს დანახვაზე წამოხტნენ და გაიჭიმნენ. "დაბრუნდით, ბატონო გენერალო?" – მკითხეს. დიახ, დავრუნდი და თქვენ როგორ არ გრცხვენიათ, დაირღვა საქართველოს საჰაერო სივრცე და თქვენ ეს დროულად ვერ დააფიქსირეთ-მეთქი. მოვითხოვე სამუშაო რუკები და წინადადებები. არავის ამ საკითხზე ნაფიქრი არ ჰქონდა. მე დავამუშავე გეგმა და ისე დავტოვე შტაბი. იქ დღესაც იგივე ვითარებაა, როგორიც დამხვდა, არავინ არაფერს აკეთებს,"** – ჰყვება საჰაერო თავდაცვის ყოფილი სარდალი, გენერალ-მაიორი გიორგი კვინიკაძე. სარდლად ის 1994 წელს დაინიშნა. იმ დროს საქართველოს ჯარების ოთხი სახეობა ჰყავდა - სახმელეთო, საზღვაო, სამხედრო საჰაერო და საჰაერო თავდაცვის. 1999 წელს, თავდაცვის სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ გიორგი კვინიკაძე ჯერ შვებულებაში გაუშვა, სამსახურში დაბრუნებულს კი ცნობა დაახვედრა მისი სტრუქტურის გაუქმების შესახებ; 52 წლის გენერალ-მაიორი პენსიაზე გაუშვეს; საჰაერო თავდაცვის ჯარები კი, სამხედრო საჰაერო ძალებს შეუერთდა;

თავდაცვის სამინისტროს კვალიფიციური ჩინოსნების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ორი სტრუქტურის - სამხედრო-საჰაერო და საჰაერო თავდაცვის ძალების - გაერთიანება არასწორი ნაბიჯი იყო. მართალია, ეს დასავლური სისტემის მიხედვით გაკეთდა, მაგრამ ქართულ სამხედრო-საჰაერო ძალებს თავისი პრობლემები აქვთ და იმის მოვლაც უჭირთ, საჰაერო თავდაცვის სისტემას კი, თავისთავად სჭირდებოდა დიდი მუშაობა. ამასთან, საჰაერო თავდაცვა სრულიად განსხვავდება საჰაერო ძალებისაგან თავისი სისტემით; ამ ორიდან თავდაცვის სისტემა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ის ხმელეთიდან ახორციელებს საჰაერო სივრცის დაცვას, აკონტროლებს როგორც ჩვენი, ისე უცხო ქვეყნის საჰაერო ძალების მოძრაობას ჰაერში, შეიმუშავებს მოქმედების გეგმასა და, შესაბამისად, განსაზღვრავს საბრძოლო მოქმედების შესაძლო ვარიანტებს. სამხედრო ექსპერტთა აზრით, საჰაერო თავდაცვა სამხედრო საქმის ყველაზე რთული დარგია; აქ ჯარისკაციცა და ოფიცერიც კომპლექსურად მუშაობს და ყველა მათგანი რადიოინჟინრის დონეზე უნდა იყოს მომზადებული.

გენერალ-მაიორი გიორგი კვინიკაძე შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობას არაპროფესიონალიზმში ადანაშაულებს და დარწმუნებულია, რომ მათ ვერ შეძლეს და არც მოინდომეს ქვეყნის საჰაერო თავდაცვის სისტემის შენარჩუნება. ამ სისტემაში 3000 ჯარისკაცი და ოფიცერი მსახურობდა. პროფესიული კადრები საგანგებოდ შერჩეული, რადიოტექნიკაში დახელოვნებული ყმაწვილებით იყო დაკომპლექტებული. გიორგი კვინიკაძის წასვლის შემდეგ, საჰაერო თავდაცვის ჯარების ნაწილი სახლში გაუშვეს, დარჩენილი კონტიგენტი კი, მთლიანად მოაშორეს ამ სისტემას და სენაკში, სახმელეთო ჯარის ნაწილში გაანაწილეს. თუმცა, მაღალი კვალიფიკაციის ოფიცრებმა შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ ნაწილში სხვა პროფილით სამსახურის გაგრძელება აღარ ისურვეს. სწორედ ამ უამრავი ცნობილი თუ დაფარული მიზეზის გამო, ქვეყანას საჰაერო თავდაცვის ოდესღაც გამართული სისტემიდან აღარაფერი დარჩა.

ჩვენი არაოფიციალური მონაცემებით, დღეს არცერთი რადიოლოკაციური სადგური აღარ მუშაობს სრულყოფილად, მათი უმრავლესობა გაძარცულია; ხშირ შემთხვევაში სისტემის ასამუშავებლად არ არის დენი და საწვავი; არ არსებობს კადრები, ვინც პროფესიულად და ოპერატიულად გააკონტროლებს ქვეყნის საჰაერო სივრცეში უცხო თვითმფრინავის შემოჭრას. ფაქტობრივად, დღეს საქართველოს საზღვრის დარღვევის ფაქტის აღმოჩენა დაბომბილ ტერიტორიაზე მცხოვრებთა კარგ სმენაზეა დამოკიდებული; მერე კი, ინფორმაცია იმ სიჩქარით ვრცელდება, როგორითაც სამხედრო ძალების მაღალჩინოსნები ასწრებენ ადგილზე მისვლასა და განცხადებების გაკეთებას. თუმცა, ჩვენ მხოლოდ ეს უბედურება არ გვჭირს; რომც აღმოვაჩინოთ უცხო თვითმფრინავი, მისი ჩამოგდება შეუძლებელი იქნება ერთი მარტივი მიზეზის გამო: საზენიტო-სარაკეტო იარაღი, ე.წ. "სტრელები" წლების მანძილზე ჯართად დაიჭრა ან ჩუმად გაიყიდა, დარჩენილის ნაწილიც მწყობრიდანაა გამოსული და მისი მიზანში მოხვედრა შეუძლებელია. ისე, სულაც რომ გამართული გვქონდეს იარაღი, მის გამოყენებას სწავლება და მუდმივი წვრთნა სჭირდება, საზენიტო-სარაკეტო სროლები კი, მისი სირთულისა და სიძვირის გამო, ქართულ შეიარაღებულ ძალებში დიდი ხანია არ ჩატარებულა.

## "ჰოოოდა, გაუშვი, იფრინონ!.."

ნებისმიერ არმიაში მფრინავები ერთ-ერთი ყველაზე პრივილეგირებული ჯგუფია - მათ სამხედრო ნაწილში ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და კვების საგანგებოდ შერჩეული რაციონი სჭირდებათ. ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვისაა, რომ მფრინავებმა კვალიფიკაციის ასამაღლებელი საწვრთნელი ფრენები ნაყოფიერად შეასრულონ. ჩვენს მფრინავებს არც კვება და არც განსაკუთრებული პირობები აქვთ და, კაცმა რომ თქვას, დიდად არც სჭირდებათ; უბრალოდ იმიტომ, რომ ქართველ სამხედრო მფრინავებს წვრთნის საშუალება არ აქვთ. ერთადერთი, რაც დღეს სრულდება, ეს არის ვერტმფრენების ფრენები.

მირიან კიკნაძე, თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი: **მფრინავის საჭირო კონდიციაში ყოფნისათვის აუცილებელია წელიწადში 240 საათი ფრენა, ჩვენი კადრები დაფრინავენ დაახლოებით 20 საათს. ჩვენი მფრინავები საჭირო მონაცემებს მხოლოდ ძველი გამოცდილების საფუძველზე ინარჩუნებენ, ისინი ხომ ახალწვეულები არ არიან, ოფიცრები არიან და რაღაც გამოცდილება უკვე აქვთ, თუმცა, ოდესმე მათი წასვლის საკითხი ხომ დადგება და მაშინ რა უნდა ვქნათ, არ ვიცი.**

ქართველი სამხედრო მფრინავებისათვის პრეზიდენტის ქვეყნიდან გამგზავრება დღესასწაულია – მათ მხოლოდ მაშინ აძლევენ მცირეოდენ საწვავს, რათა პრეზიდენტის თვითმფრინავი ქვეყნის საზღვრებს გარეთ გააცილონ. სხვა შემთხვევაში მოიერიშე თვითმფრინავის ადგილიდან დაძვრის საშუალება შეიარაღებულ ძალებს არ აქვს. ჰოდა, იფრინეთ, ბატონო პრეზიდენტო, ქვეყანას საჰაერო თავდაცვის სისტემა თუ არ აქვს და არც თვითმფრინავების სიჭარბეს განვიცდით, სამხედრო მფრინავები მაინც გვყავდეს დახელოვნებული; სხვა თუ არაფერი, პრეზიდენტის ქვეყნიდან გასტუმრება მაინც ეცოდინებათ!

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჭოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# რა სურს ხელისუფლებას – რეფორმები თუ არსებული სიტუაციის დაკონსერვება

ეკა კვესიტაძე

ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დაზავება ბოლო პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. დაზავების ინიციატორად ავთანდილ ჯორბენაძე თავად გამოვიდა. თავისუფლების ინსტიტუტში მისული სახელმწიფო მინისტრი უჩვეულოდ მონდომებული ჩანდა და ენთუზიაზმით შეხვდა ამ არასამთავრობო ორგანიზაციის ყველა ინიციატივას.

ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორს შორის უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობის ფონზე, ავთანდილ ჯორბენაძის ეს ნაბიჯი სრულიად მოულოდნელი იყო, თუმცა, სავარაუდოა, სწორედ ამ დაძაბულმა ფონმა გადააწყვეტინა სახელმწიფო მინისტრს, რომ არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის მოგვარება დაეწყო.

სახელმწიფოს მიერ გრანტების დაბეგვრა-გაკონტროლების ინიციატივამ, არასამთავრობო ორგანიზაციების სამშობლოს მოღალატეებად და "ჩამშვებებად" გამოცხადებამ, ხაჩიშვილის შეწყალებამ, "თავისუფლების ინტიტუტის" დარბევამ და მისი წევრების ცემამ ხელისუფლებისთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და მისი საშინაო და საგარეო იმიჯი ერთნაირად შეარყია. ქვეყნის შიგნით სიტუაცია იმდენად დაიმუხტა, რომ კანცელარიიდან წამოსული კიდევ ერთი გაუაზრებელი და აგრესიული ნაბიჯი ნებისმიერი შედეგით შეიძლებოდა დამთავრებულიყო.

რამდენიმე ხნის წინ მეტეხში, ოპოზიციური პარტიების და არასამთავრობო სექტორის შეხვედრაზე, პოლიტიკოსები და არასამთავრობოები პოლიტიკაში ახალი სტანდარტებისა და თამაშის წესების შემოღებაზე შეთანხმდნენ და ხელისუფლებას, ტერორისტების ციხიდან გამოშვების გამო, ერთსულოვნად დაუპირისპირდნენ. ამ ფაქტმა, როგორც ჩანს, სერიოზულად დააფიქრა შევარდნაძე. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა იგი ქვეყანაში მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესებს უშუალოდ ვეღარ მართავდა. შევარდნაძე ამ პროცესების მიღმა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო სექტორის, ერთ დროს მისი მთავარი საყრდენის და ახლა უკვე ჟვანიას მიერ გადაბირებული ინტელიგენციის გარეშე დარჩა, - დისკრედიტებული და ხელახლა აღდგენილი "მოქალაქეთა კავშირის" და სრულიად არაპოპულარული მთავრობის ამარა.



რა სურს ხელისუფლებას?

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ამ შეხვედრის შემდეგ ყველას გაუჩნდა კითხვა, როგორი იქნებოდა პრეზიდენტის რეაქცია.

მაშინ შევარდნაძეს ამ შეხვედრის კომენტარი არ გაუკეთებია.

უფრო მოგვიანებით სახელმწიფო მინისტრის ინიციატივა, დაარეგულიროს ურთიერთობები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პირველ რიგში კი - ყველაზე რადიკალურად განწყობილ "თავისუფლების ინსტიტუტთან", სავარაუდოა, სწორედ პრეზიდენტის რეაქციაა ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებზე. შევარდნაძეს, ალბათ, მოსალოდნელი დესტაბილიზაცია აშინებს და, გარდა ამისა, არ უნდა დაუშვას, რომ გავლენიან არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და თანამშრომლობის პრივილეგია მხოლოდ ჟვანიასა და სააკაშვილს ჰქონდეს.

კანცელარიაში გამართული შეხვედრების შემდეგ, ბუნებრივია, ილუზიები არც ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას არ გასჩენია. რჩება შთაბეჭდილება, რომ მსგავსი შეხვედრები მხოლოდ სიტუაციის დროებით განმუხტვას ემსახურება და ძნელი წარმოსადგენია, რომ მათ რაიმე მნიშვნელოვანი კონკრეტული შედეგი მოჰყვეს.

გარდა ამისა, ჯორბენაძის შეპირება ერთია და მისი რეალურად განხორციელება - მეორე. მართალია, სახელმწიფო მინისტრმა თავისუფლების ინსტიტუტის სკეპტიკურად განწყობილ წევრებს აღუთქვა, რომ მათ მიერ შემოთავაზებული კანონპროექტები პარლამენტშიც გავა, მაგრამ, ვინც ამჟამინდელი პარლამენტის რეაქციულ შემადგენლობას კარგად იცნობს, ძნელია წარმოიდგინოს, რომ ეს შემადგენლობა მხარს რაიმე პროგრესულს დაუჭერს. თუმცა, მთავრობაში და პარლამენტში ამ კანონპროექტებზე მუშაობით დროის გაყვანა და გარკვეული პერიოდით სამოქალაქო სექტორის შეყოლიება მაინც შესაძლებელია.

რაც შეეხება არასამთვრობოების გაფართოებული წარმომადგენლობის შეხვედრას სამართალდამცველებთან, ამ შემთხვევაში საუბარი უფრო კონკრეტულ თანამშრომლობაზე იყო. პოლიციაზე და პროკურატურაზე სამოქალაქო კონტროლის დაწესებას, ანუ სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოების შექმნას, შინაგან საქმეთა მინისტრი და პროკურორი უპრობლემოდ დაეთანხმნენ.

ასეთი საბჭოები შეიძლება მართლაც შეიქმნას, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ეს ძალზე ცოტაა იმ სისტემაში, სადაც ყველაფერი ძირფესვიანად შესაცვლელია. სამართლდამცველი სტრუქტურების სერიოზულ რეფორმაზე საუბარი კი დღეს საკონფერენციო დარბაზებს არ სცდება.

ასე რომ, ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები აქვს და მისი პროგრამა-მაქსიმუმი სიტუაციის დაკონსერვება უფროა, ვიდრე მისი შეცვლა. შევარდნაძეს ვადის ამოწურვამდე ორწელიწადნახევარი დარჩა. კანცელარია კი მონდომებულია, პრეზიდენტმა ეს წლები სერიოზული კატაკლიზმების გარეშე ჩაათაოს. სავარაუდოა, რომ ხელისუფლების მომდევნო ნაბიჯი ოპოზიციურ პარტიებთან სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობის გააქტიურება გახდება.

# შევარდნაძეს კიდევ ერთი თანაშემწე გამოუჩნდა

პირველი გვერდიდან

*პირად წარმომადგენელთა სია, ამ დღეებში, კიდევ ერთი ადამიანით გაზარდა. ეს გახლავთ აფხაზი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ლორიკ მარშანია, რომლის რწმუნებულად დანიშვნის შესახებ განკარგულებასაც ედუარდ შევარდნაძემ 14 აგვისტოს მოაწერა ხელი.*

აფხაზეთის ტერიტორიაზე საომარი კონფლიქტის დაწყების მეათე წლისთავზე, ედუარდ შევარდნაძემ, მოულოდნელი საკადრო დანიშვნა განახორციელა და საგანგებო რწმუნებულის უფლებამოსილებით აღჭურვა ის ადამიანი, რომელიც კონფლიქტამდე და მის შემდეგაც გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა ქართველებსა და აფხაზებს შორის სადაო საკითხების ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრას. ასეთი დიამეტრალურად განსხვავებული პოზიციის მიუხედავად, ლორიკ მარშანია ბოლო მომენტამდე რჩებოდა თბილისში მოქმედი აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე და, ვიდრე სხვა მისი კოლეგები რევანშზე ოცნებობდნენ, იგი ცდილობდა საკუთარი თანამოაზრეები ენგურის ორივე ნაპირზე ეპოვნა. ასე დაიწყო ის, რასაც ლორიკ მარშანია სახალხო დიპლომატიას უწოდებს და რომლის უკანაც ერთნაირად გაუსაძლის პირობებში მყოფი ათეულ ათასობით ქართველი და აფხაზი დგას. სახალხო დიპლომატიის გააქტიურებას, ლორიკ მარშანია, ობიექტური ფაქტორებით ხსნის.

ლორიკ მარშანია: **"საქმე ისაა, რომ ჩვენ ისეთი დიდი ფაქტორი გვაქვს სახალხო დიპლომატისა, რასაც ქვია შერეული ოჯახები. იქ მცხოვრები 41 პროცენტი ქართველი და აფხაზი ვართ შერეული ოჯახები - ეს ერთი. მეორე ფაქტორი ის არის, რომ ჩვენს ადგილზე ვინც იქ მოვიდა - რუსები, კაზაკები, სირიელები, თურქები, ჩრდილოეთ კავკასიელები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ – იქაური ადგილობრივი ხალხი ვერ შეეგუა მათ."**

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული სახალხო დიპლომატიის საკითხებში - ასე ჟღერს ოფიციალურად ლორიკ მარშანიას სტატუსი. იგი თავის უმთავრეს ამოცანად რუსეთსა და საზღვარგარეთ გაბნეულ ქართველებთან, აფხაზებთან და საკუთრივ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დარჩენილ ყველა იმ ადამიანთან ურთიერთობის აღდგენას მიიიჩნევს, რომლებსაც აფხაზური დიასპორის ცნობილმა წარმომადგენელმა ინალ კაზანმა "გაჩუმებული უმრავლესობა" უწოდა. ამას გარდა, როგორც ლორიკ მარშანია ირწმუნება, სახალხო დიპლომატიის გზით ურთიერთნდობის აღდგენის იდეას თავისი მხარდამჭერები თითგამოცხადებული აფხაზეთის სამთავრობო წრეებშიც გამოუჩნდნენ. საერთო აზრი კი, კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე, ასეთია:

ლორიკ მარშანია: **"გვეყოფა, ჩვენ უნდა დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან. დავანებოთ თავი იმას, ვისი ბრალია, ვინ როგორ და რანაირად, დავჯდეთ და უშუალოდ, ქართველი და აფხაზი დაველაპარაკოთ ერთმანეთს, ჩვენ მესამე შუამავალი არ გვჭირდება. ასე არის ხალხი ფსიქოლოგიურად მოტრიალებული...ხალხი მზად არის იმისთვის, რომ ერთმანეთს შეხვდეს."**

აღსანიშნავია, რომ ასეთი ფსიქოლოგიური გარდატეხის ფონზე, ლორიკ მარშანია დაუშვებლად მიიჩნევს იმ დაპირისპირებას, რაც თბილისში მოქმედ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარის მომხრეებს შორის ჩამოვარდა. თუმცა, მოვლენების განვითარებას ლოგიკურად თუ შევაფასებთ, ალბათ შეუძლებელია, რომ ასეთი დაპირისპირება არ გაჩენილიყო, აფხაზეთის კონფილქტის მიმართ აბაშიძისა და ნადარეიშვილის განსხვავებული დამოკიდებულების გამო.

ამ დაპირისპირების რაობა რამდენიმე დღის წინ საინტერესოდ ახსნა ქართულ-აფხაზური ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ზურაბ შენგელიამ: **"აბაშიძემ უკვე დაუშვა უდიდესი შეცდომა, როცა კონფლიქტის დარეგულირების პროცესში გამორიცხა ლტოლვილთა უდიდესი ნაწილი. არ შეიძლება პოლიტიკის კეთება მხოლოდ საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის. პოლიტიკა არ უნდა კეთდებოდეს საზოგადოების თუნდაც მცირე ნაწილის ხარჯზე."**

შენგელიას ეს სიტყვები ასეთივე წარმატებით შეიძლება გავიმეოროთ აქამდე უგულებელყოფილ სახალხო დიპლომატიასთან მიმართებაში, რომლის ოფიციალური გაფორმება მხოლოდ ორი დღის წინ მოხდა. გამოიყენებს თუ არა ამ რეზერვს რეალურ დროსა და სივრცეში საქართველოს ხელისუფლება, თუ სხვა ბევრი ინიციატივის მსგავსად, სახალხო დიპლომატიაც მხოლოდ საზოგადოების მანიპულირების ინსტრუმენტად იქცევა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

# თბილისში ვითარება სტაბილურად გაურკვეველია

თამარ მჭედლიშვილი

*თბილისის ძველი მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, "სოციალისტი" ზურაბ გუდავაძე უახლოეს დღეებში სასამართლოში სარჩელს შეიტანს. ძველი საკრებულო იუსტიციის სამინისტროს უჩივლებს. საქმე ის გახლავთ, რომ სამინისტრომ რეგისტრაციაში არ გაატარა ის ნორმატიული აქტები, რომელიც "ძველებმა" 10 ივლისს მიიღეს. საკრებულოს წევრების მოთხოვნა ცალსახაა – სასამართლომ უკანონოდ უნდა სცნოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება. ამით ნორმატიული აქტები რეგისტრაციაშიც გადატრდება და "ძველებს" უფლებამოსილებაც გაუგრძელდებათ მანამ, სანამ ახალი საკრებულო მუშაობის დაწყებას შეძლებს.*

ზურაბ გუდავაძე აცხადებს, რომ ძველი მოწვევის საკრებულო კონსულტაციებს მართავს პარტიებთან და ყველა პოლიტიკური ძალა ცალსახად აფიქსირებს თავის პოზიციას – თბილისს საკრებულო უნდა ჰყავდეს. ამით დედაქალაქი პირდაპირ საპრეზიდენტო მმართველობას ასცდება.

ამის მიუხედავად, სხვადასხვა პოლიტიკური პარტია განსხვავებული ემოციით შეხვდა ცნობას იმის თაობაზე, რომ ძველი მოწვევის საკრებულო სასამართლოს გზით შეეცდება საკუთარი უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე კატეგორიული ქართველ ლეიბორისტთა ლიდერი შალვა ნათელაშვილი აღმოჩნდა. "24 საათთან" საუბარში მან განაცხადა:

**"ჩემი პოზიცია ცალსახაა – 2 ივნისს არჩეული საკრებულო უნდა შედგეს. იგი აქამდეც უნდა შეკრებილიყო, რომ არა ის მოვლენები, რისი მომსწრენიც ჩვენ გავხდით. შევარდნაძემ "შესანიშნავი" ნაბიჯი გადადგა და მოახდინა ახლადარჩეული საკრებულოს პარალიზება. ძველი საკრებულო შეიკრიბება თუ ქალაქს ახალი საკრებულო არ ეყოლება, ეს ერთი და იგივეა. ძველი საკრებულო არის ვანო ზოდელავას ნების ბრმა შემსრულებელი. სწორედ ზოდელავასა და მისი ხროვისთვის "გაისროლა ავრორამ". ქალაქის ძარცვა-გლეჯაც უფრო დაჩქარებული ტემპებით გაგრძელდება. ეს არის სამწუხარო რეალობა. თუ სასამართლო არ დააკმაყოფილებს "ძველების" სარჩელს, ეს მთლად ცხონება იქნება ზოდელავასთვის. რა წილიც იყო აქამდე მისაცემი ძველი საკრებულოსთვის, ისიც აღარ იქნება საჭირო. მთლიანობაში, შეიქმნა ისეთი ვითარება, როდესაც ლეიბორისტული პარტიის პირველობა არ აწყობთ არც ერთ პოლიტიკურ ძალას – არც პოზიციურს, არც ოპოზიციურს. მათ შორის ნაციონალურ მოძრაობას. სწორედ მათ შეიტანეს სარჩელი სასამართლოში და და ამას მოჰყვა საკრებულოს არჩევნების შედეგების გაუქმება. ახლა გადათვალა რომ დაიწყება, ნახავთ, რა აურზაური იქნება. ეს სანახაობა ჯერ წინ გვაქვს. ყველა ცდილობს, ჩვენი გამარჯვების ნიველირება მოახდინონ, ჩაშალონ საკრებულო, ჩაატარონ ახალი არჩევნები უკვე მოქალაქეთა კავშირის გამოკვეთილი ლიდერობით, მთელი სახელმწიფო მანქანის მობილიზებით, გაყალბებებით. მათ უნდათ, გახდნენ ლიდერები, რათა საპარლამენტო არჩევნების წინ მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიიპყრონ იმით, რომ სახელისუფლებო პარტია რევანშს იღებს და ის ისე განწირული, გარდაცვლილი არ ყოფილა, როგორც ეს მსოფლიოში ეგონათ. პირველ რიგში, მათ საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციები აინტერესებთ. როცა მოქალაქეთა კავშირმა ხმების 2 პროცენტი აიღო, ეს იყო უზარმაზარი დარტყმა შევარდნაძეზე და მის სისტემაზე. ახლა უნდათ ამ ვითარების გამოსწორება. მიდის მკვეთრად გამოხატული, გლობალური ბრძოლა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინ".**

"24 საათთან" საუბრისას ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული პოზიციები დააფიქსირა ორმა "მოძმე" პოლიტიკურმა ძალამ – "ნაციონალურმა მოძრაობამ" და "გაერთიანებულმა დემოკრატებმა".

**კობა დავითაშვილი:**

**"კანონში ნათლად არის დათქმული ვადა და ძველი მოწვევის საკრებულოს ეს ვადა გასული აქვს. მათი უფლებამოსილება უკვე შეწყვეტილია. კანონში ცვლილების გარეშე მათთვის უფლებამოსილების გაგრძელება შეუძლებელია. ტყუილია, თითქოს კანონი ორნაირად წაკითხვის საშუალებას იძლევა. თუ "ძველები" გაიმარჯვებენ, ეს კანონის მორიგი დარღვევა იქნება, რომელიც ჩვენ აღარ გაგვიკვირდება.**

**დავით ხუციშვილი** (იგი ძველი მოწვევის საკრებულოს წევრიც არის):

**"თუ ახლად არჩეულ საკრებულოს არ ეძლევა საქმიანობის დაწყების უფლება, მაშინ ევროქარტიის პრინციპებიდან გამომდინარე უნდა ვიმსჯელოთ. არ შეიძლება თვითმმართველობაში წყვეტა იყოს. ძველ საკრებულოს ავტომატურად უნდა გაუგრძელდეს უფლებამოსილება. სამწუხაროდ, ამ მოსაზრებას ოპონენტები გამოუჩნდნენ. ამის მიუხედავად ჩვენ, პირველ რიგში, ვიხელმძღვანელებთ ევროქარტიის პრინციპებით. მინდა გითხრათ, რომ ჩემი პარტიის ხელმძღვანელობასთან ამ ბოლო დროს კონსულტაციები არ მქონია. მათთვის ჩემი პოზიცია ცნობილია და მათი მხრიდან არანაირი წინააღმდეგობა არ არსებობს. ასე რომ, ეს ჩვენი პარტიის ერთიანი პოზიციაა. თავის დროზე ჩვენ წინააღდეგი ვიყავით ძველი საკრებულოსათვის უფლებამოსილების გაგრძელებისა, რადგან ვერ წარმოვიდგენდით, არჩევნების მერე ამდენი რამ თუ მოხდებოდა. თუმცა, სახელმწიფომ ყველფერი გააკეთა იმისათვის, რომ ახლადარჩეულ საკრებულოს პრობლემები შექმნოდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ მივცემთ ჩვენს თავს იმის უფლებას, რომ ხელისუფლების ქმედებები უკონტროლოდ დარჩეს. წინ არის "თბილგაზის" გაყიდვა, ელექტორენერგიაზე ტარიფის მომატება... ამ პრობლემებზე ჩვენს გარდა ხმას, ფაქტობრივად, არავინ იღებს. შეიძლება, მავანს და მავანს აწყობდეს, რომ არც ძველს გაუგრძელდეს ვადა და ვერც ახალი საკრებულო შეიკრიბოს. სწორედ ამის წინააღმდეგი ვართ ჩვენ. ძველი საკრებულოსთვის უფლებამოსილების გაგრძელება ჩვენი აკვიატებული იდეა ნამდვილად არ არის. ბედის ანაბარა არ უნდა დარჩეს ის პროცესები, რომელიც დედაქალქში მიმდინერეობს".**

ერთი სიტყვით, ახლა ყველაზე საინტერესო პროცესები პოლიტიკურ კულუარებში მიმდინარეობს. გარიგებების შედეგებიც, ალბათ, სასამართლოს გადაწყვეტილებისთანავე გახდება ცნობილი.

# მოსკოვიდან უფრო ახლოს მოჩანს აფხაზეთი

რუსუდან ნიკურაძე

საქ.კორ.მოსკოვში

ერთხელ, მოსკოვში ყოფნისას ქართველი პარლამენტარი გიორგი ბარამიძე რუს პარლამენტარ ბორის პასტუხოვს დაემუქრა, თუ აფხაზეთში არ დაგვეხმარებით, სხვა პატრონს ვნახავთო. იმ დღის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, პატრონი არ გამოჩნდა, ხოლო რუსეთი, როგორც ხელს აძლევდა, ისე დაგვეხმარა. ჩვენ კი, ისევ უნაყოფო დიალოგს ვაგრძელებთ, ჩანს ეს ჩვენ გვაძლევს ხელს.

მოსკოვში ყოფნისას აფხაზეთის ე.წ. პრემიერი ჯერგენია რუსეთის ხელისუფლების მაღალი კაბინეტებიდან არ გამოდის, შიგადაშიგ პრესკონფერენციებს მართავს და ადგილობრივ მას-მედიასთან ხმაშეწყობილად გმობს საქართველოს ხელისუფლების კორუმპირებულ ფენას, რომელიც აფხაზეთში ახალ ომს გეგმავს. ლოგიკურია, რომ აფხაზეთს სამხრეთ ოსეთიც ბანს აძლევს და იმეორებს, რომ თბილისი ცხელ რეგიონებში ჩეჩენ დაქირავებულებს აგზავნის. მოსკოვში ფორმდება მსხვილი ეკონომიკური პროექტები ომის დროს დანგრეული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეკონომიკის გაჯანსაღების შირმით. ამ ოპერაციაში, საუბედუროდ, ზოგიერთი ქართველი პარლამენტარი და მაღალი ჩინიც მონაწილეობს, რომ არაფერი ვთქვათ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში საქართველოს პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელზე.

თუკი აფხაზეთის პრივატიზაციაში რუსი ჩინოვნიკები დაწინაურდნენ, ამის სანაცვლოდ მოსკოვი თვალს ხუჭავს იმაზე, რომ ქართველ მინისტრსა და ჩინოვნიკს, მოსკოვში საკუთარი გამართული ბიზნესი აქვს და დღეს რუსეთის ეკონომიკის სხვადასხვა კერძო სექტორი ზოგი ქართველი პარლამენტარის, პოლიტიკოსისა და ჩინოვნიკის ჯიბეს ასქელებს. უთუოდ ამიტომაც ვერ შეედავები რუსებს, რომლებსაც გულწრფელად სწყდებათ გული იმაზე, თუ რატომ ვხერხავთ ქართველები იმ ტოტს, რომელზედაც ვზივართ. ამას ხომ აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და აჭარის გაშლილ სუფრებთან მუქთა ქეიფი სჯობდა?

რუსეთის პოზიცია, ისევე, როგორც კოკოევის და ჯერგენიასი, გასაგებია, მაგრამ რის ფასად ყიდიან ქართველები ქვეყნის ღირსებას? ავი ენები ამბობენ, აფხაზებთან ერთად, გამარჯვების იუბილესაც აღნიშნავდნენო მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში; ამიტომაც, გასაკვირი აღარ უნდა იყოს, თუკი ხვალ-ზეგ თბილისს საკუთარ მიწაზე გადატანილი ძმათამკვლელი ომის სამარცხვინოდ დასრულების თარიღიც აღარ ემახსოვრება. ან თუ ემახსოვრება, ვერაფერს ილონებს ომის "ღირსეულად" გადავიწყების გარდა.

## ბიზნესის ამბები

## ნიუ-იორკის ბირჟაზე ნავთობის ფასმა 29 დოლარს გადააჭარბა

გუშინ ნიუ-იორკის ბირჟის NYMEX-ის ვაჭრობებზე ერთი ბარელი ნავთობის ფასმა 29,06 დოლარს მიაღწია. ნავთობის ფასი უფრო მეტად გაიზარდა ევროპის ბირჟებზე. აშშ-ში ნავთობის ფასის ზრდა ერაყთან ომის მოლოდინმა გამოიწვია. ბაზარზე ასევე მოახდინა გავლენა აშშ-ს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ, რომ გასულ კვირას ამერიკაში ნედლი ნავთობის მარაგმა 7,2 მილიონი ბარელით დაიკლო. თუმცა American Petroleum Institute-ის ინფორმაციით, კლება გაცილებით მეტი იყო.

## ევროპა წყალდიდობით მიყენებულ ზარალს ითვლის

ევროპაში შეუდგნენ წყალდიდობის შედეგად მიყენებული ზარალის დათვლას. ზარალის სიდიდემ ევროპული სადაზღვევო კომპანიები საგონებელში ჩააგდო. "უბრალოდ, წარმოუდგენელია, რომ ასეთი დიდი ტერიტორია – დიდი ბრიტანეთიდან შავ ზღვამდე – ერთდროულად დაიტბორა", - განუცხადა სააგენტო "როიტერს" შვეიცარიული სადაზღვევო კომპანია Swiss Re-ს განყოფილების ხელმძღვანელმა ივო მენზინგერმა. პრესაში გამოქვეყნებული და ოფიციალური ინფორმაციის ანალიზის შედეგად, მენზინგერი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წყალდიდობამ ავსტრიას სამი მილიარდი ევროს ზარალი მიაყენა, ჩეხეთს – ორ მილიარდ ევროზე მეტი, გერმანიას კი - არანაკლებ ერთი მილიარდი ევროსი. თუმცა, ეს მონაცემები საბოლოო არ არის.

რაც ყველაზე გასაკვირია, სადაზღვევო კომპანიები აღდგენით სამუშაოებში საკუთარ როლს მოკრძალებულად აფასებენ. საქმე ისაა, რომ ჩეხეთის, გერმანიისა და ავსტრიის მცხოვრებთა საკმაოდ დიდი ნაწილი არ იყო წყალდიდობით მიყენებულ ზარალზე დაზღვეული. შესაბამისად, ის თანხა, რაც სადაზღვევო კომპანიებმა უნდა გადაიხადონ, რუსული გაზეთის "ვედომოსტის" ცნობით, 0,6-1,2 მილიარდი ევროა. ამდენად, ზარალის დიდი ნაწილის ანაზღაურება მთავრობებს მოუწევთ.

## „მერილ ლინჩმა„ და „ვარბურგმა„ კორეული კომპანიები „გაყიდეს„

თორნიკე შარაშენიძე

მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს საინვესტიციო ბანკს, "მერილ ლინჩსა" და შვეიცარიის გაერთიანებული ბანკის ფილიალს, "იუ-ბი-ეს ვარბურგს" უმკაცრესი სანქციები ელით სამხრეთ კორეის ხელისუფლებისაგან. როგორც ეჭვობენ, ამ ორმა საბანკო გიგანტმა უხეშად დაარღვია კორპორაციული კანონები და ბიზნეს-ეთიკის ნორმები კორეულ კომპანიებთან მიმართებაში. გამოძიებამ დაადგინა, რომ "მერილი" და "ვარბურგი" თავის ფავორიტ კლიენტებს მუდმივად აწვდიდნენ ინფორმაციას კორეულ კომპანიათა შესახებ, რისი უფლებაც, ცხადია, არანაირად არ ჰქონდათ. დაზარალებულ კორეულ კომპანიათა შორის რამდენიმე საქვეყნოდ ცნობილი სახელია, მათ რიცხვში - "სამსუნგ ელექტრონიქზი."

სპეციალური კომისია ამ დღეებში განიხილავს საქმეს, რომლის დროსაც შემოწმებული იქნება "მერილ ლინჩისა" და შვეიცარის გაერთიანებული ბანკის, "ვარბურგის" კორეული ფილიალების დოკუმენტაცია, ელექტრონული ფოსტა და სატელეფონო საუბრები ბოლო 15 თვის განმავლობაში. ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში ამ განყოფილებათა თანამშრომლებს მკაცრი სასჯელი ელით. მათგან ზოგიერთს გაურკვეველი ვადით აეკრძალება მოღვაწეობა, ზოგიერთს კი ჯამაგირი შეუმცირდება. ორივე ბანკის ფილიალი მკაცრ გაფრთხილებას მიიღებს იმის თაობაზე, რომ მომავალში კანონდარღვევის აღმოჩენა მათთვის მეტად სავალალო შედეგებით დასრულდება. კერძოდ, ექვსი თვით შეწყდება მათი საქმიანობა ქვეყანაში. სანქციების გატარების შემდეგ კი ორივე ფილიალი უმკაცრესი მეთვალყურეობის ქვეშ იქნება, ასე რომ, არანაირი კანონდარღვევა არ დაიმალება.

კომისია კონკრეტულ ბრალდებას არ აყენებს. ცნობილია მხოლოდ, რომ "მერილი" და "ვარბურგი" მალულად ამარაგებდნენ "ვილაცეებს" (ვის - ჯერჯერობით არაა ცნობილი) კონფიდენციალური ინფორმაციით "სამსუნგისა" თუ სხვა კომპანიების შესახებ (წაგება-მოგება, აქციათა მოსალოდნელი დაწევა თუ აწევა), რის შედეგადაც "ვილაცეებმა" გვარიანი მოგება ნახეს.

სეულის ამ ნაბიჯებს უკმაყოფილებით შეხვდნენ კორეაში მოღვაწე უცხოური ბანკები. მათი წარმომადგენლების თქმით, ბოლო ხანს ადგილობრივი ხელისუფლება მეტისმეტად აგრესიულადაა განწყობილი მათ მიმართ და ნამდვილი "კუდიანებზე ნადირობა" აქვს გამართული, რასაც საფუძვლად ერთი მიზანი უდევს – აღმოაჩინოს უცხოელი კანონდამრღვევები.

სპეციალისტთა თქმით, სეულის ამგვარი ქმედების უკან, შეიძლება, პოლიტიკური მოტივები იმალებოდეს. ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება და ამ დროს ურიგო არ იქნება, საკუთარ მოსახლეობას დანახო, რომ უცხოური კომპანიები არამც და არამც არ არიან პრივილეგირებულნი კანონის წინაშე. ეს მით უფრო მომგებიანი იქნება მოსახლეობის თვალში, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხრეთ კორეელებს აშკარად აღიზიანებთ ამერიკის მტრული დამოკიდებულება მათ ჩრდილოელ მეზობელთან – კომუნისტურ კორეასთან, რომელსაც ვაშინგტონი "ბოროტების ღერძს" უწოდებს.

ასეა თუ ისე, ეს კიდევ ერთი სერიოზული სკანდალია "მერილ ლინჩისათვის." არც ისე დიდი ხნის წინ ამ საინვესტიციო ბანკს 100 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა ამერიკელ აქციონერთა შეცდომაში შეყვანისათვის. ასე რომ, კორეელები საკმაოდ იოლად დაარწმუნებენ საზოგადოებას, რომ მათი ქმედების უკან პოლიტიკური მოტივები არ დგას, რადგან ბრალდებას უკვე სახელგატეხილ კომპანიას უყენებენ.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 11 - 17 აგვისტოს მდგომარეობით




### მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.651 | 0.6414 | 0.0056 |
| US$ | 1.5359 | | 0.9853 | 0.0085 |
| €uro | 1.5596 | 1.015 | | 0.0087 |
| ¥en | 180.11 | 117.28 | 115.54 | |

### 2002 წლის 17 აგვისტოდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1293 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3363 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4566 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1756 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3306 ლარი |
| იაპონური იენი. | 10 | 0.1851 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0689 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4445 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3847 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0830 ლარი |

# "სელფორდ"-"ტელენორის" "პიარის" ფუნქციებს მთავრობა ასრულებს

პირველი გვერდიდან

ცოტა რამ "ელექტროკავშირის" უახლესი წარსულიდან: 10 ივნისს, სრული კონფიდენციალობის პირობებში, ხელშეკრულებას "კვლევითი მომსახურების შესახებ" ხელს "საქართველოს ელექტროკავშირის" გენერალური დირექტორი თემურ ბუცხრიკიძე, "ტელენორ მენეჯმენტ პარტნერზის" მენეჯერი ქრისტიან ერლანდლესი და "სელფორდ კონტინენტალ ინკ."-ის წარმომადგენელი, ვინმე ვლადიმირ ანუროვი აწერენ. "24 საათის" ინფორმაციით, ხელმოწერამდე კონტრაქტს გაეცნენ ქონების მართვის მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილი.

სამმხრივი ხელშეკრულებით, "საქართველოს ელექტროკავშირის" ძირითადი მეპატრონე - ქონების მართვის სამინისტრო - შანსს აძლევს სრულიად უცნობ კომპანია "სელფორდ კონტინენტალ ინკ."-ს, სახელმწიფოს სტრატეგიულ საწარმოში საკუთარი მენეჯმენტით შევიდეს. ხელშეკრულების მიხედვით, ასეთივე შანსი ეძლევა ცნობილ ნორვეგიულ სატელეკომუნიკაციო გიგანტს - "ტელენორსაც". მოგვიანებით ირკვევა, რომ "ელექტროკავშირის" მიმართ "სელფორდსაც" და "ტელენორსაც" ერთობლივი მართვის ინტერესი გააჩნიათ. თუმცა, დავუბრუნდეთ ხელშეკრულების არსს, რომლის მიხედვითაც, "ელექტროკავშირს" კრიზისის დაძლევისა და განვითარებისათვის ბიზნეს-გეგმა სჭირდება. ამისათვის, ქართული კომპანიის ხელმძღვანელობა კონტაქტზე გადის ნორვეგიულ უმსხვილეს ოპერატორ "ტელენორთან", რომელიც იღებს ვალდებულებას, შეისწავლოს "ელექტროკავშირის" მდგომარეობა და 2002 წლის სექტემბრისთვის უკვე მზა ბიზნეს-გეგმა წარადგინოს. "ტელენორი" ბიზნეს-გეგმის მომზადებისთვის 200 ათას დოლარს ითხოვს, რომელიც "ელექტროკავშირმა" ორ ნაწილად – 100-100 ათას დოლარად უნდა გადაიხადოს. აქ უკვე ფინანსურ თამაშში ერთვება "სელფორდი", რომელიც თანახმაა, "ელექტროკავშირს" ხელი გაუმართოს და 200 ათასი დოლარი მის ნაცვლად გადაიხადოს. ამ ჟესტის საპასუხოდ, "სელფორდი" მისთვის ფინანსური ინვესტორისა და მრჩევლის სტატუსის მინიჭებას ითხოვს.

"სელფორდი" ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიაა, რომელიც საკონსულტაციო საქმიანობას აწარმოებს. კომპანიას ხელმძღვანელობს რუსეთში დაბადებული ბიზნესმენი იუჯინ ჯაფე, "სელფორდის" თბილისის ოფისს კი – გიორგი ბედინეიშვილი, რომელიც თბილისში რამდენიმე თვის წინათ მისი ერთ-ერთი საქმიანი კლიენტის თხოვნით დაბრუნდა. "24 საათთან" საუბრისას გიორგი ბედინეიშვილმა განაცხადა, რომ "სელფორდის" მომსახურებით საქართველოში, ექსკლუზიურად, ბადრი პატარკაციშვილი სარგებლობს.

რაც შეეხება "სელფორდ"-"ტელენორის" ტანდემს, "ტელენორის" მთავარი ვიცე-პრეზიდენტი ოდ სორდელი, პარტნიორად "სელფორდის" არჩევის მოტივად, ამ კომპანიასთან რამდენიმეწლიან ურთიერთობას ასახელებს. მისი თქმით, "სელფორდი" ნორვეგიულ კომპანიას პარტნიორობას რუსეთის მობილური კავშირგაბმულობის ერთ-ერთ წამყვან ოპერატორ - "ვიმპელკომთან" დადებულ გარიგებაშიც უწევდა. 1999 წელს "ტელენორმა" "ვიმპელკომის" აქციათა 25-პროცენტიანი პაკეტი 160 მილიონ დოლარად შეიძინა. გარდა ამისა, სორდელის თქმით, "ტელენორი" და "სელფორდი" ამჟამად ლიბიასა და საუდის არაბეთში კიდევ ორ ერთობლივ პროექტს ახორციელებენ.



ოდ სორდალი, გიორგი ბედინეიშვილი და იუჯინ ჯაფე

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

სხვათა შორის, "ტელენორმა" "ელექტროკავშირში" შესვლა ადრეც სცადა. ამისათვის, ნორვეგიული კომპანიის მიწვევით, ოსლოში იმყოფებოდნენ "ელექტროკავშირის" ყოფილი გენერალური დირექტორი თემურ ბუცხრიკიძე, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილი და კავშირგაბმულობის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე. ამ უკანასკნელის თქმით, რამდენიმე თვის წინათ, "ტელენორს" სურდა "ელექტროკავშირში" ერთობლივი ნორვეგიულ-ქართული დირექტორატის შექმნა, რომელშიც ორივე მხარის სამ-სამი წარმომადგენელი შევიდოდა. მისი თქმით, ამ მოდელის დასაფინანსებლად "ტელენორი" მოლაპარაკებას მსოფლიო ბანკთან აწარმოებდა, თუმცა, მაშინ ეს პროცესი ნორვეგიული კომპანიისთვის წარუმატებლად დასრულდა.

ნორვეგიელთა მეორედ მოსვლა გაცილებით წარმატებული, თუმცა, უფრო ხმაურიანი აღმოჩნდა. სკანდალური ხელშეკრულების საკითხმა "24 საათის" ფურცლებიდან სახელმწიფო კანცელარიაში გადაინაცვლა. ათი დღის წინათ, სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ სოლომონ პავლიაშვილს მუშა-ჯგუფის შექმნა დაავალა.

მუშა-ჯგუფის ბოლო, მეორე შეხვედრაზე პავლიაშვილმა ყველა დაინტერესებულ მხარეს უხმო, "ტელენორ"-"სელფორდით" დაწყებული და არასამთავრობოებით დასრულებული, რის გამოც შეხვედრა ზედმეტად ხმაურიანი და ნაკლებად შედეგიანი აღმოჩნდა. პავლიაშვილმა შეხვედრაზე შეკრებილ საზოგადოებას "ელექტროკავშირის" ყოფილი გენერალური დირექტორი თემურ ბუცხრიკიძე წარუდგინა. მან ხელშეკრულების გაფორმებისთანავე თანამდებობის დატოვება ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით ახსნა (მას, თურმე, მძიმე ფორმის პოლიართრიტი აქვს). დაახლოებით ორი თვით გამქრალი ბუცხრიკიძის კვალს "24 საათმა", თავის დროზე, ვერც თბილისში, ვერც წეროვნის აგარაკზე მიაგნო – ოჯახის წევრის განცხადებით, იგი ნესტიან ბათუმში ისვენებდა. მნიშვნელოვანია, რომ შეხვედრაზე ბუცხრიკიძის მოულოდნელმა გამოჩენამ და მისმა არგუმენტებმა მის მიმართ არსებული ეჭვები ვერ გააქარწყლა. უფრო მეტიც, უშიშროების მინისტრის მოადგილის, ლაშა ნაცვლიშვილის განცხადებით, ბრალდებები "სელფორდის" კი არა, სწორედ "ელექტროკავშირის" ხელმძღვანელობის მიმართ უნდა ისმოდეს, რომელმაც, უყაირათო მენეჯმენტის წყალობით, **"ეს უდიდესი კომპანია 200 ათასი დოლარის მათხოვრად აქცია".** უშიშროების სამინისტროს ბუცხრიკიძისადმი სხვა, უკვე აღძრული სისხლის სამართლის საქმედ ჩამოყალიბებული ბრალდებებიც აქვს, რაც "ელექტროკავშირის" მიერ, ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, 800 ათას ლარზე მეტი თანხის ბიუჯეტისთვის დაფარვას და გათეთრებას ეხება. ნაცვლიშვილმა "24 საათთან" საუბარში ახსენა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც "ელექტროკავშირის" ყოფილ გენერალურ დირექტორს, თემურ ბუცხრიკიძესა და გალის რაიონის სოფელ ოტობაიას მკვიდრ, ინდივიდუალურ მეწარმე, ვინმე გოგიტა გითოლენდიას შორის 301 ათასი ლარის ოდენობის საკომუნიკაციო მოწყობილობების მიწოდების შესახებ კონტრაქტის გამოა აღძრული. **"ამ მიწოდებული პროდუქციის მკაცრი აღრიცხვიანობის დოკუმენტაცია, პრაქტიკულად, "ელექტროკავშირმა" ვერ წარმოადგინა. ახლა გოგიტა გითოლენდია ემალება გამოძიებას და იმყოფება აფხაზეთში. ეს ყველაფერი არის ფულის გათეთრების სქემა",** - აღნიშნა ლაშა ნაცვლიშვილმა.

უცხოელი ინვესტორებისადმი ("სელფორდის" შემთხვევაშიც) ეჭვებისა და შიშების არსებობის საფუძვლიანობას საქართველოს ხელისუფლებაც აღიარებს. ქონების მართვის მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი ინვესტორებისა და ადგილობრივი პარტნიორების მიერ საქართველოში აწყობილ, კარგად ნაცად და ნაყოფიერ სქემებზე საუბრობს, რომელთა მოქმედებაც სახელმწიფო ინტერესებს აზიანებს. პავლიაშვილს, მისივე თქმით, ბევრი ასეთი სქემა უნახავს მოქმედებაში და კარგად იცის, რამდენად ძლიერად არის ისინი შეკრული. ამის გათვალისწინებით, მით უფრო საკვირველია, რატომ დაიმშვიდეს გული იუსტიციისა და უშიშროების სამინისტროების მაღალჩინოსნებმა, რომლებსაც გასაცნობად მხოლოდ ცნობილი სამმხრივი ხელშეკრულება მიაწოდეს და არა პროცესთან დაკავშირებული სრული კორესპონდენცია, რაც საქმის ვითარებაზე უფრო სრულყოფილი და კომპეტენტური აზრის შექმნას შეუწყობდა ხელს. ამის თაობაზე მხოლოდ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს წარმომადგენელმა, კახა ნიკურაძემ გამოთქვა შენიშვნები, რომელთა უგულვებელყოფა მუშა-ჯგუფის სხვა წევრებმა ვერ შეძლეს, თუმცა, ამას შეხვედრის შედეგი არ შეუცვლია.

ჯგუფის წევრებმა არც ის მიიჩნიეს საეჭვოდ, რომ "ელექტროკავშირთან" მიმართებაში "სელფორდის" გაცხადებული ინტერესები დღითიდღე ამბიციური ხდება. თუ პროცესის დაწყებისას "სელფორდის" სერიოზულ დაინტერესებაზე მხოლოდ "24 საათი" საუბრობდა, ახლა თავად ამ კომპანიის წარმომადგენლები აფიქსირებენ, რომ მათი ინტერესები ქართული სატელეკომუნიკაციო კომპანიის მიმართ მხოლოდ ბიზნეს-გეგმის შედგენის დაფინანსებით არ ამოიწურება. "სელფორდის" გამჟღავნებული გეგმებიდან ცხადი ხდება, რომ ეს კომპანია იქნება ფინანსური მრჩეველიც და, რაც მთავარია, ის და "ტელენორი" უკარნახებენ ხელისუფლებას, თუ რა სახით და ფორმით გააგრძელებენ "ელექტროკავშირთან" ურთიერთობას. გუშინ გამართულ მუშა-ჯგუფის სხდომაზე, რომელიც, პავლიაშვილის თქმით, უკანასკნელი იყო, "ტელენორის" ვიცე-პრეზიდენტმა, ოდ სორდელმა პირდაპირ განაცხადა, რომ აგვისტოს ბოლოს მისი კომპანია ქართულ მხარეს ორ დოკუმენტს წარუდგენს. პირველი "ელექტროკავშირის" ბიზნეს-გეგმა იქნება, ხოლო მეორე – "ტელენორისა" და "სელფორდის" ერთობლივი წინადადება იმ როლის თაობაზე, რომელსაც ისინი "ელექტროკავშირში" უახლოესი მომავლიდან შეასრულებენ.

თუ "ელექტროკავშირთან" გაფორმებული ხელშეკრულება ხელისუფლებამ, მართალია, ამოქმედების შემდეგ, მაგრამ მაინც მოიწონა, "ტელენორის" ჯერ არშექმნილი ბიზნეს-გეგმის განხილვას ქართველი ჩინოვნიკები განსაკუთრებული გულისყურით აპირებენ, ისე, როგორც ეს ეროვნული უშიშროებისთვის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს შეეფერება. ოღონდ, ამ შემთხვევაში, მათ "ტელენორსა" და "სელფორდთან" შეთანხმება მოუწევთ იმის თაობაზე, თუ კომერციული საიდუმლოების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, რისი განხილვაა დაშვებული საჯაროდ და რისი – არა.

"ელექტროკავშირის" "ტელენორსა" და "სელფორდთან" ურთიერთობების საჯაროობაზე ზრუნვა ხელისუფლებამ დიდი დაგვიანებით დაიწყო. თავის მხრივ, შექმნილი პრობლემების გამო, "სელფორდიც" ნანობს (ალბათ, არაგულწრფელად), რომ, "ტელენორთან" ერთობლივი პროექტის განხორციელების პარალელურად, საქართველოში PR-კამპანია არ აწარმოა. თუმცა, რეალურად მათ ეს არაფრად სჭირდებათ - მათი ინტერესების დაცვას ხომ საქართველოს მთავრობაც მშვენივრად ახერხებს. მუშა-ჯგუფის ბოლო შეხვედრა დამსწრე ხელისუფალთა მიმართ "სელფორდის" წარმომადგენელთა მიერ მადლიერების გამოხატვით დასრულდა. "სელფორდი" მხარდაჭერისთვის იხდიდა მადლობას, პავლიაშვილმა კი ბედინეიშვილი დაამშვიდა, რომ მასმედიაში შექმნილი აჟიოტაჟის გამო ნერვიულობა არ მართებს...

# ჩუბინიშვილმა "ეი-ი-ესს" ელექტროენერგიის ტარიფში ზედმეტი თეთრები უპოვა

პირველი გვერდიდან

ჩუბინიშვილი მოითხოვს, რომ შევარდნაძემ "ეი-ი-ესთან" მოლაპარაკება მთავრობას დაავალოს. **"მას შემდეგ, რაც მთავრობამ "ეი-ი-ესს" კაბალური ხელშეკრულება გაუფორმა, ტარიფის ზრდის საკითხებით არც დაინტერესებულა და ეს თემა პარლამენტს, საკრებულოს, პოლიტიკურ პარტიებსა და სემეკს გადაულოცა. არადა, ამ ხელშეკრულებით "ეი-ი-ესისთვის" ზედმეტი უფლებების მინიჭება სწორედ აღმასრულებელი ხელისუფლების დანაშაულია. ასე რომ, მთავრობამ "ეი-ი-ესთან" თავად უნდა არკვიოს ურთიერთობები,"** – მიაჩნია ჩუბინიშვილს.

როგორც ენერგეტიკის საპარლამენტო კომისიამ გამოთვალა, ერთი და იგივე ხარჯის ორჯერადად გათვალისწინებამ ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი გაზარდა. **"ტარიფის ფორმირების მექანიზმებში არის ეკონომიის სხვა საშუალებებიც, რისი გათვალისწინებითაც, თუ "ეი-ი-ესისა" და მთავრობის მოლაპარაკება შედგება და კეთილი ნებაც იქნება, ტარიფში 3-4 თეთრის ეკონომიის გამონახვის საშუალება, შეიძლება, გამოიძებნოს,"** – მიიჩნევს ჩუბინიშვილი.

"იტერას" შემოსვლასთან დაკავშირებით, ჩუბინიშვილი იხსენებს, თუ როგორ გაუჩინარდა 115 მილიონი ლარი "ეი-ი-ესთან" ხელშეკრულების გაფორმების დროს. მაშინ სტრატეგიული საწარმოს თანამდევი ვალებითურთ გასხვისება სახელმწიფომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია და "თელასს" "საქენერგოსადმი" 135 მილიონ ლარიანი დავალიანება ჩამოაწერა. მოგვიანებით კი, როცა "თელასში" "ეი-ი-ესი" შევიდა, მან ძველი დავალიანებებიდან 20 მილიონ ლარზე მეტი ვერ იპოვა. **"შედეგად, ჰაერში დარჩენილი 115 მილიონი ლარის საკითხი, რომელიც მომხმარებლებს არ ეწერა, ბოლომდე გაურკვევლად დარჩა. ახლაც არ გვაქვს გარანტია, რომ "თბილგაზთან" დაკავშირებითაც იგივე არ მოხდება,** - აცხადებს ჩუბინიშვილი, **- პოსტ-ფაქტუმ კი კომისიების შექმნას რა აზრი აქვს. საკრებულოსაც და პარლამენტსაც ასეთ საკითხებზე აზრი ახლა უნდა ჰკითხონ."**

და ბოლოს: როგორც გაირკვა, სექტემბრის დასაწყისში საპარლამენტო კომისია პროკურატურას პასუხს მოსთხოვს ძველ საქმეებთან დაკავშირებით, რომელთა შესახებ მასალებიც პროკურატურას ამ ერთი თვის წინ გადაეცა. სექტემბრამდე კომისია "ფა-პეტის", "იბერია პრაიმ კაპიტალის", "რელასისა" და "საქენერგოს" ბუღალტრის - ჯღამაძის "სქელტანიან საქმეებს" "თბილსრესში" არსებული დარღვევების, საბითუმო ბაზრისა და "ელექტროგადაცემის" საქმეებსაც დაამატებს. ჩუბინიშვილი ვარაუდობს, რომ ერთ-ერთ გახმაურებულ საქმესთან – "ფა-პეტთან" დაკავშირებით საპარლამენტო კომისიის მიერ მოკვლეულმა მასალებმა ამ ფირმას ზესტაფონის "ფეროს" 51-პროცენტიანი საკონტროლო პაკეტის შესყიდვის ფიქრზე ხელი უნდა აალებინოს.

# დრეზდენი დაიტბორა

გუშინ ელბამ დრეზდენის ცენტრი დატბორა. მდინარის დონემ 9 მეტრით აიწია და კვლავაც აგრძელებს მატებას. სპეციალური ბრიგადები, რომლებიც ცვინგერის სასახლისა და ოპერის თეატრის გადარჩენას ცდილობდნენ, იძულებული გახდნენ, ორივე შენობა ბედის ანაბარა მიეტოვებინათ. ქალაქის ხელისუფალთა აზრით, მდინარე იმდენად სწრაფად ადიდდა, რომ მათ ბევრის გაკეთება ვერ მოასწრეს.

მართალია, მოსახლეობის ევაკუაცია მასობრივად მიმდინარეობს, მაგრამ წყალდიდობამ უკვე 14 კაცის სიცოცხლე შეიწირა. მათი უმრავლესობა ტურისტია. ისინი ძალზე იშვიათი სანახაობისთვის თვალის შესავლებად დატბორილ დრეზდენს ათასობით მოაწყდნენ და მნიშვნელოვნად ურთულებენ საქმეს მაშველთა ბრიგადებს.

ის, რაც კიდევ უფრო აღიზიანებს დრეზდენის მერს - ინგოლფ როსბერგს, ე.წ. "პოლიტიკური ტურიზმია". გერმანიაში 5 კვირის შემდეგ ფედერალური არჩევნებია დანიშნული და პოლიტიკოსები შანსს არ უშვებენ ხელიდან, რომ მოსახლეობას თავიანთი თანაგრძნობა და სიმამაცე აჩვენონ. ქალაქის ხელისუფალნი, იმის მაგივრად, რომ საქმეს მიხედონ, იძულებულნი არიან, ლამის მთელ მთავრობასა და ოპოზიციას უმასპინძლონ. თუმცა, ამას ერთი დადებითი ასპექტიც აქვს - გერმანიის ხელისუფლება დაზარალებული რაიონებისათვის ფულს არ იშურებს და ასეულობით მილიონ ევროს გამოყოფს.



დრეზდენი. ცვინგერის კომპლექსი

REUTERS

# „ფრიდომჰაუსი„: საქართველოში დემოკრატია რეგრესს განიცდის

შოთა უტიაშვილი

*დემოკრატიული განვითარების პროცესი საქართველოში არათანაბრად მიმდინარეობს. ქვეყანამ სერიოზულ პროგრესს მიაღწია სამოქალაქო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და თავისუფალი მასმედიის განვითარების მიმართულებით, ისევე, როგორც პრივატიზაციისა და ეკონომიკური ლიბერალიზაციის კუთხით. მაგრამ ეს, სამწუხაროდ, არ გადაიზარდა მმართველობის დემოკრატიული სისტემის შექმნაში. მთავრობამ ასევე ვერ მოახერხა თავისუფალი პოლიტიკური და ეკონომიკური კონკურენციისათვის შესაფერისი გარემოს შექმნა. ძალოვანი სამინისტროები და სამართალდამცავი ორგანოები (თუ არ ჩავთვლით სასამართლო სისტემაში გატარებულ გარკვეულ ცვლილებებს) წინააღმდეგობას უწევენ რეფორმას და ქვეყანაში არაპროპორციულად დიდი გავლენით სარგებლობენ. ამასთანავე, საარჩევნო პროცესის სამართლიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას... მიმდინარე საფინანსო კრიზისი კიდევ უფრო ამწვავებს სოციალურ პრობლემებს და მთავრობას მათი გადაჭრის საშუალებას ართმევს. შეიმჩნევა, აგრეთვე, რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ზრდის სახიფათო ტენდენცია.*

*პირადი თავისუფლების ხარისხი განსხვავდება რეგიონების მიხედვით. ცენტრალური ხელისუფლება, როგორც წესი, არ არღვევს აზრის გამოთქმის უფლებას და არ ებრძვის პოლიტიკურ პლურალიზმს. მაგრამ აჭარის ლიდერმა აბაშიძემ რეგიონის ავტონომიური სტატუსი ავტოკრატიული (ერთი კაცის მმართველობა) სისტემის შექმნისათვის გამოიყენა... ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში სისტემატურად ხდება ხელისუფლების სასარგებლოდ არჩევნების შედეგების დამახინჯება. არადემოკრატიული რეჟიმები მართავენ სეპარატისტულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს.*

ეს ნაწყვეტი მოყვანილია ცნობილი არასამათავრობო ორგანიზაციის - "ფრიდომჰაუსის" მიერ ახლახან გამოქვეყნებული მოხსენებიდან. 60 წლის წინ ელეანორ რუზველტის მიერ დაარსებული ეს ორგანიზაცია უკვე რამდენიმე წელია, შეისწავლის ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების მიმდინარეობას ყოფილი სოციალისტური ბანაკის 27 ქვეყანაში.

"ფრიდომჰაუსი" აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების ინდექსს აფასებს ისეთ ფაქტორებზე დაყრდნობით, როგორებიცაა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, სამოქალაქო საზოგადოება, თავისუფალი მასმედია და სახელმწიფო მართვის თავისებურებები (დემოკრატიზაციის ბლოკი), საკანონმდებლო ბაზა და კორუფცია (კანონის უზენაესობის ბლოკი), პრივატიზაცია, მიკროეკონომიკური პოლიტიკა და მაკროეკონომიკური პოლიტიკა (ეკონომიკური ლიბერალიზაციის ბლოკი). თითოეული ამ კრიტერიუმის მიხედვით, ქვეყნებმა მიიღეს შეფასებები 1-დან 7-ის ჩათვლით (1 - საუკეთესო, 7 - ყველაზე უარესი).

| დემოკრატიზაცია | | ეკონომიკური თავისუფლება | |
|---|---|---|---|
| კონსოლიდირებული დემოკრატიები | | კონს. საბაზრო ეკონ. ქვეყნები | |
| პოლონეთი | 1,50 | პოლონეთი | 1,92 |
| სლოვენია | 1,81 | ესტონეთი | 1,92 |
| ლიტვა | 1,88 | უნგრეთი | 2,00 |
| ესტონეთი | 1,94 | ჩეხეთი | 2,08 |
| უნგრეთი | 1,94 | სლოვენია | 2,17 |
| ლატვია | 1,94 | ლატვია | 2,33 |
| სლოვაკია | 1,94 | სლოვაკია | 2,33 |
| ჩეხეთი | 2,13 | ლიტვა | 2,42 |
| ბულგარეთი | 3,00 | ბულგარეთი | 3,25 |
| ხორვატია | 3,25 | გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები | |
| გარდამავალი დემოკრატიები | | ხორვატია | 3,50 |
| რუმინეთი | 3,31 | სომხეთი | 3,58 |
| იუგოსლავია | 3,63 | ალბანეთი | 3,75 |
| ალბანეთი | 3,94 | საქართველო | 3,75 |
| მაკედონია | 4,13 | ყირგიზეთი | 3,75 |
| მოლდოვა | 4,19 | რუმინეთი | 3,92 |
| საქართველო | 4,44 | რუსეთი | 3,92 |
| სომხეთი | 4,56 | მოლდოვა | 4,25 |
| ბოსნია | 4,56 | ყაზახეთი | 4,25 |
| უკრაინა | 4,69 | უკრაინა | 4,42 |
| რუსეთი | 4,81 | აზერბაიჯანი | 4,42 |
| ყირგიზეთი | 5,38 | მაკედონია | 4,67 |
| აზერბაიჯანი | 5,44 | იუგოსლავია | 5,00 |
| ტაჯიკეთი | 5,50 | ბოსნია | 5,33 |
| ყაზახეთი | 5,88 | ტაჯიკეთი | 5,42 |
| კონსოლიდირებული ავტოკრატიები | | არასაბაზრო ეკონომიკის ქვეყნები | |
| უზბეკეთი | 6,56 | უზბეკეთი | 6,00 |
| ბელორუსი | 6,56 | ბელორუსი | 6,25 |
| თურქმენეთი | 6,94 | თურქმენეთი | 6,50 |

საქართველოს მაჩვენებლები უკანასკნელ წელს საკმაოდ გაუარესდა, განსაკუთრებით, დემოკრატიზაციისა და კანონის უზენაესობის მხრივ. საერთოდ, ორგანიზაციის ექსპერტები ამტკიცებენ, რომ, თუ აღმოსავლეთ ევროპა დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური ლიბერალიზაციის მიმართულებით სწრაფად მიდის წინ, ყოფილ საბჭოთა კავშირში პროგრესი თითქმის შეჩერდა.

ქვემოთ მოგვყავს დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის 27 ქვეყანაში.

# ლუკაშენკო რუსეთ-ბელორუსის კავშირზე უარს აცხადებს

ლევან ღირსიაშვილი

*ბელორუსისათვის რუსეთთან მიერთება, ფედერაციული სახელმწიფოს საფუძველზე, მიუღებელია. ამის შესახებ პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრის შემდეგ მინსკში დაბრუნებულმა ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ განაცხადა. ის დარწმუნებულია, რომ ბელორუსის მოსახლეობა რეფერენდუმზე ასეთ ვარიანტს მხარს არ დაუჭერს.*

**"რუსეთ-ბელორუსის კავშირი მხოლოდ თანასწორუფლებიანობის პრინციპზე უნდა ჩამოყალიბდეს,"** - განაცხადა ბელორუსის პრეზიდენტმა. მისი თქმით, საკავშირო სახელმწიფო იმ მოდელის მიხედვით შეიქმნება, რომელიც ორივე ქვეყნის მოსახლეობისათვის იქნება მისაღები. მისი ვარაუდით, უახლოესი 2-3 წელი საკავშირო სახელმწიფოს შესაქმნელად კონკრეტული ღონისძიებების რეალიზებას და ორი ქვეყნის სუბიექტებისთვის ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველყოფას უნდა მიეძღვნას.

თავად ვიზიტით ლუკაშენკო კმაყოფილია. ყოველ შემთხვევაში, ის ასე აცხადებს. მისი თქმით, რუსეთის პრეზიდენტთან საუბარმა პროდუქტიული დიალოგის დაწყების წინაპირობა შექმნა. **"საკავშირო სახელმწიფოს შექმნის მოდელი შემდგომი კონსულტაციების შედეგად შემუშავდება,"** - განაცხადა ბელორუსის პრეზიდენტმა.

რუსეთის პოლიტიკური ძალების რეაქციამაც არ დააყოვნა და იმავე დღეს მასმედიაში გამოჩნდა რუსეთის მემარჯვენე ძალთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერის, ირინა ხაკამადას განცხადება. მისი თქმით, რუსეთ-ბელორუსს შორის ურთიერთობების განვითარების სამი სცენარი არსებობს. პირველი – ბელორუსი თანხმდება გაერთიანების პუტინისეულ ვარიანტზე, რაც, ხაკამადას აზრით, ორი სახელმწიფოს თანაარსებობისათვის ოპტიმალურ გეოპოლიტიკურ მოდელს წარმოადგენს. მეორე სცენარის თანახმად, ბელორუსი უარს ამბობს ამ მოდელზე და ამ შემთხვევაში აზრს კარგავს იმიტაციური თამაშების დაწყება, რუსეთ-ბელორუსის კონფედერაციული ტიპის სახელმწიფოს შექმნის მიზნით, რასაც არანაირი ეფექტი არ ექნება. რაც შეეხება მესამე სცენარს, მას, ხაკამადას თქმით, სტატუს კვოს შენარჩუნება ეწოდება. **"რუსეთს სამივე ვარიანტი აძლევდა ხელს, ხოლო ბელორუსი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება,"** - განაცხადა მემარჯვენე ძალთა გაერთიანების ლიდერმა.

როგორც ცნობილი გახდა, პრეზიდენტმა პუტინმა ბელორუსის ლიდერს, ორივე ქვეყანაში რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, სახელმწიფოთა გაერთიანების ორი მოდელი შესთავაზა: პირველი - ფედერაციული სახელმწიფო, ანუ ბელორუსი თავისი სუბიექტებიანად შეუერთდება რუსეთს, სადაც იქნება საერთო პარლამენტი და სახელმწიფოს ერთი მეთაური. აღსანიშნავია, რომ, პუტინის წინადადებით, გაერთიანების ასეთი მოდელის შემთხვევაში, ფედერაციის უზენაეს კანონად რუსეთის ფედერაციის ამჟამინდელი კონსტიტუცია დარჩება. მეორე მოდელის თანახმად, ორი ქვეყნის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება ევროკავშირის პრინციპების მიხედვით მოხდება, სადაც ახალ სახელმწიფოს საკავშირო პარლამენტი ჩაუდგება სათავეში. ექსპერტების აზრით, პირველ შემთხვევაში, ბელორუსი მთლიანად კარგავს თავის სუვერენიტეტს და რუსეთის შემადგენელი ნაწილი ხდება. ხოლო მეორე მოდელის მიხედვით, ბელორუსი სუვერენიტეტის გარკვეულ ხარისხს ინარჩუნებს, თუმცა, პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების უდიდესი ნაწილი მოსკოვის ხელში გადადის.

პრეზიდენტ ლუკაშენკოს მოსკოვში ვიზიტს საერთაშორისო პრესის ფურცლებზე ფართო გამოხმაურება მოჰყვა.

დასავლეთის მასმედიის მიხედვით, პრეზიდენტმა პუტინმა, თავისი წინადადებით, ინტეგრაციის ინიციატივა ლუკაშენკოს მთლიანად წაართვა. თუ ადრე, ელცინის ხანაში, ბელორუსის პრეზიდენტი ორი სახელმწიფოს სრული ინტეგრაციის მოთხოვნით გამოდიოდა, ახლა პრეზიდენტმა პუტინმა ბელორუსს თავად შესთავაზა გაერთიანების ამგვარი ფორმა. ანალიტიკოსთა აზრით, ლუკაშენკო მოვლენების ასეთ დაჩქარებას არ ელოდა. ერთ-ერთი შვეიცარიული გაზეთის - "ტანის" თანახმად, ლუკაშენკო არ არის მზად იმისათვის, რომ ბელორუსის პრეზიდენტ-დიქტატორის სავარძე-



*ალექსანდრე ლუკაშენკო და ვლადიმირ პუტინი*

ლი მინსკის გუბერნატორობაზე გადაცვალოს. მიუნხენში გამომავალი პოპულარული გაზეთის - "ზუდოიჩე ცაიტუნგის" ფურცლებზე კი ერთ-ერთმა ავტორმა მოსკოვის ინიციატივის შეფასებისას ვერ დაფარა აღტაცება და პრეზიდენტ პუტინს "მელაც" კი უწოდა. **"პრეზიდენტ პუტინის წინადადებამ ლუკაშენკო, რომელიც მსოფლიოში უკანასკნელი დიქტატორის სახელით არის ცნობილი, ხელცარიელი დატოვა,"** - ნათქვამია "ზიუდოიჩე ცაიტუნგში".

საგულისხმოა, რომ დამკვირვებლები ორი პრეზიდენტის მიერ გამართულ დასკვნით პრესკონფერენციაზე რუსეთ-ბელორუსის მეგობრობის შესახებ მორიგი ტრაფარეტული განცხადებების გაკეთებას ელოდნენ. თუმცა, პუტინის განცხადებამ აშკარად ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

რუსეთ-ბელორუსის ურთიერთობისა და პრეზიდენტ პუტინის ინიციატივის შესახებ ერთ-ერთი პირველი კომენტარი ფონდ "რეფორმას" ვიცე-პრეზიდენტმა და პოლიტოლოგმა ანდრანიკ მიგრანიანმა გააკეთა. მისი თქმით, **"ბელორუსი თანახმა იქნება ფედერაციის მხოლოდ ისეთ ფორმაზე, როგორიც საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა.... ლუკაშენკოს კოზირს ყოველთვის წარმოადგენდა იმის მტკიცება, რომ ბელორუსს სურს სრული ინტეგრაცია რუსეთთან, ხოლო რუსეთი ამაზე თანახმაა. პუტინმა კი საკითხი ასე დასვა: ბელორუსი ან შევა რუსეთის შემადგენლობაში, ან ამ თემაზე საუბარი აღარ იქნება."** პოლიტოლოგის განცხადებით, ბელორუსთან ინტეგრაცია რუსეთისათვის პოლიტიკურად მომგებიანია, რადგან მოსკოვი ლიტვის და პოლონეთის საზღვრებს მიუახლოვდება, თუმცა, ამგვარი გაერთიანების ულტიმატუმის ფორმით მიღწევაში მიგრანიანს ეჭვი ეპარება. **"თუ გაერთიანება არ მოხდება, შესაძლოა, რუსეთ-ბელორუსის ურთიერთობის გაუარესება დაიწყოს,"** - აცხადებს იგი.

აღსანიშნავია, რომ ბელორუსის პრეზიდენტის უარს პუტინის შეთავაზებაზე რუსეთის პრეზიდენტისგან კომენტარი არ მოჰყოლია. ისიც ცხადია, რომ ლუკაშენკომ პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრა დადებითად შეაფასა და მოსკოვთან ურთიერთობების აშკარა გაუარესებას მოერიდა. შესაძლოა, ბელორუსის პრეზიდენტს რუსეთთან ურთიერთობაში ტაიმ-აუტის აღება დასჭირდეს. ერთი რამ კი ცხადია, საჭადრაკო ტერმინი რომ ვიხმაროთ, პუტინის განცხადებამ ლუკაშენკო ცუგცვანგის მდგომარეობაში ჩააყენა, როდესაც მოთამაშის პოზიციას მის მიერ გაკეთებული ნებისმიერი საპასუხო სვლა აუარესებს. თუ ლუკაშენკო პუტინის წინადადებაზე უარს განაცხადებს, საკავშირო სახელმწიფოს შექმნის ყველა მცდელობას საბოლოოდ დაუსვამს წერტილს. დადებითი პასუხის შემთხვევაში კი ბელორუსი, ფაქტობრივად, რუსეთის 90-ე რეგიონად გამოცხადდება.

# თურქეთი: ჯემი-დერვიშის ალიანსი დაიშალა

მას შემდეგ, რაც თურქეთის მმართველი კოალიცია დაიშალა, განდგომილმა სამეულმა - ჯემის (საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი), დერვიშისა (ეკონომიკის ყოფილი მინისტრი) და ოზკანის (ყოფილი ვიცე-პრემიერი) შემადგენლობით, განაცხადა, რომ ისინი ახალი, უფრო რეფორმისტული და პროევროპული პარტიის შექმნას აპირებდნენ. თუმცა, როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, პარტია "ახალი თურქეთი" ჯერ კიდევ შექმნამდე დაიშალა.

განხეთქილების მიზეზი სხვა პარტიებთან თანამშრომლობასთან დაკავშირებული უთანხმოება გახდა. დერვიში ფართო კოალიციის ჩამოყალიბებას უჭერდა მხარს, მაშინ როდესაც თურქულ პოლიტიკაში გაცილებით მეტად გამოცდილი ჯემი ალიანსების შექმნას ერიდება.

ორ ლიდერის პოლიტიკურ შეხედულებებს შორის კონცეპტუალურმა განსხვავებებმა მათ პირად ურთიერთობებზეც იქონია გავლენა. ხუთშაბათს დერვიშმა განაცხადა, რომ "ნამდვილად არ შეუერთდება "ახალი თურქეთის" პარტიას", თუმცა, არჩევნების შემდეგ მასთან თანამშრომლობას არ გამორიცხავს. ამის გამო ჯემმა პარასკევს მას სიტყვის გამტეხი უწოდა და განაცხადა, რომ ამ უკანასკნელს არ ესმის თურქული პოლიტიკა. დერვიშს, რომელიც ადრე მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი იყო და სამშობლოში გასულ წელს ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში დასახმარებლად დაბრუნდა (და თან საერთაშორისო სავალუტო ფონდის 16-მილიარდიანი კრედიტი ჩამოიტანა), სამთავრობო კრიზისის დაწყებამდე პოლიტიკისაგან განზე დარჩენა სურდა და გამუდმებით აცხადებდა, რომ არც ესმის და არც აინტერესებს პოლიტიკა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ეჯევითის ავადმყოფობისა და სიჯიუტის გამო, კოალიცია დაიშალა და ვადამდელი არჩევნები დაინიშნა, დერვიში მოვლენების ცენტრში აღმოჩნდა.

დერვიშისა და ჯემის - თურქეთის ორი ყველაზე პერსპექტიული პოლიტიკოსის ალიანსს ქვეყნის შიგნითაც და მის გარეთაც ბევრი იმედის თვალით უყურებდა, რადგან სწორედ მათ შეეძლოთ, ჯერ ერთი, ქვეყანა ევროკავშირში ინტეგრაციის გზით წაეყვანათ (ჯემმა თავის დროზე დიდი როლი შეასრულა როგორც საბერძნეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციაში, ისე ევროკავშირთან კავშირების განმტკიცებაში), და მეორე, გაეგრძელებინათ, სავალუტო ფონდის დახმარებით, ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის პროგრამა (დერვიში, ალბათ, ერთადერთი კაცია თურქეთში, ვისაც ფონდი ენდობა). ამის ნაცვლად, დერვიშმა განაცხადა, რომ იგი სახალხო-რესპუბლიკურ პარტიასთან ითანამშრომლებს, თუმცა, იგი არც ამ პარტიაში აპირებს შესვლას. სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში 10 პროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახა, მაგრამ, სოციოლოგების აზრით, სამი ნოემბრის არჩევნებში წარმატების კარგი შანსი აქვს.

წარმატების ყველაზე კარგი შანსი, განსაკუთრებით, ჯემისა და დერვიშის წაკიდების შემდეგ, ისლამისტურ "სამართლიანობისა და განვითარების" პარტიას აქვს. მათი მოსვლა ხელისუფლებაში კი უარყოფითად აისახება როგორ ევროკავშირთან, ისე სავალუტო ფონდთან და, ალბათ, აშშ-სთან ურთიერთობებზეც.

# ამერიკელები ავღანეთში კიდევ დიდხანს დარჩებიან

"არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ჯარები ავღანეთში კიდევ დიდხანს, დიდხანს დარჩებიან," – განაცხადა აშშ-ს "ცენტრალური სარდლობის" (აშშ-ს არმიის დანაყოფი, რომელიც ცენტრალურ და სამხრეთ აზიასა და ახლო აღმოსავლეთს ფარავს) სარდალმა, გენერალმა ტომი ფრენკსმა. სწორედ ფრენკსის უწყება წარმართავს სამხედრო ოპერაციებს ავღანეთში.

ეს დაადასტურა გაერთიანებული შტაბების სარდალმა რიჩარდ მაიერსმაც, რომელმაც განაცხადა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ომი კიდევ არაერთ წელს გაგრძელდება და ამერიკელებს მოთმინების გამოჩენა მოუწევთ.

ამერიკელი სამხედროების აზრით, მათი გამოსვლის შემდეგ ავღანეთი, შესაძლოა, ისევ გადაიქცეს ტერორისტთა თავშესაფრად, ამიტომ ჯერჯერობით "მწვანე ბერეტიანების" იქ ყოფნა აუცილებელია.

ამჟამად ავღანეთში 8000 ამერიკელი სამხედროა, რომელიც ორ მთავარ ფუნქციას ასრულებს: ქვეყანაში უსაფრთხოების შენარჩუნება და ავღანეთის საკუთარი შეიარაღებული ძალების მომზადება. ორივე ამ ამოცანის შესრულებას კი წლები დასჭირდება.

# მასხადოვის მთავრობამ შვეიცარიაში მოლაპარაკება გამართა

როგორც ცნობილი გახდა, ხუთშაბათს შვეიცარიის ქალაქ ციურიხში რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის ივან რიბკინისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პრეზიდენტის წარმომადგენლის აჰმედ ზაკაევის შეხვედრა გაიმართა. ისინი ერთმანეთს პირისპირ სასტუმრო "სავოიში" შეხვდნენ. საუბარი შეეხებოდა ჩეჩნეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხებს. აჰმედ ზაკაევის განცხადებით, ეს შეხვედრა რიბკინის მიერ პუტინისადმი მიწერილი წერილის შედეგია. "ამ წერილის შემდეგ პრეზიდენტმა მასხადოვმა ივან რიბკინთან დაკავშირება დამავალა... ბატონ რიბკინთან შეხვედრაზე განხილულ წინადადებებს და ინიციატივებს ჩეჩნეთში მშვიდობის დამყარება შეუძლიათ... ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ჩეჩნეთის კონფლიქტი პოლიტიკურ ხასიათს ატარებს... ამ ომის შეჩერება არანაირი ძალისმიერი მეთოდებით არ შეიძლება," - განაცხადა მასხადოვის წარმომადგენელმა.

თავის მხრივ, რიბკინმა გამოთქვა სურვილი, რომ პრეზიდენტი პუტინი ჩეჩნეთის პრობლემის დარეგულირების მისეულ გეგმას გაეცნოს. "მოსკოვში დაბრუნებისთანავე შევეცდები, ვლადიმირ პუტინს შევხვდე," - აღნიშნა რუსეთის უშიშროების საბჭოს ყოფილმა მდივანმა. რიბკინის თქმით, ის თვალს ადევნებს რუსეთის მოსახლეობაში ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკითხვებს და მისი ინფორმაციით, რუსეთის მოქალაქეების 60 პროცენტი მასხადოვთან მოლაპარაკებების დაწყებას უჭერს მხარს.

# ისრაელის პრემიერ-მინისტრმა აშშ-ს ერაყის წინააღმდეგ ომისაკენ მოუწოდა

ისრაელში გამომავალი გაზეთის - "ხაარეცის" ინფორმაციით, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა აშშ-ს ადმინისტრაციას მოუწოდა, არ დააყოვნოს ერაყზე სამხედრო დარტყმის განხორციელება. შარონის განცხადებით, ერაყში სამხედრო ოპერაციის დაყოვნება მომავალში ამ ღონისძიებისათვის არასასურველ პირობებს შექმნის. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიმონ პერესმა თავის მხრივ განაცხადა, რომ ჰუსეინის წინააღმდეგ ბრძოლის დაყოვნება ბაღდადს იარაღის არსენალის შევსების საშუალებას მისცემს.

ისრაელის ხელისუფლების აღნიშნულ წინადადებას წინ უძღოდა ეროვნული უშიშროების საკითხებში აშშ-ს პრეზიდენტის თანაშემწის კონდოლიზა რაისის განცხადება იმის თაობაზე, რომ აშშ-ს ჰუსეინის რეჟიმის დასამხობად სრული მორალური უფლება გააჩნია. რაისის თქმით, ჰუსეინის ერაყის სათავეში დარჩენის შემთხვევაში, საფრთხე უკიდურესად გაიზრდება. **"თავს იმ ფუფუნების უფლებას ვერ მივცემთ, რომ უმოქმედობა გამოვიჩინოთ,"** - აღნიშნა კონდოლიზა რაისმა.

საზელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი
ჯორჯიან რისარჩი
[illegible] 1997 [illegible]
■ [illegible]
■ [illegible]
■ [illegible]
■ [illegible]
■ [illegible]
[illegible] 10 [illegible]
ჩვენი ტელეფონები: 25-35-48; (899) 51-19-94

# სადა ხარ, მაია წყნეთელო!

პირველი გვერდიდან

### არ მინდა, ძმაო, შეგინებული მიწა!

ეს აქსიომა, გუშინ საღამოს, წყნეთელ სტეფანე ხუციშვილს ათქმევინეს, რომელმაც ჯერ კიდევ დილით ნიჩაბ-ძალაყინით შეიარაღებული ბრიგადა ტყეს მიაყენა და მის შუაგულში საღობე ბალავარის გათხრა დაიწყო. აქვე უნდა ითქვას, რომ ტყე ხმამაღალი ნათქვამია. ეს არის გაჩეხვას სასწაულით გადარჩენილი ტყის ერთი ბეწო ნარჩენი, რომელიც წყნეთელებს და დამსვენებლებს სულის მოსათქმელად ჰაერივით სჭირდებათ. უიმისოდ იქ დასვენებას აზრი საერთოდ ეკარგება.

გადაირია ხალხი. აქეთ ეცა, იქეთ ეცა, სააკაშვილის მობილური ვერ იშოვა, მაგრამ სატყეოს და ჟურნალისტებს დაუკავშირდა და სტეფანეს ნიჩაბი დროებით გააგდებინა.

ადგილზე მისულმა გარდაბნის სატყეო მეურნეობის დირექტორმა სპარტაკ ჩიტაძემ მშენებლობა შეაჩერა და ამის თაობაზე შემდეგი ბრძანა: **"სანამ არ გაირკვევა საბუთების სინამდვილე და სისწორე, არც არაფერი შემოიღობება და არც არაფერი აშენდება. ამის გარანტიას გაძლევთ".**

ამ გადაწყვეტილებისთვის სტეფანე ხუციშვილს წინააღმდეგობა არ გაუწევია და მეურნეობის დირექტორს უთხრა, საღამოს ექვს საათზე ყველა საბუთს მოგიტანთო.

– რა საბუთები გაქვთ? – უპასუხა:

– ეს ნაკვეთი ჩემია, 97 წელს ვიყიდე. ზეპირად არ მახსოვს, რა საბუთები მაქვს, მაგრამ რაც არის, ყველაფერს მივუტან მეურნეობის დირექტორს. თუ მეტყვიან, საბუთები გაკლიაო, დავამატებ.

ხალხი ამბობს, საბუთები წესრიგში რომ იყოს, მაინც არ ავაშენებინებთო...

– ჩემი რასაც ერქმევა, იმას ვერავინ წამართმევს. ისე, შეგინებული მიწა არც მე მჭირდება, ძმაო! მაშინ სანაცვლო სხვაგან მომცენ.

### ჩვენი ძარღვებდაბერილი ბავშვები

მიწის გათხრა პირველად ბავშვებმა შეამჩნიეს და თხრილის ამოვსება დაიწყეს. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქმეც გააკეთეს და ყურებიც არავის დაახევინეს. თუმცა, როგორც თვითონ ამბობენ, უფროსების მისვლამდე ამის არაერთი მცდელობა იყო.

– "ლაფატკებით" დაგვდევდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც ვავსებდით ორმოებს.

– რატომ თხრიან ამ მიწას, რა უფლება აქვთ, ჩვენ აქ დასასვენებლად მოვდივართ.

– საიდან აქვთ საბუთები, როგორ იყიდეს.

– ვერაფერსაც ვერ ააშენებენ, შევარდნაძეც რომ მოვიდეს, მაინც ვერ ააშენებენ!"

ამას ამბობენ მღელვარებისგან ძარღვებდაბერილი ჩვენი შვილები და დიდი ნიჩბით ამოღებულ თხრილს თავისი პატარა ხელებით ავსებენ. მათთვის ჯერ ძალიან ადრეა ოპოზიციონერობა. აქედანვე რომ ვაიძულებთ, ნამუსი აღარ არის?!

*P.S. საღამოს დავუკავშირდით მეურნეობის დირექტორს, რომელმაც გვითხრა, რომ სტეფანეს მისთვის საბუთები არ მიუტანია.*

# ელექტროენერგიის ტარიფის ბედი ორ კვირაში გადაწყდება

ზაზა ფარუაშვილი

*დენის ტარიფის მომატებასთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა მუშა ჯგუფი, რომელშიც სამინისტროს იურისტებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც შევიდნენ. ჯგუფი განიხილავს ტარიფის მომატების კანონიერებას და თავის დასკვნას ერთი კვირის განმავლობაში გააკეთებს. საბოლოო შედეგი ორ კვირაში უნდა იყოს. თუ საზოგადოების მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, სექტემბრიდან ქუჩის აქციები დაიწყება.*



საპროტესტო აქცია იუსტიციის სამინისტროსთან

ლევან ხერხეულიძის ფოტო

უტიფარი ტარიფომანიით გაღიზიანებულმა და მეგაფონით შეიარაღებულმა საზოგადოებამ გუშინ იუსტიციის სამინისტროსთან გამაფრთხილებელი აქცია მოაწყო და იუსტიციის მინისტრს კატეგორიული მოთხოვნა წაუყენა, არ გაატაროს რეგისტრაციაში სემეკის გადაწყვეტილება ტარიფის მომატებასთან დაკავშირებით. აქციაში მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, გაერთიანებული პროფკავშირები და ჯონდი ბაღათურია.

თავად იუსტიციის მინისტრი უშიშროების საბჭოზე ბრძანდებოდა და ხალხს ვერ შეხვდა.

ქუჩის სახელდახელო მიტინგის შემდეგ, საზოგადოების წარმომადგენლები მინისტრის მოადგილემ ზურაბ ეზუგბაიამ მიიღო. შეხვედრაზე კონსტრუქციული საუბარი გაიმართა, რომლითაცროივე მხარე კმაყოფილი დარჩა. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთმა მონაწილემ სამინისტროსადმი უკიდურესი უნდობლობა გამოხატა და ამის გასამართლებლად ტარიფის მომატების წინა შემთხვევა გაიხსენა. ამათგან ყველაზე აქტიური იყო ვარკეთილის სათემოს თავმჯდომარე ვანო ცნობილაძე, რომელმაც ერთი-ორჯერ იფეთქა კიდეც: **"სამინისტროში მაშინაც გვითხრეს, თქვენი წინადადებები წერილობით წარმოადგინეთო და ჩვენ ყველას განვიხილავთო, მაგრამ ტარიფმა მაინც მოიმატა".**

ცნობილაძე უმცირესობაში აღმოჩნდა და შეხვედრა საქმიანი წინადადებით დატოვა: **"მე მაშინ დამირეკეთ, როცა ხალხის ქუჩაში გამოყვანა დაგჭირდებათ. 50 ათას კაცს გამოვიყვან. ახლა კი უნდა წავიდე. დაბლა ხალხი გველოდება. ამ ლაპარაკის არაფერი მჯერა."**

სხვათაშორის, ამ რადიკალური განცხადებების შემდეგ, ეზუგბაია უფრო კონკრეტული წინადადებებით გამოვიდა. გადაწყდა ერთობლივი მუშა ჯგუფის შექმნა, რომელიც არა მარტო ტარიფის მომატების კანონიერებას გაარკვევს, არამედ სხვადასხვა პარტიებისა და ჯგუფების მიერ "ე-ი-ეს თელასის" წინააღმდეგ შეგროვებულ კომპრომატებს მოუყრის თავს და პროკურატურას გადასცემს. ამ საკითხში სხვაზე მეტად ჯონდი ბაღათურია აქტიურობდა, რომელიც "ე-ი-ეს თელასს" კრიმინალშიც ადანაშაულებს. ამის ერთი მაგალითი ბაღათურიამ იქვე მოიყვანა. "ეი-ი-ეს თელასის" განცხადებით, თითო მრიცხველის საქართველოში შემოტანა 25 დოლარი დაჯდა. ჯონდი ბაღათურია კი ამტკიცებს, რომ ასეთი მრიცხველების ფასი ადგილზე მხოლოდ 6,5 დოლარია და მისი აქამდე ჩამოტანა 25 დოლარი ნამდვილად არ დაჯდებოდაო. სხვა კომპრომატებს მუშა ჯგუფის მუშაობის დამთავრების შემდეგ გაგვაცნობენ.

# მზეზე გარუჯული სახელმძღვანელოები

ამბობენ, სახელმძღვანელოების შავი ბაზრობა დასავლეთში გაჩაღდებაო

დალი კუპრავა

მალე სწავლა დაიწყება და სახელმძღვანელოების ყიდვა-გაყიდვის სეზონიც უკვე დადგა.

ამ პროცესით მოგებული უნდა დარჩეს ყველა: მოსწავლე, გამომცემელი და დისტრიბუტორი. რაც შეეხება წაგებულს, სასურველია რომ ის ფალსიფიცირებული წიგნებით ვაჭრობა იყოს. წინა წლების გამოცდილება და წლევანდელი არცთუ კოორდინირებული კამპანია "შავი ბაზრის" წინააღმდეგ, საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ 2002 წელი ნამდვილად არ იქნება სახელმძღვანელოების შავი ბაზრის დასამარების წელი. ერთადერთი ის შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გეოგრაფიული ეპიცენტრი დასავლეთ საქართველო იქნება.

ჩვენ მიერ მოპოვებული ცნობით, გასულ წელს აჭარის ხელმძღვანელს სურვილი გამოუთქვამს, რომ სახელმძღვანელოების საჭირო ტირაჟი ადგილზევე გამოეცათ. აბაშიძეს შეატყობინეს, რომ სახელმძღვანელო გამომცემლობის საკუთრებაა და მისი "ჰაიჰარად" ბეჭდვა არ შეიძლება.

შარშან გამომცემელთა ასოციაციამ აჭარას 190 ათასი ლარის წიგნი მისცა, რომლის ფასი გაყიდვის შემდეგ უნდა გადაეხადათ. ასოციაციამ ბათუმში სახელმძღვანელოების ბაზრობა მოაწყო. შედეგი გამომცემლებისთვის წამგებიანი აღმოჩნდა, რადგან ფალსიფიცირებულმა წიგნებმა გვარიანი კონკურენცია გაუწია ლეგალურს. წელს კი, ბათუმში, გამომცემლობა "აჭარამ" გადაწყვიტა, რომ თავად მოაწყოს ბაზრობა და ვინაიდან წელს გამომცემლები ყველანაირად გაურბიან წინასწარი გადახდის გარეშე წიგნების გაცემას, ბათუმმაც 40 000 ლარის სახელმძღვანელო შეიძინა. **"აჭარისთვის ეს ძალიან ცოტაა და ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ საჭირო რაოდენობას თავად შეავსებენ,"** - ფიქრობენ გამომცემლები.

მათივე აზრით, წელს სახელმძღვანელოების შავი ბაზრის ძირითადი ასპარეზი, ბათუმთან ერთად, ქუთაისიც იქნება, რასაც ჩვენი საინფორმაციო წყაროც ადასტურებს - ქუთაისში იბეჭდება არალეგალური სახელმძღვანელოები.

# დაბინძურებული მდინარეებიდან ფირნიშები მოიპარეს

ქეთი ქადაგიშვილი

ქალაქის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციამ დედაქალაქის მოსახლეობას, მდინარეების დაბინძურების გამო, ბანაობის აკრძალვის შესახებ არაერთხელ აცნობა. თუმცა, ამ გაფრთხილებებმა შედეგი მაინც ვერ გამოიღო - ბავშვები თითქმის ყოველდღე ბანაობენ. ინსპექცია აცხადებს, რომ მდინარეებიდან განსაკუთრებით, მტკვარია საშინლად დაბინძურებული. საკმარისია, ბანაობისას ვინმეს წყალი გადასცდეს და ამან შესაძლოა, კანის დაავადებებისა და ნაწლავური ინფექციების გავრცელება გამოიწვიოს. მართალია, დაავადების არც ერთი შემთხვევა ჯერ არ გამოვლენილა, მაგრამ რისკი დიდია. სამწუხაროდ, მდინარის პირას გამაფრთხილებელი ფირნიშები, კარგა ხანია, გაქრა. როგორც ინსპექციის ხელმძღვანელმა ჯულული ახვლედიანმა გვითხრა, მოსახლეობა განსაკუთრებით ლითონის ფირნიშებს ემტერება.

მდინარეებს აბინძურებს მოშლილი საკანალიზაციო სისტემა. მაგალითად, მდინარე ვერეზე ფეკალური წყლები რამდენიმე ადგილას ჩაედინება. "წყლების დაბინძურება, უმეტეს შემთხვევაში, 80-იან წლებში დაწყებული და ბოლომდე დაუმთავრებელი მშენებლობების ბრალია. გლდანი-ნაძალადევის რაიონში კი საკანალიზაციო სისტემა გამყვან კოლექტორთან შეერთებული არ არის და კანალიზაცია პირდაპირ მდინარეში ჩადის", – აცხადებს ჯულული ახვლედიანი.

მსოფლიო ბანკის ექსპერტთა დასკვნით, თბილისის საკანალიზაციო სისტემის მოსაწესრიგებლად 600 მილიონი დოლარია საჭირო. მერია კი წელიწადში ერთი კოლექტორის შეკეთებას ძლივს ახერხებს. როგორც ჩანს, ამ პრობლემის მოგვარებას წლები დასჭირდება. ამიტომ დედაქალაქის მოსახლეობას კიდევ ერთხელ შევახსენებთ, მდინარეებში ბანაობას მოერიდონ, თორემ გაგრილება, შესაძლოა, მათთვის სავალალო შედეგით დასრულდეს.

# სასკოლო ბაზრობა დაიწყო

დალი კუპრავა

15 აგვისტოდან თბილისში ორი სასკოლო ბაზრობა მოქმედებს. "გამომცემელთა ასოციაცია" და "საქწიგნი", შესაბამისად, სპორტის და პროფკავშირების კულტურის სასახლეში იწვევენ მყიდველს.

**"25 დასახელების სახელმძღვანელო ჯერ არ არის შემოტანილი, ახლა მთავრდება ბეჭდვა,"**- აღნიშნა "პროფკავშირების" ბაზრობის ორგანიზატორმა უჩა ჩილაჩავამ.

შადიმან ხელაძემ, სპორტის სასახლის ბაზრობის ორგანიზატორმა, წიგნების დაგვიანებით ბეჭდვა განათლების სამინისტროს დაგვიანებით გამოქვეყნებულ ნუსხას დააბრალა. ივლისში გამომცემლებმა სპეციალური შეხვედრაც მიუძღვნეს ამ ფაქტს და აღშფოთებას ვერ მალავდნენ, როგორ უნდა მოესწროთ ორ თვეში ამდენი წიგნის დაბეჭდვა. ზოგიერთი იმაზეც მიანიშნებდა, რომ ეს შეგნებულად ხომ არ იყო ჩადენილი, ფალსიფიცირებული წიგნების სასარგებლოდ.




მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ასეა თუ ისე, სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი დახლებზეა. საცალო ფასები საგამომცემლოსთან მაქსიმალურად მიახლოებულია, რადგან ბევრმა გამომცემელმა დისტრიბუტორებს საგრძნობი ფასდაკლებით მისცა წიგნები. თუმცა, ერთ-ერთი ორგანიზატორი წუხდა, რომ გამომცემლობა "ლამპარი" მხოლოდ ხუთპროცენტიანი ფასდაკლებით ყიდის წიგნებსო, და იმედი გამოთქვა, რომ ისინი შეცვლიდნენ გადაწყვეტილებას. ასევე მოუხერხებელია, რომ გამომცემლობა "პედაგოგიკა" პირველი, მეორე და მესამე კლასის მათემატიკის წიგნებს კომპლექტში ყიდის და თუ დისტრიბუტორს პირველი კლასის წიგნი არ უნდა, ის ვერც მეორე და მესამე კლასისას იყიდის.

მართალია, საგამომცემლო და გასაყიდი ფასები ერთმანეთთან მიახლოებულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია.

**"შვილიშვილებს მოსკოვში უნდა გავუგზავნო, იქ სწავლობენ. ძვირია, მაგრამ ღირს, აი, ამ "ისტორიას" მათი მშობლებიც წაიკითხავენ,"-** ამბობს ბებია და არცთუ უმნიშვნელო თანხას ტოვებს დახლზე მეშვიდე-მერვე კლასის სახელმძღვანელოების სანაცვლოდ. **"ჩვენ ერთ-ერთი სოფლის პირველკლასელებს ვუყიდეთ საჩუქრად "დედა ენები" და, რაკი ბევრი ვიყიდეთ, ფასიც დაგვიკლეს,"-** ამბობს მამაკაცი და ქველმოქმედების ადრესატ სოფელს არ ასახელებს.

**"რამდენიმე მათემატიკაა და რომელი ვიყიდო? - არ ვიცი,"-** შეწუხებულია ერთი ქალბატონი. გამყიდველი ურჩევს, დაელოდოს სწავლის დაწყებას, ან შეუძლია, იყიდოს და შემდეგ გამოუცვლიან. პროფკავშირების ბაზრობაზე, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად წიგნებს ბეჭედს დაუსვამენ, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეცვალონ.

ძალიან ბევრი წიგნი ლამაზია, მართლა მოგინდება გადაშლა. ზოგი კვლავ ძველებურად უსახურია, სწავლის სურვილს რომ არანაირად არ აღგიძრავს. არის რუსულენოვანი სკოლებისთვის, მაგრამ არც ერთ ბაზრობაზე არ იყიდება სახელმძღვანელოები სომხური და აზერბაიჯანული სკოლებისთვის. **"რაიონებმა უკვე წაიღეს და თბილისში არ იყიდება,"**- აღნიშნა კახა კუდავამ, გამომცემლობა "ინტელექტის" ხელმძღვანელმა.

ორგანიზატორების აზრით, ორივე ბაზრობას მყიდველი აგვისტოს ბოლოსა და სექტემბერში მოუმრავლდება, თუ, რა თქმა უნდა, სასწავლო წელი დროულად დაიწყო. ორივე ბაზრობა სექტემბრის ბოლომდე გასტანს.

# უმუშევრების დასაქმებაზე, სახელმწიფომაც დაიწყო ზრუნვა

თამარ მაისურაძე

უმუშევართა დასაქმების სახელმწიფო პროგრამის წარმომადგენლები სიხარულს ვერ ფარავენ, იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ჩვენმა მთავრობამ პირველად გამოთქვა სურვილი უმუშევარი მოსახლეობის დასახმარებლად. როგორც ცნობილია, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დაახლოებით ერთი თვის წინ, უმუშევართა დასაქმების მიზნით, ტესტირება ჩატარდა, რომელიც ქვეყანაში დასაქმებისადმი ხელშეწყობასა და სამუშაოს მაძიებელთათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ისახავს მიზნად. ტესტირება, ანუ ამ პროექტის პირველი ეტაპი, 1200-მა კაცმა გაიარა. მათგან შეირჩა 252, რომლებმაც გუშინ ხელმეორედ შეავსეს ტესტები. პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ტენდერით გამოვლინდა რამოდენიმე გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელთაც (გარკვეული პერიოდი) ამ 252 ადამიანის სწავლება ევალებათ. ორგანიზაციები ვალდებულნი არიან, ეს უკანასკნელნი სათანადოდ მოამზადონ და ბიზნეს გეგმის შედგენა და მართვა ასწავლონ. ბიზნეს გეგმას უკვე ნასწავლი უმუშევრები, ასევე ტენდერში გამარჯვებულ, საქართველოს ბანკში წარადგენენ. იმ შემთხვევაში, თუ მათი ბიზნეს გეგმები ბანკის ხელმძღვანელობის მოწონებას დაიმსახურებს, ბანკი თითოეულ მოწონებულზე 6 ათას ლარს გასცემს. აქედან, 2400 ლარს გრანტის სახით, ხოლო 3600 – სესხად. როგორც ამ პროექტის თავკაცები ამბობენ, გრანტი შეღავათიანს ხდის ამ პროცესს, რადგან გამოდის, რომ სესხის პროცენტი გრანტიდან იფარება.

**"ეს თანხა, 6 ათასი ლარი, აბსოლუტურად საკმარისია მცირე ბიზნესის დასაწყებად. ეს სქემა დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში კარგად არის აპრობირებული. აქ მინიმუმამდეა დაყვანილი კორუფციის მომენტი, ანუ ბანკი თავის ფულს ტყუილად არავის მისცემს. ამის ნათელი მაგალითი ის არის, რომ ტესტირებაგავლილთა გარკვეულმა ნაწილმა რამდენიმე დღის მერე უარი თქვა ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღებაზე, რადგან ნახა, რომ ეს ფული არ არის გრანტი და საჩუქარი, რომელსაც შეჭამ,"** – გვითხრა ტენდერში გამარჯვებული ერთ-ერთი ორგანიზაციის - "სმედას" წარმომადგენელმა კოკა ქლენტმა. 9 დღიანი სწავლების ჩატარების შემდეგ, გუშინ, ორგანიზაცია "სმედაში" 9 ადამიანი ავსებდა ტესტებს. მათში იყო ინვალიდის ეტლში მჯდომი ახალგაზრდა, რომელიც მცირე ბიზნესის დაწყებას ინვალიდი მეგობრების დასახმარებლად აპირებს.

**"... დღეს საქართველოში ბევრს უჭირს ... ორი უმაღლესი მაქვს დამთავრებული, მაგრამ... მოვედი და ტესტი შევავსე. სპეციალობით თუ ეკონომისტი არ ხარ, 9 დღეში ბუღალტერია ცოტა ძნელი სასწავლია, მაგრამ მე ჩემსას ვცდილობ. ბანკიდან სესხს თუ გამოვიტან, სოფლის მეურნეობას მინდა მივყო ხელი. მე, გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, აჭარელი ლტოლვილი ვარ. აგერ 4 წელია, რაც თბილისში ვცხოვრობ. ბათუმში 600 ოჯახი ფუტკარი მყავდა. აბაშიძემ შვილი მომიკლა და ფუტკარს დამიტოვებდა? ისევ ფუტკრების გამრავლებას ვაპირებ. ორი-სამი ადამიანი შევამხანაგდებით და ერთად დავიწყებთ საქმეს, რა თქმა უნდა, სესხს თუ ავიღებთ, იმ შემთხვევაში, "** – გვითხრა შოთა მოწყობილმა.

# კერამიკის სახელოსნო გონებაშეზღუდული ბავშვებისათვის

ეკატერინე ბახუტაშვილი

გლდანის №2 დამხმარე სკოლა-ინტერნატს, სადაც ძირითადი საგანი შრომითი სწავლებაა, სექტემბრიდან ახალი კერამიკული სახელონო ექნება. ეს პროექტი, საერთაშორისო ორგანიზაცია "მერსი ქორის" ფინანსური ხელშეწყობით, სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციამ განახორციელა. **"საამქრო ბავშვების სურვილის და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით გაკეთდა. თიხის თერაპია ხელს უწყობს მათი გონებრივი და ფიზიკური შეზღუდულობის კორექციას. კერამიკის შემსწავლელი გაკვეთილები მე-9 და მეათეკლასელებს ჩაუტარდებათ. გვინდა, განათლების სამინისტროს წინაშე დავაყენოთ საკითხი კურსდამთავრებულებისათვის კერამიკოსის სერთიფიკატების გადაცემის შესახებ, რათა მათ სამომავლოდ პროფესია ჰქონდეთ,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ასოციაციის პრეზიდენტმა მაია ასაკაშვილმა.



კერამიკის შემსწავლელ გაკვეთილზე

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

თიხის თერაპია და კერამიკოსის სპეციალობის შესწავლა ინტერნატში პროექტის დასრულების შემდეგაც გაგრძელდება. ბავშვები ნაკეთობათა საცდელ ნიმუშებს უკვე ამზადებენ და ნამუშევრების გასაყიდად გამოფენებსაც გამართავენ.

ინტერნატში ამჟამად 180-ზე მეტი ბავშვი იმყოფება. ზემოთ აღნიშნული პროექტი, ასევე, მათი ყოფითი პირობების გაუმჯობესებასაც ითვალისწინებდა. ამ მიზნით ასოციაციამ დაწესებულებაში ბუნებრივი აირი შეიყვანა, შეუძინა 2 გაზქურა. მანამდე ინტერნატში სადილები შეშის ღუმელებზე კეთდებოდა. ბავშვებმა საჩუქრად მიიღეს წყლის უსაფრთხო გამაცხელებელი და ელექტრონეონის ლამპები, რათა ღამით, უშუქობის დროს, საძინებლებში განათება იყოს.

# გატაცებული სამხედროს ძიებამ მხარეები შეაკავშირა

სოფიკო ჩხაიძე

საქართველოში კიდევ ერთი ადამიანი გაიტაცეს. შუადღისას, ცხინვალიდან ავლევში მიმავალი ვიცე-პოლკოვნიკი ზურაბ დურგლიშვილი, გზაზე ჩასაფრებულმა სამმა შეიარაღებულმა ნიღბოსანმა გააჩერა, მანქანიდან გადმოიყვანა და გაურკვეველი მიმართულებით გაიტაცა.

დურგლიშვილი, რომელიც მანამდე, ქართული და ოსური ადმინისტრაციების ტრადიციული ხუთშაბათის შეხვედრის დროს, შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, სამსახურიდან სახლში – ავლევში მიდიოდა. თვითმხილველთა ცნობით, მის მანქანას - "ვაზ-2107"-ს ცხინვალთან ახლოს, სოფელ წუნართან რუსული ნომრების მქონე "ნივა" გადაუდგა და იქიდან გადმოსულმა სამმა ნიღბიანმა, იარაღის მუქარით, ვიცე-პოლკოვნიკი თავიანთ მანქანაში გადასვა.

ვიცე-პოლკოვნიკი ზურაბ დურგლიშვილი აფხაზეთის ომის ინვალიდია. აფხაზეთის ომში მან ფეხი დაკარგა. იგი ორი თვეა, რაც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებულ შერეულ სამშვიდობო ძალების ქართულ ბატალიონში მსახურობს და, როგორც ამ ძალების სარდლობა იტყობინება, კარგი რეპუტაციითაც სარგებლობს არა მარტო ქართველ თანამებრძოლებს, არამედ ოსურ მოსახლეობას შორისაც. მეტიც, მას ოსი ეროვნების მეუღლე და სიძეები ჰყავს.

ზურაბ დურგლიშვილის გატაცების შესახებ ქართულმა მხარემ ოსებისგან შეიტყო. კერძოდ, პრეზიდენტის მრჩეველს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკითხებში, ირაკლი მაჭავარიანს დაუკავშირდა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი, რომელმაც აღნიშნული ინციდენტი ქართულ-ოსურ ურთიერთობებში პროვოკაციისათვის გამიზნულ პრეცედენტად შეაფასა.

როგორც შევიტყვეთ, კოკოითმა გუშინ ადგილობრივი ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებთან თათბირი გამართა და ზურაბ დურგლიშვილის გატაცების საქმის უახლოეს მომავალში გახსნა დაავალა.

როგორც სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის მეთაურმა მიხეილ ქებაძემ განაცხადა, ხუთშაბათს საღამოსვე მთლიანად გადაიკეტა გზები, ხორციელდება ყველა საჭირო ღონისძიება გატაცებულის მოსაძებნად. ცხინვალსა და მის მისადგომებთან მობილიზებულია სამშვიდობოთა მთლიანი შემადგენლობა, ამასთან, გზებზე დამატებითი საგუშაგოებია გახსნილი. ქებაძემ აღნიშნა, რომ ამ ღონისძიებების გატარებაში მათ დიდ დახმარებას უწევს სამშვიდობო ძალების რუსული ბატალიონი.

რაც შეეხება გატაცების სავარაუდო მოტივებს, ირაკლი მაჭავარიანი, რომელიც გუშინ საგანგებოდ მიიწვიეს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გატაცების შესახებ მოხსენების გასაკეთებლად, ჟურნალისტებთან საუბრისას თითქმის გამორიცხავდა გატაცების პოლიტიკურ მოტივაციას. მაჭავარიანის აზრით, გამტაცებლებს წმინდა კრიმინალური მიზნები უნდა ამოძრავებდეთ. მან, აგრეთვე, ვერ უარყო ვერსია, რომლის თანახმადაც დურგლიშვილს, შესაძლოა, კავშირი ჰქონოდა იარაღით ვაჭრობასთან, რაშიც შემჩნეული არიან კონფლიქტის ზონაში მყოფი ცალკეული ქართველი მეომრები. "მე მას პირადად არ ვიცნობ და ამგვარი ბრალდებების დადასტურება ან უარყოფა არ შემიძლია," - განაცხადა მაჭავარიანმა.

მრჩევლის მოხსენების მოსმენის შემდეგ კი საქართველოს პრეზიდენტმა ტრადიციული "დედლაინი" განუსაზღვრა ქართველ ძალოვან მინისტრებს – სულ სამი დღის ვადა მისცა გატაცებულის მოსაძებნად. თუმცა, სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, ამ ვადის ამოწურვის შემდეგ მათი პასუხისმგებლობის დაყენებით აღარ დამუქრებია. ცხადია, პიტერ შოუს ვერგადაყოლებულ მინისტრებს უბრალო ვიცე-პოლკოვნიკისათვის თანამდებობებს არავინ დაატოვებინებს, მით უმეტეს, რომ მათ სულ უბრალოდ შეუძლიათ თავის მართლება არგუმენტით, რომ გატაცება მათ მიერ არაკონტროლირებად ზონაში მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ გატაცებულის მოძიებით, ძირითადად, ცხინვალელი ჩინოსნები არიან დაკავებულნი, გუშინ საღამოს შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ნოდარ დალაქიშვილი ცხინვალის შს მინისტრთან შესახვედრად გაემართა. მხარეები თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

# ერთი დაზარალებულის საქმის ორი გამოძიება

თამარ კაციტაძე

გიგა ბიწაძის საქმის გამოძიებას ორი პროკურატურა – ვაკე-საბურთალოსა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონების პროკურატურები ერთდროულად შეეჭიდნენ. ეს საქმე საზოგადოებისთვის "ადამიანის მწამებლად" შერაცხული ადვოკატის თემურ გოგსაძის სახელითაც გახდა ცნობილი.

1 ივლისს, შუაღამისას, რესპუბლიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგიულ განყოფილებაში სასტიკად ნაცემი გიგა ბიწაძე მოათავსეს. ექიმებმა ავადმყოფს დახურული თავის ქალა-ტვინის შეშუპების, ტვინის შერყევისა და სხეულის ზოგადი დაჟეჟილობის დიაგნოზი დაუსვეს. დაზარალებულის ოჯახის წევრებმა კი იმავე დღეს გაავრცელეს ინფორმაცია, რომ გიგა ბიწაძე, ადვოკატ თემურ გოგსაძის შეკვეთით, ჯერ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ პოლიციაში, შემდეგ კი ვაკე-საბურთალოს პოლიციაში ცემეს. ბიწაძეებისვე განცხადებით, გოგსაძემ უგონო მდგომარეობაში მყოფი გიგა ბიწაძე მამიდის კორპუსთან ავტომანქანით მიიყვანა და ოჯახის წევრებს ჩააბარა. გოგსაძეების და ბიწაძეების დაპირისპირების მიზეზი თემურ გოგსაძის ორი წლის წინ უგზო-უკვლოდ დაკარგული ბიძაშვილი როინ გოგსაძე გახდა. როგორც ამბობენ, ადვოკატი ბიწაძეს ნათესავის გაუჩინარებაში ადანაშაულებდა.

ბიწაძის ცემის ფაქტთან დაკავშირებით თავდაპირველად საქმე თბილისის პროკურატურაში აღიძრა. მართალია, შსს-ს გენერალური ინსპექციის მოკვლეული მასალებით, დანაშაულის დღეს ბიწაძე დასახელებულ პოლიციებში არავის უნახავს და ვერც მისი გვარი აღმოაჩინეს დაკავებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალში, მაგრამ, ბიწაძეების განცხადების თანახმად, დანაშაული სხვადასხვა ადგილას, კერძოდ, ვაკე-საბურთალოსა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონების პოლიციებში, სხვადასხვა პიროვნებებმა, ანუ პოლიციელებმა ჩაიდინეს. ამის გამო, ერთი პიროვნების მიმართ ჩადენილი დანაშაული ორ ნაწილად გაიყო და, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული დამნაშავეები ჯერაც არ არიან დადგენილები, საქმე ორი რაიონის პოლიციელთა მიმართ ორ პროკურატურაში აღიძრა.

დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში დაზარალებული ცემის დღეს ასე იხსენებს: **"მეტრო "მარჯანიშვილის" მიმდებარე ტერიტორიაზე თემურ გოგსაძის მეუღლე - ქეთევან ბოჭორიშვილი შემხვდა. მკითხა, შენ არ ხარ გიგა ბიწაძეო? მე, სკანდალის თავიდან აცილების მიზნით, დავუმალე ჩემი ვინაობა, რადგან ისინი როინ გოგსაძის დაკარგვას მაბრალებდნენ და გავიქეცი. რუსუდან ბოჭორიშვილმა ყვირილი დაიწყო - მკვლელია, დაიჭირეთო. რუსეთის საელჩოსთან სამმა პოლიციელმა დამიჭირა და დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციაში მიმიყვანა. ჩხრეკის შემდეგ მითხრეს, გოგსაძის ნათესავს უნდა შენი ნახვაო. ოთახში ათლეტური აღნაგობის მამაკაცი შემოვიდა, რომელიც როინის დაკარგვაზე მელაპარაკებოდა, მაგრამ ჩემგან სასურველი ინფორმაცია რომ ვერ მიიღო, ჩუმად მომეპარა და თავში მძიმე საგანი ჩამარტყა. შემდეგ ვაკე-საბურთალოს პოლიციაში წამიყვანეს** (როინ გოგსაძის დაკარგვის საქმეს იქ იძიებენ. თ.კ.). **ქეთევან ბოჭორიშვილი, როინ გოგსაძის დედა - გულიზა და ადვოკატის და - ლია სამორიგეოში დამხვდნენ. იქაც მეკითხებოდნენ, რა ვიცოდი გოგსაძის დაკარგვასთან დაკავშირებით. მერე ორმა პოლიციელმა ცემა დამიწყო. ცოტა ხანში სხვა ოთახში გადამიყვანეს, ხელ-ფეხზე ბორკილები დამადეს და ბლაგვ საგანს იქამდე მირტყამდნენ, ვიდრე გონება არ დავკარგე. აზრზე მხოლოდ საავადმყოფოში მოვედი."**

მოკვლევის დროს ბიწაძის ცემის დღეს რადიკალურად განსხვავებულად აღწერდნენ გოგსაძეები. გულიზა გოგსაძის ჩვენებით, იგი და ქეთევან ბოჭორიშვილი შუადღეს, დოლიძის ქუჩის კუთხესთან გიგა ბიწაძეს შემთხვევით შეხვდნენ. მათ ბიწაძე საღამოს იმავე ადგილას როინ გოგსაძის გაუჩინარებასთან დაკავშირებით სალაპარაკოდ დაუბარებიათ. დაახლოებით 23 საათზე შეხვედრა შემდგარა და ბიწაძე გამწარებულ დედას სწორედ მაშინ უცემია, თანაც ისე, რომ მას არანაირი დაზიანება არ ეტყობოდა. გოგსაძეების ნათესავს, გაფრინდაშვილს საუბარზე დასასწრებად გიგას მშობლებიც მიუწვევია, რომლებსაც შვილი მანქანაში ჩაუსვამთ და გაურკვეველი მისამართით წაუყვანიათ.

გოგსაძეს ასახელებენ. ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ კომენტარში თემურ გოგსაძე აღნიშნავს, "გიგა ბიწაძის ცემასთან არანაირი კავშირი არ მაქვს, გადაამოწმონ ჩემს მიერ დასახელებული ალიბები და დარწმუნდებიან. ჩემს გარშემო სკანდალის ატეხვა ვიღაცის ინტერესებშია. მიუხედავად ამისა, ვიმოქმედებ კანონის შესაბამისად. მაგრამ, პირველ რიგში, პასუხს სახელმწიფოსგან ველოდები, რომელმაც გამწარებული დედა შურისძიების უკიდურეს ზომამდე მიიყვანა. ამასთან, მოვითხოვ, სისხლის სამართლის საქმე აღიძრას როინ გოგსაძის დაკარგვისა და შესაძლო მკვლელობის ფაქტზე. გამოძიებამ დაკითხოს გიგა ბიწაძე, რომელმაც როინი გაუჩინარების დღეს სახლიდან გაიყვანა."

მოკლედ, ზემოთ დასახელებული ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებების გარდა, აღნიშნულ საქმეში კიდევ



გიგა ბიწაძე

ბესო გულაშვილის ფოტო

თავად თემურ გოგსაძის მტკიცებით კი, იგი აღნიშნული დანაშაულის დღეს დავით-გარეჯში იმყოფებოდა და დოლიძის ქუჩასთან იმ დროს მივიდა, როდესაც გიგა ბიწაძე ახლობლებს მანქანით მიჰყავდათ.

მიუხედავად დასახელებული ალიბისა, რომელიც გამოძიებას ჯერაც არ გადაუმოწმებია, ბიწაძეები პოლიციელთა მიერ ადამიანის წამებაში წამქეზებლად მაინც ადვოკატ ბევრი კითხვის ნიშანია. თუნდაც ის, რომ ექსპერტები დაზიანების სიმძიმის ხარისხის ოფიციალურად დაფიქსირებას დღემდე ვერ ბედავენ. მართალია, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურას აღნიშნული საქმის გამოძიება ჯერაც არ დაუწყია, მაგრამ, იმედია, ორივე პროკურატურა რეალური დამნაშავეების დადგენას მომავალში აუცილებლად შეძლებს.

## ბანდის ლიდერი ხალხმა „გაყიდა„

გუდერმესში დააკავეს მსხვილი დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერი, რომელსაც არაერთი მძიმე დანაშაული ბრალდება.

მისი დაჯგუფება, ძირითადად, გუდერმესსა და მის მახლობლად მცხოვრებთა დაყაჩაღებით იყო დაკავებული. მათთან ურთიერთობის გამოცდილების მქონეთ არასოდეს დაავიწყდებათ ის სისასტიკე, რომელსაც ყაჩაღები მიმართავდნენ.

ბანდის ანგარიშზეა ისეთი სერიოზული დანაშაულები, როგორებიცაა მკვლელობა, ადამიანის გატაცება, გაუპატიურება. ბანდის ორგანიზატორი გუდარმესელია, სულ 22 წლის. კარგა ხნის მანძილზე სამართალდამცველებს მისი დაკავება შეუძლებლად ეჩვენებოდათ, რადგანაც ისიცა და მისი ბანდის წევრებიც ლტოლვილების საბუთებით იმალებოდნენ. ბოლოს კი ადგილობრივ მაცხოვრებლებს მათი თავხედობა ყელში ამოუვიდათ და მილიციას ბანდის ლიდერის ადგილსამყოფელი აცნობეს. რუსმა მილიციელებმაც წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას და საშიში ბოროტმოქმედი დააპატიმრეს. ახლა ჯერი მის ქვეშევრდომებზეა.

## შვიდწლიანი ხეტიალის დასასრული

თბილისის პოლიციამ რუსი სამართალდამცველების მიერ ძებნილი, მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავა. 38 წლის ბესიკ გოგოლაძე 7 წლის მანძილზე, სამართალდამცველთაგან მალვის პერიოდში, თავს დსთ-ს სხვადასხვა ქალაქებს აფარებდა. ბოლოს კი იგი თბილისში დააკავეს. როსტოვის პოლიცია მას განზრახ მკვლელობას ედავება. რუსი სამართალდამცველების მონაცემების მიხედვით, მან 1995 წელს, რამდენიმე პირთან ერთად, მოკლა რუსეთის მოქალაქე, ვინმე ტუტოვი.

## ცოლი დაჭრა

პოლიციას ოჯახის წევრებზე მოძალადეების წინააღმდეგ ბრძოლა ყველაზე უკეთ ხელეწიფება. ახლაც რუსთაველმა სამართალდამცველებმა ადვილად დააკავეს 38 წლის გოდერძი გალუსტაშვილი. მას საკუთარი ცოლი დაუჭრია. ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დაწყებული ჩხუბისას გალუსტაშვილს ცოლის მოკვლა სულაც არ სურდა, უბრალოდ, მის შესაშინებლად დანა ამოიღო და ქალს ბარძაყში დაარტყა. თუმცა ცოლქმრული ჩხუბის უკიდურესობამდე მიყვანისათვის მას ახლა პოლიციასთან ექნება საქმე.

## რუსეთის მილიციამ მოინდომა

გუშინწინ სოჭში დააკავეს გორის რაიონის პოლიციის მიერ მკვლელობის მცდელობისთვის ძებნილი თემურ მამაცაშვილი. 33 წლის მამაცაშვილმა 1998 წელს, მრავალი მოწმის თანდასწრებით, ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა მეგობარი გოგონა მაია ცარციძე. ინციდენტი გორში მოხდა. მეგობართა წრეში მყოფმა წყვილმა წაიჩხუბა. ნასვამმა მამაცაშვილმა კი იარაღი ამოიღო და ესროლა. გოგონა გადარჩა, მამაცაშვილი კი იმ დღესვე მიიმალა. გორის პოლიციამ მისი ძებნა გამოაცხადა და რუსმა სამართალდამცველებმა მიაგნეს კიდეც. 2001 წლის 4 ივნისს თემურ მამაცაშვილი რუსეთის ფედერაციის კომის რესპუბლიკის ქალაქ მიკუნის მილიციამ დააკავა. თუმცა, მაშინ მამაცაშვილი როგორღაც დაუსხლტა სამართალდამცველებს და გაიქცა. მას შემდეგ მხოლოდ ახლა მოხვდა იგი მილიციელთა თვალთახედვის არეში და დაიჭირეს კიდეც.

## "ნარკობარიგა" დაიჭირეს

14 აგვისტოს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა ქალაქ ბაქოს აეროპორტში დააკავეს გლდანი-ნაძალადევის პოლიციის მიერ ნარკოტიკების რეალიზაციისთვის ძებნილი, აზერბაიჯანის მოქალაქე თაირ ჯაბაროვი.

ცოტა ხნის წინათ ჯაბაროვი თბილისში დიდი რაოდენობით ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს. თუმცა, სასამართლომ მას წინასწარი პატიმრობა არ შეუფარდა, ადმინისტრაციული სასჯელი აკმარა და გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლა. ჯაბაროვმა კი მიცემული სიტყვა არად ჩააგდო და იგი სასამართლოს სხდომის შემდეგ საქართველოში აღარც უნახავთ. შესაბამისად, მასზე ძებნაც გამოცხადდა და მისი დაკავება მხოლოდ ახლა მოხერხდა.

## „კოკა-კოლამ„ და „პეპსიკომ„ ჰიმალაის მთები სარეკლამო ფარად აქციეს

ინდოეთის უმაღლესმა სასამართლომ "კოკა-კოლასა" და "პეპსიკოს" განმარტება მოსთხოვა იმის შესახებ, თუ რატომ განათავსეს მათ საკუთარი სარეკლამო ფარები ჰიმალაის მთებზე. როგორც სასამართლო მოსმენებიდან გახდა ცნობილი, ამ კომპანიებმა სარეკლამო განცხადებები 5600 მეტრის სიმაღლეზე მიმოფინეს. გამაგრილებელი სასმელების ორი გიგანტის სარეკლამო ფარები ინდოეთის შტატ ხიმაჩალ-პრადეშში მდებარე კლდეზე, საავტომობილო გზიდან 50 კილომეტრის დაშორებითაა განთავსებული.

როგორც "კოკა-კოლას" ინდოეთის ფილიალის წარმომადგენელმა სუნილ გუპტამ "ბი-ბი-სისთან" საუბარში განაცხადა, მისი კომპანია ჰიმალაებზე რეკლამის განთავსებაზე პასუხისმგებლობის აღებას არ აპირებს. "იმ რეგიონში, სადაც ეს სარეკლამო ფარებია აღმოჩენილი, მუშაობს კომპანია, რომელსაც "კოკა-კოლასაგან" ლიცენზია აქვს ნაყიდი ჩვენი პროდუქციის რეალიზაციაზე. ჩვენ კი მკაფიოდ დადგენილი წესებით ვმუშაობთ: რეკლამა უნდა განთავსდეს მხოლოდ მაღაზიებში, სადაც ჩვენი სასმელები იყიდება", - აღნიშნა "კოკა-კოლას" წარმომადგენელმა.

ანალოგიური განცხადებებით გამოვიდნენ "პეპსიკოს" წარმომადგენლებიც.

# „გვინდა, მათ რამე დავუშავოთ", - ასეთია მომჩივანთა მიზანი

სოფიკო ჩხაიძე

ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად დაღუპულთა 600–მდე ნათესავმა საჩივარი შეიტანა სუდანის ხელისუფლებისა და მმართველი ოჯახის, აგრეთვე საუდის არაბეთის რამდენიმე ორგანიზაციის წინააღმდეგ. მომჩივნები მათ უსამა ბინ ლადენისა და მისი "ალ ქაედას" ფინანსირებას აბრალებენ.

საჩივრით მოთხოვნილი თანხა ტრილიონ დოლარს აჭარბებს, თუმცა მომჩივნები ამბობენ, რომ ისინი იმდენად თანხის მოგებით არ არიან დაინტერესებულნი, რამდენადაც მოპასუხეთა დასჯით.

საჩივარი 258 გვერდს მოიცავს და მისი ძირითადი ნაწილი მომჩივანთა ვინაობის ჩამონათვალსა და 80-მდე მოპასუხის სიას ეთმობა. მომჩივანთა შორის მხოლოდ დაღუპულთა ნათესავები კი არა, ტერაქტის რამდენიმე მსხვერპლიცაა, რომლებიც წმინდა შემთხვევითობამ გადაარჩინა.

მართალია, დაღუპულთა შორის დსთ-ს ქვეყნების 3 ათასამდე წარმომადგენელი იყო, მაგრამ საჩივარს მხოლოდ ორი მათგანის – ელენა ბილილოვსკაიასა და ალექსანდრ ბრაგინის ნათესავები აწერენ ხელს.

აი, მოპასუხეთა სია კი მეტად წარმომადგენლობითია. აქ შეხვდებით სუდანის ხელისუფლებას, რადგან იქ წარსულში ცხოვრობდა ბინ ლადენი, შვიდ ბანკს, რვა ისლამურ საქველმოქმედო ფონდს და სამ საუდელ პრინცს. თითქმის ყველა ამ ორგანიზაციასა თუ პიროვნებას ამერიკაში საკმაოდ მსხვილი ფულადი დაბანდებები გააჩნიათ, რომელთა იმედიც, ალბათ, აქვთ მომჩივნებს პროცესის მოგების შემთხვევაში. პრეცედენტი კი უკვე არსებობს. მაისში გამოცხადდა, რომ 1988 წელს შოტლანდიის პატარა ქალაქ ლოკერბის თავზე Pan American–ის თვითმფრინავის აფეთქების შედეგად დაღუპულთა ოჯახებთან ლიბიელების ჯგუფმა მოლაპარაკება აწარმოვა და თითოეულმა ოჯახმა მათგან 10 მილიონი დოლარის კომპენსაცია მიიღო.

ოღონდ ამჯერად მომჩივნები ამბობენ, რომ კომპენსაციის მიღების მაინცდამაინც დიდი იმედი არ აქვთ, უბრალოდ, მათთვის მთავრია, დასაჯონ ის პირები და ორგანიზაციები, რომლებიც, მათი აზრით, ტერორისტებს ეხმარებოდნენ.

საინტერესოა, რომ საჩივარში, რომელიც თავის თავში შეიცავს "ალ ქაედას" მოკლე ისტორიასა და სხვა ისტორიულ ექსკურსებს, რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის ციტირებაც ხდება. რუსეთის უშიშროების მიერ გავრცელებული ეს ცნობა ეხება ორ მოპასუხეს – საუდის არაბეთის ბანკს "ალ ბარაქასა" და ისლამურ ფონდს "ალ ჰარამაინს". მომჩივნებს მოჰყავთ რუსეთის უშიშროების სამსახურის განცხადება იმის შესახებ, რომ ეს დაწესებულებები მონაწილეობენ ჩეჩენი "საველე მეთაურების, მათ შორის, ხატაბისა და ბასაევის" ფინანსირებაში.

მოპასუხეთა სიაში შედიან, აგრეთვე, პრინცი მუჰამედ ფეისალი, საუდის არაბეთის დაზვერვის ყოფილი შეფი თურქი ფეისალი და საუდის არაბეთისვე თავდაცვის მინისტრი, სულთანი ბინ აბდულ აზიზი. "ეს სახელმწიფო ტერორისტების სპონსორია",– აცხადებს რონ მოტლი, მომჩივანთა მიერ დაქირავებული ადვოკატების ჯგუფის ხელმძღვანელი.

# ვინც ახლოს იცნობს შევარდნაძის მოღვაწეობას საქართველოში, ნაწილობრივ იმედგაცრუებულია

პირველი გვერდიდან

ჯგუფის ხელში, თავისუფალ მასმედიაზე, განსაკუთრებით ელექტრონულ მედიაზე, კონტროლის დაწესება საშიშ ტენდენციად მიმაჩნია. მართალია, რუსეთი ჩვენს გვერდით დადგა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს და მისი ეკონომიკაც ნორმალურად ვითარდება, მაგრამ მე მაინც ბევრი ეჭვი მაქვს ამ ქვეყნის განვითარების გზასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, შეერთებულმა შტატებმა აუხსნას რუსეთს, რაოდენ მნიშვნელობას ვანიჭებთ ადამიანის უფლებების დაცვას, გამჭვირვალობასა და მასმედიის თავისუფლებას.

დღეს ჩვენ რუსეთთან უფრო მეტ საკითხთან დაკავშირებით ვთანამშრომლობთ, ვიდრე ადრე, მაგრამ არსებობს დიდი შეუსაბამობა იმას შორის, რასაც ამბობს და რასაც აკეთებს რუსეთი.

მე მხარს ვუჭერ ადმინისტრაციის პოლიტიკას, დაეხმაროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სასაზღვრო ჯარებს, რათა ყოველგვარი საფუძველი გამოაცალოს რუსეთს, რომ საქართველოს საზღვარი ჩეჩენ ტერორისტებთან ბრძოლის მოტივით დაარღვიოს.

**- ერაყში ჯარების შესაძლო შეყვანა დღეს ამერიკის პოლიტიკის ყველაზე აქტუალური თემაა. იმ შემთხვევაში, თუ ამერიკამ ერაყში შესვლა მართლა გადაწყვიტა, როგორ გგონიათ, რა გავლენას მოახდენს ეს ამერიკა-რუსეთის ურთიერთობასა და, მთლიანად, კავკასიის რეგიონზე?**

- ბოლო პერიოდში მასმედიაში გაჩნდა მოსაზრება, რომ რუსეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს ამერიკის შესვლას ერაყში, თუ ამერიკა, თავის მხრივ, მწვანე შუქს აუნთებს რუსეთის ჯარების საქართველოში შესვლას. ეს წარმოუდგენლად მიმაჩნია, ამგვარი ვაჭრობა გამორიცხულია.

პირადად მე ძალიან შეშფოთებული ვარ ამერიკასა და ერაყს შორის პოტენციური ომის დაწყების შესაძლებლობით. ჩვენ, ყველას - პოლიტიკურ პარტიებს და საზოგადოებას - გაცნობიერებული გვაქვს, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმი მსოფლიოსთვის რეალური პრობლემაა და, რაც მთავარია, ის, პირველ რიგში, ერაყის მოსახლეობის წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ კავშირი სადამ ჰუსეინსა და 11 სექტემბრის მოვლენებს შორის ძალზე საჭვოა. მე მჯერა, რომ შეკავების პოლიტიკა, რომელსაც ამერიკა მის მიმართ წლების განმავლობაში იყენებდა, საკმაოდ წარმატებული იყო.

ამ ეტაპზე ჩვენთვის ძალინ მნიშვნელოვანია, ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია მოვიპოვოთ. იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით კი, რომელიც დღეს გვაქვს, მასობრივი შეტევა ერაყზე გაუმართლებელი იქნებოდა.

**- ეს თქვენი პირადი შეხედულებაა თუ - მთლიანად პარტიის?**

- ეს ჩემი საკუთარი მოსაზრებაა. ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება არსებობს, როგორც ჩვენს პარტიაში, ასევე რესპუბლიკელებში.

**- თუ არის დემოკრატებისა და რესპუბლიკელების პოლიტიკაში რაიმე განსხვავება საქართველოსა და, მთლიანად, კავკასიის რეგიონთან მიმართებაში?**


ლოიდ დოგეტი

- ჩვენს საგარეო პოლიტიკაში არის რაღაც განსხვავებები, რომლებიც, მაგალითად, საერთაშორისო ვაჭრობასა და სხვა საკითხებს ეხება, მაგრამ კავკასიასთან მიმართებაში განსხვავებები ნაკლებად მნიშვნელოვანია. მთავარია, რომ გამოსწორდეს საინვესტიციო კლიმატი რეგიონში და გაუმჯობესდეს ვითარება ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით.

იმისათვის, რომ ამერიკამ საქართველოში გრძელვადიანი ინტერესები შეინარჩუნოს, უპირველეს ყოვლისა, კორუფციასთან ბრძოლაა საჭირო. საქართველოსთან მიმართებაში როგორც დემოკრატების, ისევე რესპუბლიკელების მთავარი პრეტენზიები კორუფციას ეხება, ისევე, როგორც რელიგიური უმცირესობების დევნას.

**- სხვათა შორის, იყო თუ არა თქვენი სახელი და გვარი იმ კონგრესმენთა რიცხვში, რომლებმაც საქართველოს პრეზიდენტს წერილი გამოუგზავნეს, სადაც საუბარი რელიგიური უმცირესობების უფლებების უხეშ დარღვევებს ეხებოდა?**

- არა, მე არ ვიყავი იმ კონგრესმენებს შორის, მაგრამ აბსოლუტურად ვეთანხმები იმ წერილის შინაარსს. სხვათა შორის, რამდენიმე საათის წინ იელოვას მოწმეებს ისევ დაესხნენ თავს. ასეთი ქმედება კი დემოკრატიულ საზოგადოებაში წარმოუდგენელია. ხოლო ის ფაქტი, რომ ის ადამიანები, რომლებიც ასეთ დარბევებში მონაწილეობენ, არ ისჯებიან, მეტყველებს იმაზე, რომ ამ ქვეყანაში სერიოზული რეფორმებია ჩასატარებელი.

**- ხომ არ ფიქრობთ, იმისათვის, რომ დემოკრატიული რეფორმები ჩატარდეს, ამერიკის ხელისუფლებამ უფრო მეტი ზეწოლა უნდა განახორციელოს ხელისუფლებაზე?**

- მე ვფიქრობ, რომ დემოკრატიული რეფორმების ინიციატივა თვითონ ქვეყნიდან უნდა მოდიოდეს. მე არ ვიხმარდი სიტყვას "ზეწოლა," მაგრამ ნებისმიერი მომენტი - იქნება ეს ჩემი თუ ამერიკის სხვა ოფიციალური პირების სტუმრობა - გამოყენებულია იმისათვის, რომ ყველამ გაიგოს, აშშ-ს ხელისუფლებისთვის დემოკრატიული რეფორმები და ადამიანის უფლებათა დაცვა პრიორიტეტული საკითხია. აქედან არის მიმართული ამერიკის ელჩის მთელი ძალისხმევაც.

მე ვაცნობიერებ, რომ კავკასიის რეგიონისთვის დემოკრატია ახალია. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ამ რეგიონის ისტორია გავითვალისწინოთ, მას პატივი ვცეთ და ამ რეგიონის ლიდერებსა და მოსახლეობას ჩვენებური ხედვა თავზე ძალდატანების გზით არ მოვახვიოთ.

საქართველოში ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში აქტიურად მუშაობს. მათ ამერიკის საელჩო და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები უჭერენ მხარს.

ჩვენთვის მთავრია, თავად ქართველებმა შეიმუშაონ ის გზები და მეთოდები, რომლის საშუალებითაც უნდა გადაჭრან სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული პრობლემები.

**- რამდენიმე საათში პრეზიდენტ შევარდნაძეს შეხვდებით, ძირითადად რა საკითხებზე გექნებათ საუბარი?**

- ჩვენი საუბრის თემა, ბუნებრივია, პირველ რიგში, ადამიანის უფლებები და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება იქნება. მაგრამ ეს შეუძლებელია კორუმპირებული სისტემის პირობებში.

გარდა ამისა, ყველაზე მთავარი პრობლემა ისაა, რომ საქართველოში დღეს თავს დაცულად ვერავინ გრძნობს, განსაკუთრებით - უცხოელები. თქვენ ძალიან ლამაზი და უნიკალური ქვეყანა გაქვთ, მაგრამ სანამ კორუფციისა და უსაფრთხოების პრობლემები არ მოგვარდება, შეუძლებელი იქნება, აქ ჩამოსვლით ინვესტორები და ტურისტები დაინტერესდნენ.

**- რა კონკრეტულ რეკომენდაციებს მისცემთ პრეზიდენტს?**

- ჩემი რეკომენდაციები რელიგიურ შემწყნარებლობასა და სამართლებრივი რეფორმებს შეეხება. მე, როგორც ყოფილი მოსამართლე, ძალიან ვარ დაინტერესებული დამოუკიდებელი და ძლიერი სასამართლო სისტემით. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში სამართალდამცავების მთავარი მოვალეობაა, საკუთარი მოქალაქეები დაიცვან და არა გაძარცვონ ისინი.

რამდენიმე წლის წინ საქართველოში რეფორმები დაიწყო, მაგრამ მათი ტემპები არადამაკმაყოფილებელია. მე ძალიან გამიკვირდა, როცა გავიგე, რამდენი ადამიანია კორუფციაში ბრალდებული და რა ცოტა ზის ციხეში. ასევე, არავინ აგებს პასუხს იმ დარბევების გამო, რომელსაც ხან არასამთავრობო ორგანიზაციებზე, ხან ჟურნალისტებზე და ხან სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციებზე ახორციელებენ.

**- იმ სერიოზული კრიზისის გამო, რომელმაც ერთნაირად იჩინა თავი ეკონომიკაში, პოლიტიკასა და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის პროცესში, გაჩნდა თუ არა უნდობლობა შევარდნაძის მიმართ? თქვენ, ჩვენი წინა შეხვედრის დროს, ახსენეთ, რომ ამერიკაში საქართველოს მოიხსენიებენ ქვეყნად, რომელიც თანდათან ინგრევა.**

- იმ ამერიკელებს, რომლებსაც შევარდნაძის შესახებ რაღაც გაუგიათ, მასზე დადებითი აზრი აქვთ. თავის დროზე შევარდნაძემ მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად, ისტორიის კრიტიკულ მომენტში, ძალიან დადებითი როლი შეასრულა.

მაგრამ ისინი, ვინც უფრო ახლოს იცნობენ მის მოღვაწეობას საქართველოში, ნაწილობრივ იმედგაცრუებულები არიან.

ადამიანები, რომელთაც ამ ხნის კარიერა აქვთ, იმაზე უნდა ფიქრობდნენ, რა მემკვიდრეობას დატოვებენ. საუკეთესო, რაც შეიძლება, შევარდნაძემ დატოვოს, ეს დემოკრატიული ინსტიტუტები და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები იქნება.

მე ამ საღამოს მას ვეტყვი, რომ საუკეთესო ვარიანტი იქნება, მისი საშინაო მემკვიდრეობაც ისეთივე კარგი იყოს, როგორც ის საერთაშორისო მემკვიდრეობა, რომელიც მან საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს დატოვა.

# პაატა ბლუაშვილი: "ჩვენ მხოლოდ თავს ვიცავთ"

პირველი გვერდიდან

შეგვეძლო, ჩავსაფრებოდით, დაველოდებოდით ხალხის შეკრებას და შემდეგ დაგვერბია. ჩვენ ეს შეგნებულად არ გავაკეთეთ და მხოლოდ მათი ატრიბუტები გავანადგურეთ.

**- რა მოხდა გორსა და კასპში?**

- გორის რაიონის სოფელ ორთაშენში ჩასულებს, ადგილობრივი მოსახლეობა დაგვხვდა. მათ თავად მიგვიყვანეს სახლთან, სადაც კონგრესი უნდა ჩატარებულიყო. შენობას საცხოვრებელი სახლის არც ერთი ატრიბუტი არ გააჩნდა. სპეციალურად კონგრესების ჩასატარებლად იყო ნაყიდი და სკამებითა და ლიტერატურით იყო სავსე. 20 ტონამდე ლიტერატურა გავანადგურეთ. ამ სოფელს სკოლა თავზე ენგრევა და მოსახლეობას სურს ის შენობა სკოლად გამოიყენოს. ადგილობრივები გვეხმარებოდნენ ლიტერატურის გარეთ გამოტანაში და ჩვენ, ფაქტობრივად, დამკვირვებლების სტატუსით ვიყავით.

უკვე დაბნელებული იყო, კასპში რომ ჩავედით. იქ მამა ბასილის მრევლიდან ათი კაცი და ადგილობრივი მოსახლეობა დაგვხვდა. ჩვენ თორმეტნი ვიყავით. ადგილობრივებმა მიგვიყვანეს იმ სახლთან, სადაც კონგრესი უნდა ჩატარებულიყო. ჩუმად არ მივსულვართ, ყველას, მათ შორის იელოველებსაც, გავაგებინეთ, რატომ მივდიოდით. პოლიციაც მოვიდა. ისინი წინააღმდეგობას გვიწევდნენ, მაგრამ სიტუაციის გამწვავებას მოერიდნენ და ხალხის ნებას დაჰყვნენ. სახლის ეზოში კონგრესისთვის გამზადებული რამდენიმე ათეული ტუალეტი იდგა. სწორედ იქ შევყარეთ იელოველთა ლიტერატურა და დავწვით.

**- შეიარაღებულები თუ იყავით?**

- პირველმა არხმა მტკნარი სიცრუე გადმოსცა მომხდარის შესახებ. არავითარი ნაჯახი და დანა იქ არავის ჰქონია. ამას ყველა დაადასტურებს. ტელევიზიით გაიჟღერა, აგრეთვე, ამერიკის საელჩოს პროტესტმა. მოვლენების ამგვარი განვითარების გამო, მე, პაატა ბლუაშვილი, მოვითხოვ ნებისმიერი ტელევიზიით ხალხის წინაშე გამოსვლას. პრესას ვთხოვ, დამაკავშირონ იმ ხალხს, ვინც ამ სექტებს იცავს. დავსხდეთ და დიალოგი გავმართოთ, რათა გავარკვიოთ, სინამდვილეში ვისი უფლებები ირღვევა, მართლმადიდებლების თუ იელოველების. ამერიკის საელჩოს ვთხოვთ, ჯერ მიზეზები გაარკვიონ და შემდეგ გამოიტანონ დასკვნები. რა დავარქვათ იმას, ხატები რომ იწვება?! აბა, ამერიკელებისათვის რაც წმიდათა წმიდაა ის შეურაცხყონ, საკადრის პასუხს გასცემენ თუ არა?! ჩვენ არ გვინდა სისხლი და ძალისმიერი დაპირისპირება. დავსხდეთ ყველანი და მშვიდობიანი ფორმით გადავწყვიტოთ ეს პრობლემა.

**- მარნეულშიც აპირებთ კონგრესის დარბევას?**

- წინასწარ ვაფრთხილებთ ყველას, რომ იგივეს გავაკეთებთ. ჩვენ კონკრეტულ ადამიანებს კი არა, იდეას ვებრძვით, რომელიც დამღუპველია და გამანადგურებელია არა მარტო ქართული მართლმადიდებლობისათვის, არამედ ყველა ტრადიციული რელიგიისათვის. ინგლისურ გაზეთ "გარდიან"-ში დაიბეჭდა სტივენ ბეიტსის სტატია, სადაც მხილებულია ამ სექტის ფარისევლური ზრახვები. საუბარია იმაზე, თუ როგორ იყენებდა სექტა გაერო-ს მხრიდან მის აღიარებას სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლებაზე ზეგავლენისათვის, მაგალითად - საფრანგეთის ხელისუფლებაზე, რომელმაც "იელოვას მოწმეები" არ აღიარა. ავტორი ყოფილი იელოველების მონაყოლს ეყრდნობა. ამ სტატიის წაკითხვამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ სწორ გზაზე ვდგავართ.

**- ამბობთ, რომ კასპისა და გორის ინციდენტებზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებთ. არ გეშინიათ, რომ დაგიჭირენ?**

- მიმაჩნია, რომ ჩვენ სიმართლეს ვემსახურებით. პროკურატურაში ჩვენზე საქმეა აღძრული, შეიძლება, დამიჭირონ კიდეც. მაგრამ სხვაგვარად რომ მოვიქცეთ, რა პასუხი გავცეთ ჩვენს წინაპრებს, იმ ათასობით ქართველს, ჯალალ-ედ-დინმა რომ დახოცა მეტეხთან, არაგველებს, ხერხეულიძეებს, მამა თევდორეს, რა პასუხი გავცეთ ჩვენს შვილებს, როგორ საქართველოს ვუტოვებთ მათ?! ჩვენ არავის ვებრძვით, ჩვენ მხოლოდ თავს ვიცავთ. ჩემს მიწაზე ვარ, ჩემს ოჯახში, სხვა ქვეყანაში ასე კი არ მოვიქცეოდი?! და კიდევ ერთი, მთავარი პრობლემა – კანონი რელიგიის შესახებ, რომლის მიღება ისე ჭიანურდება, შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ვილაცას სეირის ყურება სურდეს. შეეშვით, ხალხო, გრანტების ჭამას და მიიღეთ კანონი - ვეტყოდი ყველას, ვინც ფიქრობს, რომ იელოველების პრობლემა, მარტო ერთი მუჭა ქართველების პრობლემაა და არა ყველასი.

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.




მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქციები კითხვის შედგენისათვის:

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი

ბინის მისამართი

საფოსტო ინდექსი

# შარაძე აშშ-ს ელჩს აგენტობას აბრალებს

ნანა ქადაგიშვილი

იელოველთა და შარაძე-მკალავიშვილის დაპირისპირებამ თბილისიდან კასპში გადაინაცვლა. იელოველთა მოწინააღმდეგეებმა, კონგრესის ჩაშლის მიზნით, გუშინწინ ბუნტურის სახლი დაარბიეს, დაწვეს სცენა და სექტანტთა ლიტერატურა, გუშინ დილით კი ბასილ მკალავიშვილი კასპის შესასვლელში ჩადგა და არც ერთი იელოველი იქაურობას არ გააკარა.

იელოველები ბუნტურის სახლის დარბევას გურამ შარაძესა და მის მხარდამჭერებს აბრალებენ. დამრბევთა შორის მათ საზოგადოება "ჯვრის" წარმომადგენლებიც ამოიცნეს. შარაძე კი აცხადებს, რომ სექტანტებმა დარბევის სცენა გაითამაშეს, რათა მთელი მსოფლიოს წინაშე უფლებაშელახულთა და დაჩაგრულთა როლში გამოსულიყვნენ. **"კასპის მისახლეობასთან შეხვედრა ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ დავგეგმეთ. ჩვენს აქ ჩემოსვლას ბუნტურის სახლის დარბევასთან კავშირი არ აქვს. ეს ისეთივე ცილისწამებაა, როგორც "თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევაში მონაწილეობის დაბრალება. ჩვენ კასპის ღირსშესანიშნავი ადგილები მოვინახულეთ. ვიყავით ივანე ჯავახიშვილის სოფელ ხოვლეში, კვართის წმინდა გიორგის ეკლესიაში, რომელიც იელოველებმა დაარბიეს. ამაზე სამარცხვინო რა უნდა იყოს, რომ ივანე ჯავახიშვილის სოფელში იელოველები მომრავლდნენ, კასპი საკუთარ "დედაქალაქად" აქციეს, უშანგი ბუნტურს კი მდინარის პირას აუზი აუშენებია და მართმადიდებლებს იელოველებად ნათლავს,"** – აცხადებს შარაძე.


შარაძე თავის ამალაში

იელოველთა ბედით ამერიკის საელჩოს დაინტერესებას კი იგი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებად მიიჩნევს და ამერიკის ელჩის, რიჩარდ მაილსის საქართველოდან გაწვევას ითხოვს. **"მაილსმა კასპში თავისი წარმომადგენლები სათვალთვალოდ გამოგზავნა. ვინ მისცა მას საქართველოში აგენტობის უფლება? ჰკითხეთ ამერიკის ელჩს, რა აღმსარებლობის არის და ბულგარეთიდან რატომ წამოვიდა,"** – გვირჩევს შარაძე.

აშშ-ს საელჩო კი აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები რელიგიის თავისუფლებას მტკიცედ უჭერს მხარს და საქართველოში იელოვას მოწმეთა დაცვას ამიტომ ცდილობს.

www.24hours.ge 24 B

# "ვილის ოვერლენდის" რაინდები

2002 წელი, 11-14 აგვისტო, თბილისი - ბათუმი - თბილისი

ანა კორძაია-სამადაშვილი

*მეორე მსოფლიო ომი დიდი ხნის წინათ დამთავრდა და ჩვენი გმირის, willys – ford GPW-ს მილიტარისტული წარსული აღარაა აქტუალური. ეს პატარა მანქანა მეოცე საუკუნის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად იქცა, ისევე, როგორც კოკა-კოლა, "როლინგ სტოუნზი" თუ მერლინ მონრო - მანქანა, რომელსაც ყველაფერი შეუძლია და ყველაფრისთვის საუკეთესოა; ჯიპი, რომელსაც სახელიც უჩვეულო აქვს - არც შემქმნელის გვარი ჰქვია, არც გამოშვების ადგილი, არც აბრევიატურაა. ის იუჯინ ჯიპია, მულტფილმ "პაპაი მეზღვაურის" გმირი, რომლისთვისაც დაბრკოლება არ არსებობს, პატარა, უცხო ცხოველი, რომელიც უჩვეულოდ აცხადებს თავისი არსებობის შესახებ: "ჯიპ, ჯიპ, ჯიპ."*

ჩვენი გაზეთის მკითხველები, ალბათ, თვალს ადევნებდნენ ლენდ-ლიზის ხელშეკრულების 60 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ ავტომსვლელობას. შეგახსენებთ: 11 აგვისტოს 11 საათზე 11 ავტომობილი რესპუბლიკის მოედნიდან დაიძრა. შორი გზა იყო გასავლელი, 1000 კილომეტრი. არ დაივიწყოთ, რომ ეს მანქანები სამოციოდე წლისა არიან, მათი წარმოება 1947 წელს შეწყდა. თან, რამდენიმე მათგანი წლების განმავლობაში კვირაში ორჯერ თუ გადიოდა "გასასეირნებლად", მოკლე მანძილებზე კი ყოჩაღად დარბოდნენ, მაგრამ ამხელა გზა მათთვის ნამდვილად დიდი გამოცდა იყო. თუმცა, გზაში მანქანის გაჩერების შიში არავის ჰქონია: მსვლელობის მონაწილეებს მანქანები საკუთარი ხელით აქვთ აწყობილი, ყოველ ნაწილს იცნობენ, ყოველ ჭანჭიკს.

მოგახსენებთ (და იმედი მაქვს, რომ ჯიპების მფლობელები სწორად გამიგებენ): ამ მამაკაცების მანქანებისადმი დამოკიდებულება საყვარელი ქალის მიმართ გრძნობას უფრო ჰგავს, ვიდრე ავტომობილისტის მანქანაზე ზრუნვას. ჯიპი უსულო საგანი არაა. ასე, ერთ-ერთი ჯიპის მფლობელმა სერიული ნომრის დადგენის შემდეგ კატალოგიდან შეიტყო, რომ მისი მანქანა 1942 წლის დეკემბერშია გამოშვებული. ანუ მშვილდოსანია-თქო? პასუხად მომახსენა, მეც მშვილდოსანი ვარო.

წარმოიდგინეთ, ავტომსვლელობისთვის როგორი სამზადისი დაიწყებოდა – მთელ საქართველოს უნდა ენახა მათი ჯიპები. მანქანები "გაპრანჭეს", ვარსკვლავები დააკრეს, დროშები დაამაგრეს – "24 საათი", "რუსთავი-2", "8-07", online.ge. პირველი ორი მანქანა კი საქართველოს და აშშ-ს დროშებით იყო დამშვენებული.

გასვლის დილას ყველაზე



შესვლა ბათუმში

შთამბეჭდავი სანახავი მერაბ გუჯაბიძე იყო, ამერიკელი გენერლის ფორმაში გამოწყობილი, სრულად აღჭურვილი, ოღონდ იარაღის ნაცვლად გაღუნული კიტრი ედო ბუდეში – სამხედრო ჯიპების მსვლელობა 60 წლის შემდეგ მშვიდობიანი იყო, ამიტომ გენერალსაც არ ეკადრებოდა იარაღის ტარება. მერაბის ჯიპი, ალბათ, მსოფლიოს მასშტაბითაა თითით საჩვენებელი – ყველაზე პატარა ჭანჭიკიც კი "რადნოია", მერაბმა ამ მანქანის შექმნას ოცი წელი მოანდომა. ის ღირდა ამ შრომად – მერაბს ძალიან კარგი მანქანა ჰყავს.

მას შემდეგ, რაც რამდენიმე დღე განუყრელად ვიყავი "ვილისების" მფლობელებთან, მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ჯიპის ყოლა ან, თუნდაც, მის მიმართ ინტერესი ჩემთვის მამაკაცის ერთ-ერთ სერიოზულ ღირსებად იქცა. ასეთი მამაკაცი გარანტირებულად არ გალოთდება – თავის მანქანას საფრთხეში ვერ ჩააგდებს; აუცილებლად კარგი პროფესიონალია, მუშაობს, რადგან საკუთარი თავისა და ოჯახის გარდა ჯიპიც ჰყავს შესანახი; მას არ გააჩნია ზოგიერთი მამრისათვის დამახასიათებელი აგრესია, რადგანაც ზუსტად იცის, რაც უნდა, და მოცლილი არაა; ის თავდადებული მეგობარია – მანქანის ერთგული კაცი ადამიანს როგორ არ უერთგულებს?!

ეს კაცები მხიარული და სანდო თანამგზავრები არიან, თან საუკეთესოდ ორგანიზებული ჯგუფი. მსვლელობის შემყურეს მიჭირდა იმის დაჯერება, რომ "ჯიპმენები" დიდი ხნის განმავლობაში არ ამუშავებდნენ მოძრაობის გეგმას, ყველაფერი კარგად დადგმულს გავდა. განსაკუთრებით, შთამბეჭდავი სანახაობა სერპანტინებზე მიმავალი ჯიპები იყო: ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დაცილებული, მოფრიალე დროშებით. მომზადებულ აღლუმს ჰგავდა ბათუმში სამ რიგად ჩავლაც. მანქანები მწყობრად ჩერდებოდნენ ყოველი ქალაქის ცენტრში: მცხეთაში, გორში, ხაშურში, ქუთაისში, ფოთში... მათ დასათვალიერებლად მოსულ ხალხს "24 საათის" მიერ საგანგებოდ ავტომსვლელობისთვის მომზადებულ გაზეთს ურიგებდნენ და მძღოლები დაუზარლად ხდიდნენ კაპოტს ყოველი მსურველის წინაშე. მსურველი კი ბევრი იყო.

ცხადია, თავისი მანქანა ყველას ყველაზე კარგად მიაჩნია, ამიტომ შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, რომ ერთმანეთისთვის არ "ეკბინათ". "ამის მანქანა ახლა ათჯერ მეტი ღირს, ისეთი "კაპიტალკა" ჩავუტარეთ," – არადა, საბურავი გამოუცვალეს; "წინ ის წავიდეს, ვისაც ყველაზე არიფი მანქანა ჰყავს," – აბა, მაგას ვინ იზამდა?!

მანქანების მიმართ გადაჭარბებულად ნაზ დამოკიდებულებაზე ავტომსვლელობის მონაწილენი თვითონაც დიდად ერთობოდნენ და დაუფარავად სარგებლობდნენ ერთმანეთის ამ სისუსტით.

ბათუმში გაჩერებულებს ხალხი შემოგვეხვია, მათ შორის - მრავალი ბავშვი. შემდეგ მობრძანდნენ პრესის წარმომადგენლები და ერთ-ერთი მანქანის მფლობელი კორესპონდენტ ქალბატონს ჯიპის წარმოშობის, ლენდ-ლიზის ხელშეკრულებისა და "ვილის ოვერლენდის რაინდთა კლუბის" ამბავს მოუყვა. დანარჩენები სერიოზული სახით განზე გადგნენ, თუმცა, ამ მოზრდილ კაცებს აშკარად ეტყობოდათ, შანსი რომ ჰქონოდათ, რამე პატარა საძაგლობას სიამოვნებით ჩაიდენდნენ.

შანსმაც არ დაახანა – ტაქსამ ჩამოიცუნცულა, ერთ-ერთი ჯიპის გარშემო თავმოყრილ ბავშვებში პატრონს ეძებდა. პაწაწინა ტაქსა იყო, როგორც წესია, მოკლე ფეხები ჰქონდა. უცებ ერთ-ერთმა "ჯიპმენმა" აღმოაჩინა, რომ ტაქსას მამაკაცური ღირსებაც ლამის მიწამდე სწვდებოდა და ინტერვიუთი გართულ მეგობარს დაუძახა, ბიჭო, ნახე, "კარდანი" ჩამოუვარდაო. იმას, ცხადია, სულ დაავიწყდა კორესპონდენტიცა და ოპერატორიც, ინტერვიუ ჩაშალა და გულგახეთქილი მიტრიალდა თავისი მანქანისკენ. და დაინახა ტაქსა. რეაქცია თავად წარმოიდგინეთ. ვშიშობ, რომ კორესპონდენტს ჯიპებიცა და მათი მფლობელებიც დღემდე ეჯავრება.

მანქანების მფლობელები გზად თავიანთი და კოლეგების გმირობის ამბებს ყვებოდნენ, ოღონდ მათ ნაამბობში გმირები იყვნენ არა მძღოლები, არამედ მათი მანქანები. მაგალითად, ორმოციან წლებში გადაღებულ სარეკლამო ფოტოსურათზე კაპიტოლიუმის კიბეზე ამავალი ჯიპია გამოსახული, და ერთ-ერთის მანქანას იგივე საქმე ჩაუდენია, ოღონდ თბილისის ცირკის კიბეზე და თანაც, გამოშვებიდან 50 წლის შემდეგ; ერთი ჯიპი ისეთი უღელტეხილით გადასულა საქართველოდან სომხეთში, რომელზედაც საცალფეხო ბილიკიც არა ჩანს, სომხეთის სოფელში ხალხს მოჩვენება ჰგონებია, და სხვა და სხვა.

ამ მანქანით მგზავრობა უდიდესი სიამოვნებაა, განსაკუთრებით, თუ წინ ზიხართ და საქარე მინა გადაწეულია. ზაფხულში უკეთესს ვერაფერს ინატრებთ! მთავარია, ჩემი შეცდომა არ მოგივიდეთ – მზის გულზე სასტიკად დავიწვი. მოგზაურობას ერთადერთი ნაკლი აქვს: მტვრისა და გამონაბოლქვისაგან არაფერი გიცავთ, ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრი ჩიოდა, ყურებში ნემსიყლაპიები შემიფრინდნენ და თმაში მერცხლის ბუდეებს ვპოულობო.

თუ ბათუმისკენ ფრთხილად მივდიოდით – მანქანების შესაძლებლობები მძღოლებს მაინც არ ჰქონდათ ბოლომდე გათვლილი – ჩვენი მგზავრობა უკანა გზაზე უკვე ავტომსვლელობა კი არა, ავტორბოლა იყო, ამ მანქანების მაქსიმალური სიჩქარე 120 კმ/სთ-ია. მოგზაურობის ბოლო ეპიზოდმა კი კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ჩვენი მთავარი გმირი, პატარა ჯიპი, უბრალო მანქანა არ არის, ცხოვრების წესის განმსაზღვრელია:

დაბნელებისას თბილისში შემოვედით. სამი მანქანით მოვუყვებოდით ვაჟა-ფშაველას გამზირს და უცებ დავინახეთ ჯიპი. სამხედრო ჯიპი, 60 წლისა, მაგრამ უცხო!

ჩვენმა სამმა ჯიპმა დროშების ფრიალით ალყაში მოაქცია "თანამოძმე". კაცები მანქანებიდან გადმოვიდნენ. ახალი ნაცნობი ავტომსვლელობის პოტენციური მონაწილე აღმოჩნდა, უბრალოდ, ვერ მოუცლია და ამ ამბავს ძალიან განიცდიდა. სამი მანქანის ეკიპაჟი გულდასმით ათვალიერებდა და სწავლობდა მის მანქანას, შემდეგ მოწონება გამოთქვეს, როგორც ჩანს, დაასკვნეს, ჩვენიანიაო, და შაბათ საღამოს დაპატიჟეს წვეულებაზე – ავტოგარბენის დროს გადაღებული ვიდეოფილმის სანახავად, სურათების დასათვალიერებლად, ლუდის დასალევად და, რაც მთავარია, ახალი მოგზაურობების დასაგეგმად.

ჩატარებულმა ავტომსვლელობამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ "ყოჩაღი მოხუცი ჯობს დამბლადაცემულ ახალგაზრდას", რომ ჯიპი ყოველთვის ჯიპია. მე კი ვეცდები, საქართველოში პირველი სამხედრო ჯიპის მფლობელი ქალი გავხდე – "ვილის ოვერლენდის რაინდები" აუცილებლად დამეხმარებიან, ნაწილებსაც შემომაშველებენ, და მერე საკუთარი მანქანით მივიღებ მონაწილეობას "ლენდ-ლიზის" 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ავტომსვლელობაში, იმავე მარშრუტით: თბილისი – ბათუმი – თბილისი.



თბილისი. გმირთა მოედანი



შესვენება

ბესო გულაშვილის ფოტოები

# "მე ბედნიერი ქალი ვარ, ძალიან ბედნიერი"

## უხალისოდ ამბობს ზემფირა

ვერა ნეფარიძე

**23 წლის ზემფირა რამაზანოვა სულ რაღაც სამიოდე წლის წინათ შეიჭრა რუსი (და არა მხოლოდ) მსმენელის ცხოვრებაში და ყველაფერი არია. იმის მიუხედავად, რომ აქვს იშვიათი ვოკალი, ყურადღებას იქცევს მისი ტექსტები, წერს განსხვავებულ მუსიკას და ა.შ. ზემფირა – ეს უფრო სოციალური მოვლენაა, ვიდრე მუსიკალური ღირებულება.**

პოსტსაბჭოთა რუსეთის შოუ-ბიზნესში მას Bad Girl-ის(ცუდი გოგო) კლასიფიკაცია მისცეს. ზემფირამდე პოპულარული ქალის სახე მხოლოდ ალა ბორისოვნა შეიძლებოდა ყოფილიყო; ჟანა აგუზაროვა უკვე ალტერნატივა იყო. ჭირვეულობა, თავშეუკავებლობა, სკანდალურობა მამაკაცისთვის ხომ უდიდეს მინუსად მიიჩნეოდა, ქალისთვის კი, ეს ყველაფერი საბოლოო სიკვდილის ტოლფასი იყო. სწორედ ასეთ პირობებში გამოანათა ახალი პოპულარული ქალის სახემ შორეული ბაშკირეთიდან. მას თითქმის ყველა საბაბი ჰქონდა, ყვითელი პრესის შეუცვლელი თემა ყოფილიყო. და ასეც არის: დღემდე ზემფირას შესახებ ყველაზე მრავალფეროვან ჭორებს თხზავენ.

თუ როგორია სინამდვილეში, ამის გასარკვევად, ალბათ, მისი შემოქმედების გაცნობაც საკმარისია. მე პირადად, დავრწმუნდი უცხო ადამიანებისა და ჟურნალისტებისადმი მისი სიძულვილის სიცრუეში. "სუბტროპიკი 2002"-ზე ზემფირას არც სკანდალურობით გამოუჩენია თავი.

ზემფირა ისეთია, 25 წლის ვარსკვლავს რომ შეეფერება. ზედმეტად არ ჩნდება საზოგადოებაში. პირველად ბათუმის სტადიონზე, საუნდ-ჩეკის დროს შევხვდი. "მერსედესიდან" ტუჩებში სიგარეტგაჩრილი, ძალიან ბიჭური მანერებით, სწრაფი ნაბიჯით, თითქმის სირბილით მიექანება სცენისკენ. აცვია თეთრი, მკრთალი წარწერებიანი მაისური; ველვეტის შარვალი, თეთრი ბოტასები. რა თქმა უნდა, სადად გამოიყურება. უკეთია მძივი და მარცხენა ცერა თითზე ვერცხლის ბეჭედი. დაახლოებით ნახევარ საათში ასწორებს ჟღერადობას, ინტერვიუმდე გადაათვალიერებს "24 საათს" და ძალიან ჩვეულებრივად მოდის დიალოგზე. ამის შემდეგ, არც ორიოდე ქართველ ფანს ტოვებს გულდაწყვეტილს, ზოგს ავტოგრაფს აძლევს, ერთ-ერთის მეგობარს ტელეფონზეც კი გაესაუბრება და როდესაც ეს უკანასკნელი არ იჯერებს, გაოგნებული ვარსკვლავი მხრებაჩეჩილი ტოვებს სცენას, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დასათვალიერებლად. მოგვიანებით კი, ქართველ ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე საკმაოდ უხალისოდ უმტკიცებს, რომ არის ბედნიერი ქალი. რას იზამ, ასეთია პოპულარულთა ხვედრი.

**- პირველ რიგში, როგორ გრძნობ თავს აქ?**

- რუსეთში ცივა, აქ – სიცხეა და ყველაფერი კარგადაა.

**- როგორია შენი შთაბეჭდილებები საქართველოზე? ალბათ, პირველად ხარ?**

- პირველად არა ვარ. დაახლოებით, ცამეტი წლის წინათ თბილისში ქალთა შორის იუნიორ კალათბურთელთა ტურნირზე ვიყავი. მაშინ თქვენთან მღელვარება იყო და ბაშკირეთის ნაკრების გარდა ყველა რეგიონის ნაკრებებმა თავი შეიკავა საქართველოში ჩამოსვლაზე. კარგად მახსოვს, მთელი კვირა ვეთამაშებოდით საქართველოს ნაკრებს.

**- საქართველო შენთვის მხოლოდ ამ მოგონებასთან ასოცირდება?**

- არა მარტო. ჩემთვის საქართველო ასოცირდება ღვინოსთან, ყურძენთან, გამარჯობასთან, ხაჭაპურთან – ბევრ რამესთან, - ილია მეორესთან.

**- არ შეგეშინდა საქართველოში ჩამოსვლის, ისევე როგორც Aphex Twin-ს?**

- ძნელია, შემაშინო ასეთი ცხელი გეოგრაფიული წერტილებით.

**- "სუბტროპიკი" თუ მოგეწონა?**

- მართალია, შეგვპირდნენ, რომ აქ ვნახავდით Aphex Twin-ს და ჩვენ უბრალოდ, გრიმიორები ვიქნებოდით... მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც არაჩვეულებრივია. წელს ძალიან ბევრ ფესტივალში მივიღეთ მონაწილეობა და თითქოს, საფესტივალო ჯგუფადაც ვიქეცით, რაც ჩვენ ძალიან მოგვწონს. რაც შეეხება "სუბტროპიკს", - ის, რომ არსებობს პოპულარული მუსიკის საღამოები, უკვე ძალიან კარგია; თუკი არის ახალგაზრდული განწყობა და ა. შ. – მით უკეთესი. სტადიონზე გამართული კონცერტი, მართალია, თავიდან არ მინახავს, მაგრამ რასაც დავესწარი, ჩემი აზრით, კარგი, ახალგაზრდული და სადღესასწაულო იყო. ბუნგალოშიც შევიარეთ, იქ მთელი ღამე უკრავდნენ, მხიარულობდნენ, - ძალიან კარგია ეს ყველაფერი. გუშინ, ვიკითხე, ნიშნავს რაიმეს ეს ფესტივალი საქართველოსთვის? და მიპასუხეს, რომ - კი, ეს დიდი ქართული დღესასწაულია, - ჩემთვის აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელი პასუხი იყო.

**- აქამდე თუ გქონია შეხება ქართველ შემსრულებლებთან?**

- მახსოვს, ბავშვობაში "მზიურის" ფირფიტა მქონდა, კარგი იყო. ვიცი მხოლოდ ისინი, ვისაც რუსეთში იცნობენ: გვერდწითელი, პავლიაშვილი. გუშინ ნინო ქათამაძე, თქვენი ჯენის ჯოპლინი გავიცანი. ძალიან კარგი ადამიანია. "სუბტროპიკის" მიხედვით თუ ვიმსჯელებ, საკმაოდ კარგად მიდის თქვენთან მუსიკალური ცხოვრება.

**- დარწმუნებული ხარ?**

- ყოველ შემთხვევაში, ჩვენზე ცუდად ნამდვილად არა.

**- გამოდის, რომ უკმაყოფილო ხარ?**

- რუსული რადიოს მოსმენა, უბრალოდ, შეუძლებელია.

**- რამდენად კრიტიკული ხარ სხვა შემსრულებლების მიმართ და საერთოდ, ვინ მოგწონს?**

- ბევრი მომწონს, უფრო სწორად, ვინც ნეხვს არ მღერის – ყველა.

**- და, ნეხვს რას უწოდებ?**

- როდესაც გამოდიან სამღერლად და არაფერი აქვთ სათქმელი. ამ დროს საერთოდ გაუგებარია, რატომ გამოდიან? როდესაც ვსაუბრობთ, მაშინაც კი უნდა ვგულისხმობდეთ რაიმეს და არა უბრალოდ ვაღებდეთ პირს და ვისროდეთ სიტყვებს. ყველა, ვინც მღერის და მის მიღმა რაიმეს გულისხმობს, მესიმპათიურება. ისე, ყველანაირ მუსიკას ვუსმენ, აბსოლუტურად ყველანაირს.

**- რამდენადაც ვიცი, განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვს საქველმოქმედო კონცერტების მიმართ. რატომ არ მონაწილეობ ხოლმე ასეთ ღონისძიებებში, ის ხომ ერთ-ერთი მიღებული და პოპულარული სარეკლამო ხერხია?**

- მკაფიოდ ვერ წარმომიდგენია სისტემა, სქემა, არ ვიცი როგორ კეთდება ისინი. და საერთოდ, ეჭვი მეპარება ზოგადი დევიზების გულწრფელობაში. ვიდრე დავუკრავ, უნდა დავრწმუნდე, რომ ფული დანიშნულების მიხედვით განაწილდება. ასე რომ, როდესაც ასეთ დეტალებში დავრწმუნდები, მაშინ ალბათ, მონაწილეობასაც მივიღებ.

**- რისი გეშინია ყველაზე მეტად?**

- არ შემიძლია, ინტერვიუში ასეთ შეკითხვებს ვუპასუხო. რა თქმა უნდა, არსებობს რაღაცეები, რისიც მეშინია და გიპასუხებდით კიდეც, მაგრამ ხმამაღლა რომ ვთქვა, ვიცი - ვიღაც-ვიღაცეები დამაშინებენ.

**- გამოდის, რომ საკმაოდ ფრთხილი ხარ...**

- შეიძლება.

**- ერთ-ერთ რადიო-ინტერვიუში ამბობ, რომ "პაპსავიჩკა" ხარ, და საერთოდ, დამაბნეველი პასუხები გახასიათებს.**

- "პაპსავიჩკა" (იცინის)? პერიოდულად ვცვლი ხოლმე პასუხებს შეკითხვებზე, იმიტომ რომ ჩემი კურიოზები კვალის დატოვებაშია. ყოველთვის მერევა ხოლმე – სინამდვილის დასაფარად ერთ დღეს სხვას ვამბობ, მეორე დღეს – სხვას. ჩემი აზრით, სინამდვილე მხოლოდ საჭირო ადამიანებმა უნდა იცოდნენ, მათ, ვისაც ეს ესმით.

**- როგორია შენი რეაქცია, როდესაც ალა პუგაჩოვას და ჟანა აგუზაროვას გადარებენ?**

- მე ალარანაირი რეაქცია არ მაქვს ამ ნიადაგზე. ვერანაირ საერთოს ვხედავ ჩვენს შორის. იმის მიუხედავად, რომ ამ ქალბატონებს დიდ პატივს ვცემ, მეჩვენება, რომ ჩვენ სხვადასხვა პლანეტებიდანაც კი ვართ.

**- ახალი კლიპი Бесконечность, შეიძლება გავიგოთ, როგორც საბჭოთა კავშირის ნოსტალგია?**

- იმდენად დიდი სსრკ გვქონდა, სიტყვა "უსასრულობა" ალბათ ჩემთვის სსრკ-თან უნდა ასოცირდებოდეს, არა? არა – გულწრფელად რომ გითხრათ, ეს სიმღერა სულ სხვა რამეზეა. და თუკი კლიპი გაქვთ მხედველობაში, ის ბალტიისპირელმა რეჟისორმა გადაიღო და ნამდვილად არ გულისხმობდა სსრკ-ს.

**- რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ საკუთარ კლიპებს? როგორც ამბობენ, კლიპების შექმნა ერთადერთია შენს შემოქმედებაში, რაშიც არ ერევი?**

- კლიპებს მთლიანად რეჟისორებს ვანდობ. ჩემი კლიპები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, იმიტომ რომ მათ სხვადასხვა ადამიანები აკეთებენ. მე მხოლოდ საბოლოო ვარიანტს ვუყურებ. თუკი კლიპი კარგია, მნიშვნელობა აღარ აქვს ჩემთვის, ძვირი დაჯდა თუ იაფი.

**- საკუთარის გარდა, ვისი კლიპები მოგწონთ?**

- ბევრის, ოღონდ, ცხადია არა რუსების.

**- მაგალითად?**

- თუნდაც, Placebo-ს. ძალიან ბევრია ისინი ევროპაში, ყველას ვერ დავასახელებ.

**- მოაგვარე პრესასთან ურთიერთობები?**

- ვერ გეტყვი... რატომღაც გავრცელდა აზრი, რომ ჟურნალისტებს ვერ ვიტან. პირიქით, ისინი ძალიანაც მიყვარს და საერთოდ, მუსიკოსი რომ არ გავმხდარიყავი, ჟურნალისტი ვიქნებოდი. ერთადერთი რაც მაღიზიანებს, ეს მათი არაპროფესიონალიზმია. უკანასკნელ დროს, ჟურნალებს საერთოდ არ ვკითხულობ. ძალიან ბევრი დეზინფორმაციაა იქ, და არა მხოლოდ ჩემთან დაკავშირებით, რისი წაკითხვაც ჩემთვის არაა საინტერესო. აი, მაგალითად, ვკითხულობ სტატიას და არც კი ვიცი, რამდენი პროცენტია შიგ ტყუილი და მაქვს ჩემი ვარიანტები, რომელიც ძირითადად, ექვსიდან ოთხმოც პროცენტამდე მერყეობს. არ ვიცი, საქართველოში როგორაა საქმე პერიოდულ გამოცემებთან დაკავშირებით, ჩვენთან მუსიკალური გაზეთები ყოველ ნაბიჯზე უვარგისი მასალებითაა გავსებული. ჩემი აზრით, ჟურნალისტი დაინტერესებული უნდა იყოს დიალოგით და არა ზოგადი შეკითხვა-პასუხებით. ხშირად სვამენ შეკითხვებს და პასუხს არც კი უსმენენ; მათ უბრალოდ, ჩამოწერილი შეკითხვები აქვთ და იმის გარდა, არაფერი აინტერესებთ. ისედაც ჟურნალების კითხვას დიდად არ ვარ მიჩვეული - პატარა რომ ვიყავი, დედა მათ ნაცვლად წიგნებს ყიდულობდა.

**- როგორი ტიპის ლიტერატურას ანიჭებ უპირატესობას?**

- აბსოლუტურად სხვადასხვანაირ წიგნებს ვკითხულობ.

**- გენატრება ხოლმე პალატა, სადაც პერიოდულად განმარტოვდებოდი და ისვენებდი?**

- არა, საავადმყოფოზე მეტად დედა მენატრება ხოლმე.

**- ძირითადად, სად წერ სიმღერებს?**

- სხვადასხვა ადგილებში, სადაც მომიხერხდება - იქ.

**- ძნელია პოპულარობა?**

- გააჩნია, როგორ გესმის. ძალიან მნიშვნელოვანია, პოპულარობას სერიოზულად არ მოეკიდო.

**- მაგრამ, ალბათ, ბევრი დადებითიც აქვს?**

- რა თქმა უნდა, შეიცვალა ჩემი სოციალური, და არა მხოლოდ სოციალური, მდგომარეობა.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ შენ ქალურ პრობლემებზე მღერი.**

- საერთოდ, არა მგონია, რომ პრობლემებზე ვმღერი. პრობლემებზე სხვა შემსრულებლები მღერიან, მე კი - სიყვარულზე.

**- და, ცოტა სევდიანად...**

- არ ვიცი. საქმე იმაშია, რომ როდესაც კარგ ხასიათზე ვარ, ვმხიარულობ, მიხარია; ცუდ ხასიათზე ყოფნისას ინსტრუმენტთან მიმყავს საკუთარი თავი.

**- მკაცრი ხარ?**

- ძალიან...ძალიან...

**- როგორია, იყო ძლიერი ქალი?**

- ნორმალური.

**- კიდევ თამაშობ კალათბურთს?**

- ახლა უფრო აზარტული გულშემატკივარი ვარ. დრო არ მყოფნის მოედნებისთვის.

**- კალათბურთის გარდა, სპორტის რომელი სახეობა გიტაცებს?**

- დიდ სიამოვნებას მანიჭებს ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი. ისე, საკმაოდ სპორტულად ვცხოვრობ: პრესს ვავარჯიშებ, ვცურავ.

**- მოასწარი ცურვა?**

- კონცერტამდე არა და წუხელ ჯგუფის წევრებთან ერთად მთელი ღამე ვიცურეთ შავ ზღვაში.

**- და წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ვის გულშემატკივრობდი?**

- ბრაზილიას.

**- ვისი ან რისი გწამს?**

- მეგობრების... და ა.შ.

**- რამდენად გაინტერესებს დასავლეთის მსმენელი?**

- ძალიან მაინტერესებს. მაგრამ, რა თქმა უნდა, რადგანაც რუსულად ვფიქრობ და ვწერ, უპირატესობას ყოველთვის რუს მსმენელს მივანიჭებ, იმიტომ რომ, მათ უფრო ესმით ჩემი და მისმენენ.

**- რუსეთში საკმაოდ ძველმოდურია, დაუკრა როკი. იქ ახლა ელექტრონული მუსიკის ბუმია, უფრო საინტერესოდ ეჩვენებათ უსმინონ მას. რას ფიქრობ ამაზე?**

- აი, ყველაფერი რასაც ელექტრონულ მუსიკაზე ვფიქრობ: ვინც ინსტრუმენტებზე უკრავს, ელექტრონულ მუსიკასაც გააკეთებს. იმისათვის, რომ სცენაზე ცოცხალი მუსიკა დაუკრა, ხუთი ადამიანი მაინც გჭირდება. სცენაზე ელექტრონული მუსიკის შესასრულებლად კი, ერთიც საკმარისია. პრობლემა იმაში ხომ არაა, რომ არ არის ის ხუთი, ვინც ერთად დაუკრავს?

**- რამდენადაც ვიცი, საკმაოდ ბევრ დროს უთმობ კომპიუტერული მუსიკის შექმნას**

- კი, ვზივარ ხოლმე და ვწერ რაღაცეებს. თვითკრიტიკული რომ არ ვიყო, ალბათ 94 ელექტრონული ნაკრები მექნებოდა გამოშვებული. მე ეს არ მომწონს. მე მომწონს, როდესაც ბევრი ადამიანი მონაწილეობს, ამ დროს, შესაბამისად ბევრი აზრი და იდეა ჩნდება და მარტოც არა ვარ.

**- თუ შეგიძლია გაიხსენო რაზე იყო შენი პირველი სიმღერა, რომელიც შვიდი წლისამ, დედასთან სამსახურში, ზეიმზე შეასრულე?**

- ოთხი-ხუთი წლიდან ვმღეროდი. ოთხი წლის ვიყავი, როდესაც ბაშკირეთის ადგილობრივ ტელე-არხზე ვიმღერე Жил на свете червячок, შემდეგ საბავშვო ბაღის მთელი ჩემი ჯგუფი უყურებდა ამას ტელევიზორში, აი, მაშინ მივხვდი, რომ "ვარსკვლავი" ვიყავი და სწორედ მაშინ ვიგრძენი ეს ყველაფერი.

**- შემოუთავაზებიათ კონცერტის გამართვა თბილისში?**

- არა და საერთოდ მიჭირს ასეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. მე უფრო მუსიკაზე ვარ პასუხისმგებელი.

**- როგორ ფიქრობ, რა უნდა გააკეთოს ქართველმა და რუსმა ხალხმა ურთიერთობების აღსადგენად?**

- და ჩვენ საკმაოდ თბილი ურთიერთობები გვაქვს. ურთიერთობები შეიძლება შეიცვალოს სადღაც, მაღალ ინსტანციებში. საქართველო ნაქებია სტუმართმოყვარეობით, რუსეთი კი – დიდი გულით. ჩემი აზრით, ჩვენ ყოველთვის გამოვნახავთ საერთოს.

**- რა დაგამახსოვრდებათ "სუბტროპიკიდან"?**

- წუხელ, ცხოვრებაში პირველად ვნახე ამდენი ვარსკვლავი. ვჭამეთ აჭარული ხაჭაპურები და წონაშიც მოვიმატეთ. ვიყავით ბოტანიკურ ბაღში; ახლა ჩანჩქერზე წასასვლელად ვემზადებით, ერთი სიტყვით, მთელი ბათუმი მოვიარეთ.

**- როგორია ჯგუფის უახლოესი გეგმები?**

- აქედან მივდივართ მოსკოვში, სადაც 2-3 დღე გავჩერდებით, შემდეგ ყირიმში კონცერტები გვაქვს. 26 აგვისტოს კი, 26 წლის ვხდები და ამ დროისათვის იმედია, მშობლიურ ქალაქში ვიქნები.



ზემფირა

ვერა ნეფარიძის ფოტო



კონცერტზე

ბესო გულაშვილის ფოტო



პრესკონფერენციაზე

ვერა ნეფარიძის ფოტო

სცენარების კონკურსი
http://www.internews.ge/geo/psa
"ინტერნიუსი" აცხადებს კონკურსს სოციალური რეკლამების საუკეთესო სცენარების გამოსავლენად
თემები: ტრეფიკინგი და არალეგალური მიგრაცია
შერჩეული იდეების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ პროექტის შემდგომ განხორციელებაში და დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიით
სრული ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ "ინტერნიუსის" ოფისში მისამართზე:
ჭავჭავაძის გამზირი 74, მე-6 სართული
ტელ.: 25-38-60, 25-38-61, 25-38-62
info@internews.ge
http://www.internews.ge/geo/psa
პროექტების "ინტერნიუსში" წარდგენის ბოლო ვადაა 2002 წლის 7 სექტემბერი


სატელეფონო კავშირი
8-07
www.online.ge

## ორშაბათი 19.08

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა 07.30 ჯუნგლების წიგნი 08.00 60 წუთი. ჩვენი ეზო 08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით" 09.50 ველური ბუნება 10.40 ცხოველთა ომები 11.10 სერიალი "ოცნების კოშკები" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 "ლუისი და კლარკი" 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.20 ცხოველთა ომები 18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები" 19.15 სასამართლო დარბაზი 19.50 სერიალი "ოცნების კოშკები" 22.00 "კომუნიკატორი" 22.50 კურიერი 00.05 მხ.ფილმი "მეწამული მდინარეები" მთ.როლებში ჟან რენო, ვინსენტ კასელი

### პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.10 "წყვილები და დუეტები" 08.35 სერიალი "მარკო პოლო" 09.20 მულტფილმი "შავი მეკობრე" 10.10 სერიალი "ძილის წინ" 10.25 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ველური ბუნება" 11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი" 12.15 მხ. ფილმი "რომ იცოდეთ" 14.00 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ესპანეთი - კორეა (განმეორებითი ჩვენება) 15715 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ესპანეთი - კორეა (განმეორებითი ჩვენება) 17.00 საკვირაო გამოფენა 17.15 50-50 18.00 "ვესტნიკი" 18.20 სერიალი "გოგონები ქარში" 19.00 ვიდეოპატრული 19.10 ენერგია 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი "ფსიქფაქტორი" 21.45 "ტელე-სინე-ვიდეო" 22.20 მხ. ფილმი "შეხვედრა მთაში" 23.35 სერიალი "ძილის წინ" 00.10 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე" 00.30 სერიალი "მარკო პოლო"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 იყო და არა იყო რა 19.30 მხ. ფილმი "დედა" 21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის" 22.10 მხ. ფილმი "მისტერ ჰოლანდის ოპუსი"

### ევრიკა

08 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15, 18.30 მულტფილმი 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.30 მხ. ფილმი "მხიარული აღდგომა" 14.30 დოკ. ფილმი "თანამედროვე ევროპა" 19.30 ექსტრაორდინალური 20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი 20.40 პირველი ნაბიჯები 21.30, 00.15 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი "მთრთოლვარე გულები"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.40, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "დაუმტვრიე ძვლები" 10.20 მხ.ფ. "ოცნება რიზონა" 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები" 18.45 ბუნების ფერები 19.30 ბურთი და მოედანი 20.00 მხ.ფ. "სიყვარულის ფურცელი" 22.15 მხ.ფ. "ტკბილი ნოემბერი" 00.30 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

08.05 Сериал "Правда о птицах" 09.00, 11.00, 15.00 Новости. 09.10 Армейский магазин 09.40, 14.30 Дисней-клуб 10.05 сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО" 11.10 Непутевые заметки с Дм. Крыловым 11.30 Пока все дома. 12.05 х.ф. "ДАВАЙ ПОЖЕНИМСЯ" 13.45 Ералаш 14.00 Тайны забытых побед. "Укращение "Сатаны" 15.10 Живая природа 16.10 х.ф. "БЕГЛЕЦ" 17.05 "Большие родители" 17.35 "Сами с усами" 18.05 Концерт "Песни для любимых" 20.05 х.ф. "БЛЭК ДЖЕК" 22.00 Время 22.30 х.ф. "ПАКА ТЫ СПАЛ" 00.25 "На футболе" с Виктором Гусевым 00.55 х.ф. "ГОД ОПАСНОЙ ЖИЗНИ"

### РТР

07.35 Фильм "СДАЕТСЯ КВАРТИРА С РЕБЕНКОМ" 08.55 "ПОВЕЛИТЕЛЬ ЗВЕРЕЙ" 09.50 Русское лото 10.40 "ТВ - Бинго шоу" 11.10 Церемония вручения национальной премии "Циркь - 2002" 11.55 Сам себе режиссер 12.50 "Городок" 13.20 х.ф. "ГДЕ НАХОДИТСЯ НОФЕЛЕТ?" 15.00, 21.00 Вести. 15.20 Док. фильм 16.05 "Диалоги о животных" 17.00 Премиера "Два рояля" 18.05 "Комната смеха" 19.00 Фильм "РАЙСКОЕ ЯБЛОЧКО" 21.25 "Обратная сторона. Чужие" 22.00 Аншлаг 23.00 Фильм "ПРАВИЛА БОЯ" 01.30 "ТВИН-ПИКС" 02.35 Спорт за неделюы

### НТВ

08.05 Ох уж эти дети 08.30 "Star старт". Воскресное развлекательное шоу. 09.00, 11.00, 17.00, 20.00 Сегодня. 09.15 "СВОЙ СРЕДИ ЧУЖИХ, ЧУЖОЙ СРЕДИ СВОИХ" 11.20 Детектив "ОХОТА НА ЗОЛУШКУ". 12.20 "Растительная жизнь". 13.25 "ТАНЦПЛОЩАДКА" Вкусные истории. 15.30 Служба спасения. 16.05 Своя игра. 17.30 Ток-шоу "Принцип домино". 18.35 "Очная ставка". 19.05 "Шоу Елены Степаненко". Юмористическая программа. 20.30 Сериал "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА" 21.35 "ОСЕНЬ В НЬЮ-ЙОРКЕ". (США). 23.45 "СМЕРТЕЛЬНАЯ ВСПЫШКА" 02.05 Бритни спирс и "БИ-2" в музыкально-развлекательной программе "Пепси-чарт".

ფეხბურთი

## სფფ-ს ყრილობას ფიფა-ს წარმომადგენელი დაესწრება

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფიფა-დან ფაქსით ოფიციალური შეტყობინება მიიღო 24 აგვისტოს ყრილობაზე ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის ოფიციალური წარმომადგენლის დასწრების თაობაზე. თბილისში ჩამოდის ფიფა-ს წარმომადგენელი, ბოსნია-ჰერცეგოვინელი დოქტორი, მეჰმედ სპაჰო, რომელიც ყრილობას დაესწრება და 25 აგვისტოს უკან, ვენაში დაბრუნდება.

## ჩივაძე ნაკრების არასრულ შემადგენლობას ასახელებს

შეგახსენებთ, რომ 21 აგვისტოს ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდი ტრაბზონში ამხანაგურ შეხვედრას გამართავს მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორთან - თურქეთის ნაკრებთან. მთავარ მწვრთნელს ალექსანდრე ჩივაძეს, ამ მატჩში მონაწილეობის მისაღებად, ჯერჯერობით, 12 ფეხბურთელი ჰყავს შერჩეული. ეს ფეხბურთელები არიან: *ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ალექსანდრე იაშვილი (სამივე "ფრაიბურგი"), ედიკ საჯაია (მოსკოვის "ტორპედო"), გელა შეყილაძე ("ლიერსი"), გიორგი ნემსაძე ("დანდი"), გოჩა ჯამარაული (დონეცკის "მეტალურგი"), გიორგი ქინქლაძე ("დერბი ქაუნთი"), შოთა არველაძე ("გლაზგო რეინჯერსი"), გიორგი დემეტრაძე ("ალანია"), გოგა გახოკიძე ("ეინდჰოვენი"), მამია ჯიქია ("რუხი").*

კახა კალაძე ამ სიაში იმიტომ არ არის, რომ იგი თავად აცხადებს საქართველოს ნაკრებში თამაშზე უარს, სანამ მისი გატაცებული ძმის, ლევან კალაძის საკითხი არ გაირკვევა.

ალექსანდრე ჩივაძე სრულ შემადგენლობას 18 აგვისტოს, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურის დასრულების შემდეგ დაასახელებს.

## საქართველოსთან მატჩის წინ შაპუიზა ნაკრებს უბრუნდება

8 სექტემბერს, ბაზელში, საქართველოს ეროვნული ნაკრები შვეიცარიის ნაკრებს შეხვდება. ეს მატჩი ჩვენი გუნდისთვის 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრა იქნება.

21 აგვისტოს, მაშინ, როდესაც საქართველოს ნაკრები ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს თურქეთის წინააღმდეგ, ჩვენი მომავალი მეტოქე, შვეიცარიის ნაკრები, ავსტრიის ეროვნულ გუნდს ხვდება.

აღსანიშნავია, რომ შვეიცარიელები, ისევე როგორც საქართველოს გუნდს, ავსტრიელებსაც ქალაქ ბაზელში ეთამაშებიან. რაც სავსებით გასაგებია, რადგან შვეიცარიის ნაკრებისათვის ეს გენერალური რეპეტიცია იქნება საქართველოსთან შეხვედრის წინ.

ქართველი გულშემატკივრისათვის საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ ავსტრიელებთან მატჩში შვეიცარელთა მწვრთნელმა კობი კუნმა ნაკრებში კვლავ უხმო გუნდის ვეტერანს სტეფან შაპუიზას. კუნსა და შაპუიზას შორის გასული წლის სექტემბერში კონფლიქტი მოხდა, რის გამოც ფეხბურთელმა ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა. ახლა კი, დორტმუნდის "ბორუსიას" ყოფილი თავდამსხმელი ნაკრებს უბრუნდება და სავარაუდოა, რომ საქართველოს წინააღმდეგ მატჩშიც მიიღოს მონაწილეობა.

ამჟამად 33 წლის შაპუიზა ბერნის "იანგ ბოიზის" ღირსებას იცავს.

შაპუიზასგან განსხვავებით, კუნმა კვლავ უყურადღებოდ დატოვა ნაკრების კიდევ ერთი ვეტერანი ჩირიაკო სფორცა, რომელმაც, სულ ცოტა ხნის წინათ, მიატოვა მიუნხენის "ბაიერნი" და თავის ყოფილ კლუბს, "კაიზერსლაუტერნს" დაუბრუნდა.

## „ბარსელონას„ ჟარდელი სურს

კატალონიური "ბარსელონა", როგორც ჩანს, სერიოზულადაა დაინტერესებული ლისაბონის "სპორტინგის" ბრაზილიელი თავდამსხმელის, მარიო ჟარდელის შეძენით.

უკანასკნელი სეზონის ევროპის საუკეთესო ბომბარდირის მენეჯერმა, ხოსე ვეიგამ განაცხადა, რომ კატალონიური კლუბი მუდმივად აწარმოებს მოლაპარაკებას პორტუგალიელებთან და "სპორტინგს", ჟარდელის სანაცვლოდ, 6 მილიონ ევროს სთავაზობს.

ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩში მილანის "ინტერის" წინააღმდეგ (0:0), ჟარდელს "სპორტინგის" შემადგენლობაში არ უთამაშია. საქმე ისაა, რომ ფეხბურთელი, მძიმე დეპრესიის გამო, ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობს. ჟარდელის ფსიქოლოგიური პრობლემები მეგობარ გოგონასთან, ყოფილ ტოპ-მოდელ კარენ რიბეირასთან განშორებით არის გამოწვეული.

თერაპიის კურსების დაწყებამდე, 24 წლის თავდამსხმელმა "სპორტინგის" ხელმძღვანელობას სთხოვა კონტრაქტის გაუქმება, რომელიც არ დააკმაყოფილეს.

პორტუგალიაში გავრცელდა ჭორები, თითქოს, ჟარდელმა ავადმყოფობა მხოლოდ იმისათვის მოიმიზეზა, რომ "ბარსელონაში" უპრობლემოდ გადასულიყო.

# ვინ ვართ ჩვენ?

### ვის ემორჩილება ფეხბურთის ფედერაცია, ფიფა-ს თუ საქართველოს კანონმდებლობას?

პაატა თოთაძე

"ჩვენ არა ვართ არასრულფასოვანი ქვეყანა და ერი, ჩვენ ვცხოვრობთ სამართლებრივ სახელმწიფოში და მოვიქცევით ჩვენი სამართლისა და კანონმდებლობის შესაბამისად. ფიფა-ს თანამშრომლის წერილს, რომელიც ორაზროვანია და რეკომენდაციის ხასიათს ატარებს, ქართულ სამართალზე მეტი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ", - ასეთი შეფასება მისცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობისადმი გამოგზავნილ ვინსენ მონიეს მეორე წერილს ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის, დავით პეტრიაშვილის ადვოკატმა კახა ებრალიძემ. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ თავად მონიე ვინ არის? საქმე ისაა, რომ ის ბევრისთვის ნაციონალური ასოციაციების თავმჯდომარესთან ასოცირდება, თავმჯდომარე კი ვიაჩესლავ კოლოსკოვია. თავად მონიე კი, ებრალიძის თქმით, სავარაუდოდ, ამავე აპარატის უფროსია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წერილი ამ ერთი კვირის განმავლობაში ორჯერ მოვიდა. საინტერესოა, რისთვის დასჭირდა ფიფა-ს თავისი პოზიციის ხელმეორედ დაფიქსირება? ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელობის თქმით, ამის მიზეზია იმ წერილების ნაკადი, რომელიც საქართველოდან იგზავნება. ამ ფაქტს ვერც პეტრიაშვილის შტაბი უარყოფს, მეტიც, ებრალიძის თქმით, მან პირადად გაუგზავნა ხუთი კითხვა მონიეს, რომელზეც ვერც მეორე წერილში მიიღო პასუხები.

"ფიფა ამბობს, რომ აღმასკომის გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ფედერაციის წესდებას, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ აღმასკომი ფედერაცის წესდების საწინააღმდეგოდ მოქმედებს? წესდების



*კახა ებრალიძე*

მიხედვით, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ სუბიექტებს. ჩვენი სამართლის მიხედვით კი, თითო სუბიექტს თითო ხმის უფლება აქვს", - ამბობს ებრალიძე. ბუნებრივია, ამასთან დაკავშირებით, ფედერაციის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას თავისი მოსაზრება გააჩნია. "არანაირი წესდების დარღვევა არ ხდება. ფიფა-ს ახალ წესდებაშიც კი, რომელსაც ორგანიზა-



*მერაბ ჟორდანია*

ცია უახლოეს ხანში მიიღებს, წერია, რომ ფედერაციას თავად შეუძლია, საჭიროებისამებრ, სუბიექტებს შორის გაანაწილოს ხმები. მონიეს წერილშიც მითითებულია, რომ ფიფა არ აწესებს მკაცრ მითითებებს ყრილობის წევრთა შორის მანდატების განაწილების მიმართ", - ასეთია მერაბ ჟორდანიას აზრი. მისივე თქმით, ფედერაცია უპირობოდ შეასრულებს ფიფა-ს დირექტივას. რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებას, ჟორდანია იმედოვნებს, რომ გადაწყვეტილება შეიცვლება.

როგორ ჩატარდება არჩევნები, ამას მალე შევიტყობთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ არჩევნები აღმასკომის გადაწყვეტილებისამებრ ჩატარდება, პეტრიაშვილის შტაბი არ აპირებს უმოქმედობას. "თუ ყრილობა აღმასკომის გადაწყვეტილების შესაბამისად მაინც ჩატარდა, ბათილად გამოცხადდება. კიდევ ვიმეორებ, ჩვენ ვემორჩილებით საქართველოს კანონმდებლობას. მაგალითი საკრებულოს არჩევნებია, მისი საკითხი ჯერაც არაა გადაწყვეტილი. ასეთ შემთხვევაში, ფიფა ყრილობის შედეგებს ვერ აღიარებს, რამეთუ ხალხი, რომელიც ახლა ჩვენ გველაპარაკება, არ არიან ისინი, ვინც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს. ფიფა ცდილობს, მოხსნას დაძაბულობა, მაგრამ ასეთი წერილებით არაფერი შეიცვლება, რამეთუ ჩვენ არ ვართ უღირსი ერი, უღირსი ქვეყანა. ჩვენ ვართ სამართლებრივი ქვეყანა და ამ სამართლებრივ წესებს გავიტანთ", - დარწმუნებულია ებრალიძე.

მოკლედ, 24 აგვისტოს დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი, თუმცა... "ბევრს ჰგონია კენჭისყრა დაძაბულად ჩაივლის და ყველა კანდიდატი ბოლომდე შერჩება არჩევნებს. ჩემი პროგნოზით, ჩვენი მოწინააღმდეგე მხარეები, უპირველესად, ეცდებიან ყრილობის ჩაშლას, ხოლო როცა დარწმუნდებიან, რომ ეს შეუძლებელია, ისინი ყრილობას კენჭისყრამდე დატოვებენ", - ძნელი სათქმელია, რა აძლევს ჟორდანიას ასეთი პროგნოზის გაკეთების საშუალებას, თუმცა, თავისი საქმისა თავად უკეთ იცის. როგორც ამბობენ, აღდგომა და ხვალეო, ყველაფერი 24 აგვისტოს გამოჩნდება.

# ფიფა-მ კიდევ ერთხელ გაგვაფრთხილა

გუშინ, სფფ-ს აღმასკომის მიერ ყრილობის ჩატარების დადგენილი წესის დაცვის მოთხოვნით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფიფა-დან მიიღო კიდევ ერთი შეტყობინება, რომელსაც ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ეროვნული ასოციაციების კომიტეტის ხელმძღვანელი, ვინსენტ მონიე აწერს ხელს. გთავაზობთ ამ შეტყობინების ნოტარიულად დამოწმებულ თარგმანს.

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, მერაბ ჟორდანიას*

*ციურიხი, 2002 წლის 15 აგვისტო*
*საგანი: 2002 წლის 24 აგვისტოს არჩევნები*

*პატივცემულო ბატონო,*

*ჩვენ მივიღეთ რამდენიმე წერილი და შეკითხვა ჩვენს მიერ 2002 წლის 8 აგვისტოს გამოგზავნილ ფაქსთან დაკავშირებით. გვსურს, განვმარტოთ შემდეგი საკითხები:*

*ზემოაღნიშნული წერილი ასახავს ფიფა-ს ოფიციალურ პოზიციას, რომელიც დაფიქსირდა უეფა-სთან მჭიდრო კონსულტაციების საფუძველზე.*

*მიგვაჩნია, რომ არჩევნები ორგანიზებული უნდა იქნას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდების შესაბამისად, რომელიც დაამტკიცა სფფ-ს ყრილობამ და ოფიციალურად გაატარა რეგისტრაციაში საქართველოს სასამართლომ. აღნიშნული წესდების თანახმად, სფფ-ს აღმასკომის გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა.*

*ფიფა არ გამოხატავს რაიმე მხარდაჭერას ყრილობაში მონაწილე და ხმის უფლების მქონე აღმასრულებელი ორგანოს წევრების მიმართ, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ეს პრინციპი გავავრცელოთ ჩვენი ყველა წევრის მიმართ, წევრ ქვეყნებში სპორტული გარემოს სხვადასხვაობის გამო. მიუხედავად ამისა, ფიფა დაჟინებით ურჩევს სფფ-ს, რომ, ამ მხრივ, შეცვალოს თავისი საწესდებო დებულებები.*

*ფიფა-ს პრინციპები არ აწესებს მკაცრ მითითებებს ყრილობის წევრთა შორის მანდატების განაწილების მიმართ. ეროვნულ ასოციაციებს შეუძლიათ გაანაწილონ მანდატები არსებული რეალობების გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, მოვითხოვთ, რომ ეს პრინციპი გამჭვირვალე იყოს. ეს აგრეთვე უნდა იყოს მთავარი თემა სფფ-ს წესდების ახალი ვარიანტის განხილვისას, რომლის მონიტორინგსაც ფიფა და უეფა 2002 წლის ბოლოსთვის დაიწყებენ.*

*და ბოლოს, ფიფა თხოვნით მიმართავს საქართველოს ფეხბურთის სფეროს ყველა წევრს, რომ გამოავლინონ თავიანთი ნება, რათა კიდევ უფრო არ გამწვავდეს არსებული სიტუაცია და გაითვალისწინონ, რომ სფფ-მ იკისრა ვალდებულება, შეიტანოს ცვლილებები თავის წესდებაში ფიფა-სა და უეფა-ს წესდებების შესაბამისად.*

*დიდი მადლობა ზემოაღნიშნულის მიმართ თქვენს მიერ გამოვლენილი ყურადღებისთვის.*

*პატივისცემით,*
*ვინსენტ მონიე,*
*ეროვნული ასოციაციების ხელმძღვანელი*

# ფეხბურთის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი

### "24 საათი" მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის არბიტრს ესაუბრა

ლაშა გელოვანი
ვინიპეგი, კანადა

**"პოლმა რომ თავი გადაიპარსოს და ჩემსავით გამოიყურებოდეს, იტალიაში ისეთივე მიმდევრები ეყოლებოდა, როგორიც მე მყავდა ინგლისში,"** – უთქვამს მსოფლიო ჩემპიონატის დროს იტალიელ მსაჯს პიერ ლუიჯი კოლინას ინგლისელი კოლეგის, პოლ გრემის შესახებ. მსაჯისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ გამოიყურება მოედანზე, თუმცა, შესახედაობა ვერაფერში წაადგებოდა გრემს, რომელმაც, ჩემპიონატის მონაწილე მსაჯებისა და ინსტრუქტორების შეფასებით, ფეხბურთის ამა წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაზე ცუდი მატჩი ჩაატარა.

## მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე ცუდი მატჩი

გრემმა **იტალია-ხორვატიის** მატჩი იმსაჯა, რომელიც დიდხანს არც ხორვატებს დაავიწყდებათ და არც იტალიელებს. მსაჯებმა იმ თამაშში იტალიელებს სამი გატანილი გოლიდან ორი არ ჩაუთვალეს და ხორვატებმაც იმარჯვეს - 2:1.

ეს თამაში ყველაზე მწარედ მის არბიტრებს, ინგლისელებს პოლ გრემს, ფილიპ შარპს და შვედ იენს ლარსენს დაამახსოვრდებათ. მატჩის ვიდეოჩანაწერს დიდი ანალიზი არ სჭირდებოდა იმის დასადგენად, რომ ვიერი 50-ე წუთზე გოლის გატანისას არ იყო თამაშგარე მდგომარეობაში და ინძაგიმაც, წესების დაურღვევლად, გოლი 92-ე წუთზე გაიტანა. მატჩისშემდგომ სხდომაზე ფიფა-ს მსაჯთა კომიტეტის წევრებმა ამ თამაშის მსაჯები მკაცრად გააკრიტიკეს და შინ გაისტუმრეს, მაგრამ ამით შეხვედრის დაფიქსირებულ შედეგს მაინც ვერაფერი ეშველა.

"24 საათმა" ჩემპიონატზე მსაჯობის შესახებ კომენტარი სთხოვა ფიფა-ს კანადელ თანამსაჯს ჰექტორ ვერგარას. ჰექტორმა 2002 წლის ჩემპიონატზე ყველაზე მეტი, ექვსი თამაში იმსაჯა (სხვა არც ერთ მსაჯს არ მიუღია მონაწილეობა ექვს მატჩში), მათ შორის ინგლისი-არგენტინა, ბრაზილია-ინგლისი და მცირე ფინალი. ჰექტორი რამდენჯერმე გახდა იმის მოწმე, თუ როგორ განიცადეს მსაჯებმა საკუთარი შეცდომები, როდესაც მატჩის გარჩევის დროს იხილეს ტელეეკრანზე: "*არასოდეს მინახავს მოზრდილი ადამიანები ასე მოშვებულიყვნენ და ყველაფრის ინტერესი დაეკარგოთ... ბავშვებზე ხომ არ ვსაუბრობთ, არამედ ზრდასრულ მამაკაცებზე... როდესაც ნახეს, თუ რა შეცდომები დაუშვეს, სირცხვილით თავს ვერ წევდნენ და ფეხებს ძლივს მიათრევდნენ.*"

**მცირე ფინალში** ვერგარას კოლეგამ, გვერდითმა მსაჯმა საუდის არაბეთიდან, ალი ალ თრაიფიმ პირველ ტაიმში კორეელებს ერთი გატანილი ბურთი არ ჩაუთვალა და თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. *"შესვენებაზე გასახდელში რომ შევედით, ტელევიზორი ჩართული იყო და კორეელმა ოპერატორებმა ეს ინციდენტი რამდენჯერმე გაიმეორეს; ცხადია, გოლის ავტორი თამაშგარე მდგომარეობაში არ იყო; ეს რომ ალი ალ თრაიფმა დაინახა, ძალიან შეწუხდა და ინერვიულა; მეორე ტაიმის სამსაჯოდ კი გავიდა, მაგრამ გეგონებოდა კაცი გამოცვალესო,"* – გაიხსენა კორეა-თურქეთის მატჩზე მსაჯის მიერ დაშვებული ყველაზე დიდი შეცდომა ჰექტორმა.

## კორეა პორტუგალიის, იტალიისა და ესპანეთის წინააღმდეგ

ფეხბურთის მიმომხილველებმა განსაკუთრებული ყურადღება მაინც კორეა-პორტუგალიის, კორეა-იტალიის და კორეა-ესპანეთის თამაშების მსაჯობაზე გაამახვილეს. ასეთი თეორიაც კი წარმოიშვა, თითქოსდა, ფიფა-ს და რაღაც სხვა ძალებს შეთქმულება მოეწყოს კორეას ნახევარფინალში გასაყვანად. ამგვარი თეორიების წარმოშობას ორი ძირითადი მიზეზი აქვს: 1) ფეხბურთის კომენტატორ-მიმომხილველებს ფეხბურთის წესებზე მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა აქვთ; 2) ასეთი თეორიები მეტად დრამატულად ჟღერს და მკითხველ-მაყურებლის ყურადღებას უფრო იზიდავს.

**კორეა-პორტუგალიის** მატჩი არგენტინელმა არბიტრმა, ანხელ სანჩესმა არცთუ ურიგოდ იმსაჯა; ყოველ შემთხვევაში, ისეთი შეცდომები არ დაუშვია, რომ თამაშის შედეგზე გავლენას მოახდენდა. სანჩესმა 27-ე წუთზე სამართლიანად გააძევა ჟოაო პინტუ, რომელმაც იმ დროისთვის რატომღაც გადაწყვიტა, თავისი მოწინააღმდეგისთვის ტაიკვანდოს რომელიღაც ილეთი ეჩვენებინა და თანაც - ორივე ფეხით. ჟოაო პინტუმ წითელი ბარათი რომ დაინახა, წიხლი მსაჯს უთავაზა მუცელში, რის გამოც ფიფა-მ ოთხთვიანი სრული, ორთვიანი ნაწილობრივი და ერთწლიანი პირობითი დისკვალიფიკაცია მისცა და 65 ათასი შვეიცარული ფრანკითაც დააჯარიმა.

როდესაც ეკვადორელმა ბაირონ მორენომ **იტალია-კორეას** მატჩის 103-ე წუთზე იტალიელი ტოტი მოედნიდან გააძევა, თავადვე მიხვდა, რომ ტაქტიკური შეცდომა დაუშვა. მორენომ ტოტის მეტოქის საჯარიმოში თაღლითობისთვის – აქაოდა, წამაქციეს და პენალტი დამინიშნეთო - მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და წითლით მოედნიდანაც გაისტუმრა. პრინციპში, მორენომ ტოტის სამართლიანად უჩვენა ყვითელი ბარათი და პირველ ტაიმშიც სამართლიანად გააფრთხილა მეტოქისთვის იდაყვის ჩარტყმისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ფეხბურთში ორი მინუსი ყოველთვის პლუსს არ იძლევა. როდესაც მორენომ დაინახა, რომ იტალიელმა ფეხბურთელმა მეტოქის საჯარიმოში უსირცხვილოდ "დაყვინთა", დაუყოვნებლივ დაუსტვინა და მაშინვე ინანა: როდესაც ინციდენტის ადგილისკენ გაემართა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ უილბლო მყვინთავი ტოტი იყო, რომელსაც უკვე ჰქონდა ერთი ყვითელი ბარათი. სასტვენის მიცემის შემდეგ კი მორენოს ჰქონდა თამაშის განახლების მხოლოდ ორი ვარიანტი: ან დაენიშნა პენალტი და ამით თაღლითი დაეჯილდოვებინა, ან კიდევ გაეფრთხილებინა ტოტი და ამით თამაშიდან გაეძევებინა *(ვინაიდან არტისტული ხრიკების გამოყენება პენალტის მოპოვებისთვის ტექნიკურად საჯარიმოთა სიას არ განეკუთვნება, მსაჯს ყვითელი ბარათის გარეშე თამაშის განახლება არ შეუძლია)*. მორენომ, რასაკვირველია, მეორე გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც ტექნიკურად სწორი იყო, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც ნაკლად ჩაეთვალა. კარგი მსაჯი ასეთ მატჩში და ამ დროს, ისეთ ფეხბურთელს, როგორიც ტოტია, უნიჭო მსახიობობისთვის მოედნიდან არ გააძევებდაო, – დაახლოებით ასე შეაფასეს ეს ინციდენტი ფიფა-ს მსაჯთა კომიტეტის ინსტრუქტორებმა.

**კორეა-ესპანეთის** მატჩიდან განსაკუთრებით იმ ინციდენტს განიხილავდნენ, როდესაც მეორე თანამსაჯმა, ტრინიდადელმა მაიკლ რაგუნათმა ალამი მაშინ ასწია, როცა ბურთი ზედ პირით ხაზზე დაეცა (ე. ი. თამაშიდან არ იყო გასული). ეგვიპტელმა მსაჯმა გამალ ღანდოვმა თამაში შეაჩერა, მაგრამ ესპანელმა ფეხბურთელმა მაინც ჩააწოდა და მისმა თანაგუნდელმა ბურთი კორეელთა ბადეში შეაგდო, მიუხედავად იმისა, რომ მეკარე და მცველები ამ დროისთვის უკვე იდგნენ და წინააღმდეგობას მეტოქეს აღარ უწევდნენ. გოლი, რასაკვირველია, არ ჩაითვალა.

მატჩისშემდგომ გარჩევაზე თანამსაჯმა თავისი გადაწყვეტილება ასე ახსნა: ბურთმა პირითი ხაზი ჰაერში მანამდე გადაკვეთა, სანამ ხაზზე დაეცემოდაო. ერთი მხრივ, ვიდეოჩანაწერიდანაც აშკარად ჩანს, თუ როგორ სწევს რაგუნათი ალამს თითქმის იმავე დროს, როდესაც ბურთი ხაზზე ეცემა. ეს შეიძლება იმაზე მიანიშნებდეს, რომ მან სიგნალის მიცემა მანამდე გადაწყვიტა, სანამ ბურთი ხაზზე დაეცემოდა. მეორე მხრივ, ადრეული ალამი იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ თანამსაჯი, ბურთის ტრაექტორიიდან გამომდინარე, ელოდა რომ ბურთი თამაშს დატოვებდა, შეცდომა დაუშვა და სიგნალი ნაადრევად მისცა. სამწუხაროდ, არ არსებობს ისეთი ვიდეოჩანაწერი, რომელიც პირდაპირ დაადასტურებდა ან უარყოფდა ტრინიდადელი თანამსაჯის ვერსიას. მართლა გადაკვეთა თუ არა ბურთმა პირითი ხაზი ჰაერში, დანამდვილებით არავინ იცის.

## მხოლოდ ერთი პროცენტი

მსაჯებმა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის სხვა მატჩებშიც დაუშვეს შეცდომები. მარტო თურქეთთან გამართულ ჯგუფურ მატჩში კორეელი მსაჯის ბრაზილიელთათვის ნაჩუქარი პენალტი რად ღირს. კარგია ის, რომ მსაჯთა მიერ ჩემპიონატზე მიღებულ გადაწყვეტილებათა ერთ პროცენტზე ნაკლები აღმოჩნდა მცდარი; ცუდია კი - ამ შეცდომებმა მატჩების საბოლოო შედეგებზე მოახდინა გავლენა.

ფიფა-ს მსაჯთა კომიტეტმა, მსოფლიო ჩემპიონატისთვის, 36 მსაჯი და 36 თანამსაჯი განსაკუთრებული ყურადღებით შეარჩია. მსაჯებს ოთხი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ, ყოველ თამაშსა და გადაწყვეტილებას უანალიზებდნენ, წელიწადში, სულ ცოტა, სამჯერ მაინც უმოწმებდნენ ფიზიკურ მომზადებას და საგანმანათლებლო სემინარებსაც უტარებდნენ.

თავად ჩემპიონატზე მსაჯებს თითო თამაშისთვის ოთხდღიანი ციკლი ჰქონდათ:

*პირველი დღე*: ფიზიკური ვარჯიში და მატჩისათვის თეორიული მომზადება;

*მეორე დღე*: მატჩის ადგილზე ჩასვლა და შეხვედრები მატჩის შემფასებელთან და კომისართან;

*მესამე დღე*: დილის მსუბუქი ვარჯიში, მსაჯთა ბრიგადის თათბირი და შემდეგ მატჩი;

*მეოთხე დღე*: მსაჯთა ბაზაზე დაბრუნება, აღდგენითი ვარჯიშები.

სამატჩო ციკლების გარეშეც მსაჯებს ყოველდღე ავარჯიშებდნენ როგორც ფიზიკურად, ასევე თეორიულად. მიუხედავად ამისა, მსაჯები ცუდ გადაწყვეტილებებსა თუ მატჩებს და, აქედან გამომდინარე, კრიტიკას მაინც ვერ გადაურჩნენ.

ფეხბურთი

# შეშლილი მისტერ კინი

ბრიტანეთის კუნძულების ცნობილმა ფეხბურთელმა, "მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანმა, როი კინმა წლევანდელი ზაფხული ნამდვილ ჯოჯოხეთად გადაიქცია. მას შემდეგ, რაც ირლანდიელმა ავტობიოგრაფიული წიგნი დაწერა, იგი გამუდმებით ადგილობრივი მასმედიის ყურადღების ცენტრშია. კინი ცნობილია თავისი პირდაპირი ხასიათითა და, ამავე დროს, დაუოკებელი ტემპერამენტით, რაც ფეხბურთელისთვის ხშირად სავალალო შედეგებით მთავრდება.

ასე მაგალითად, 31 წლის ნახევარმცველის ლოთობის რამდენიმეწლიანი ეპოპეის აღწერამ ბევრი ბრიტანული გამოცემის ტირაჟი გაზარდა. ბალადები ლოთობის შესახებ ბრიტანული ფეხბურთისთვის უცხო არ არის, მაგრამ მსმელი კინი თავისი კოლეგებისგან არა მარტო საიმედო თამაშით გამოირჩეოდა, არამედ იმითაც, რომ უკვე რამდენიმე წელია, ირლანდიელი მსოფლიოს საუკეთესო საყრდენი ნახევარმცველების ხუთეულში ხვდება.



როი კინი

REUTERS

ამ ღირსების წყალობით, ჩვენი გმირი სერ ალექს ფერგიუსონის გუნდის უმთავრესი ფიგურაა როგორც მინდორზე, ისე მის გარეთ. შედარებისთვის, "მანჩესტერ იუნაიტედის" სხვა ვარსკვლავები – დევიდ ბექჰემი და რაიან გიგზი, - შეიძლება, სარეკლამო კამპანიებისა და მშვენიერი ქალბატონების კერპები გამხდარიყვნენ, მაგრამ მხოლოდ კინს ჰქონდა უფლება, გასახდელში თანაგუნდელები ისეთი უცენზურო სიტყვებით ელანძღა, რომ მეორე ტაიმში მინდორზე სულ სხვა გუნდი გამოსულიყო.

მხოლოდ როი კინს შეეძლო, ჩემპიონთა ლიგის შარშანწინდელი ნახევარფინალის მტკივნეული მარცხის შემდეგ ჟურნალისტებისთვის განეცხადებინა, რომ ფეხბურთელთა უმეტესობა გუნდიდან გასაგდებია, რადგან "მინდორზე ზოგიერთი სიკვდილისთვის მზად არ არის".

მხოლოდ ირლანდიელს შეეძლო, საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე დევიდ ბექჰემისთვის ხმამაღლა ეთქვა, რომ მასნაკლებად ეფიქრა სარეკლამო კონტრაქტებსა თუ ხელფასის მომატებაზე და ფეხბურთისთვის მეტი ყურადღება დაეთმო და, ამ სიტყვების შემდეგ, დარჩენილიყო "მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტნად, რომელსაც აბსოლუტურად ენდობოდნენ მწვრთნელიც, ფეხბურთელებიც და "ოლდ ტრაფორდის" ტრიბუნებიც. თუმცა, თავისი დაუოკებელი ხასიათის გამო, როი კინს წლევანდელი ზაფხული ნამდვილ ჯოჯოხეთად გადაექცა. კორეა-იაპონიაში ფეხბურთელი ეროვნული ნაკრების კაპიტნის სამკლაურით უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე, სამი დღით ადრე, თავი ვერ შეიკავა და ირლანდიის ნაკრების მწვრთნელს მიკ მაკარტის, მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ, ყველაფერი პირში მიახალა.

მაკარტი ფერგიუსონი არ არის. მან შფოთის ამტეხი სამშობლოში გამოისტუმრა. ლიდერის გარეშე დარჩენილმა ირლანდიის ნაკრებმა კი რამდენიმე მინი-გმირობა ჩაიდინა და თავაწეული შინ დაბრუნდა. მისტერ კინი ამპარტავნობას კიდევ ერთხელ ემსხვერპლა. იგი საგაზეთო კარიკატურისტების საყვარელი პერსონაჟია.

თუმცა, აღმოჩნდა, რომ მთავარი უსიამოვნება მხოლოდ იწყებოდა. როგორც პრემიერლიგის ბევრმა ვარსკვლავმა, კინმაც ვერ გაუძლო ცდუნებას - გამოეცა ავტობიოგრაფიული წიგნი და ნაშრომი სენსაციებით შეელამაზებინა. წიგნი ფართო მკითხველისთვის ჯერ არ დაბეჭდილა, მაგრამ მისი ყველაზე საინტერესო ეპიზოდი ბრიტანულ პრესაში უკვე გამოქვეყნდა.

საქმე ეხება როი კინის აღიარებას, რომელმაც 2001 წელს განზრახ ტრავმა მიაყენა "მანჩესტერ სიტის" ნორვეგიელ ლეგიონერს, ალფ ინგე ჰოლანდს. დაზარალებული დღემდე მკურნალობს და ექიმების ვარაუდით, მინიმუმ ერთ ოპერაციას კიდევ საჭიროებს. ინციდენტი 1997 წელს დაიწყო, როცა ჰოლანდი "ლიდს იუნაიტედის" ღირსებას იცავდა. ერთ-ერთი კალენდარული მატჩის დროს, ნორვეგიელმა როი კინს ტრავმა მიაყენა. მსაჯმა წესების დამრღვევი სერიოზულად არ დასაჯა. ირლანდიელმა კი სამართლიანობის აღდგენა თვითონ გადაწყვიტა.

ოთხი წლის შემდეგ ჰოლანდი მინდორზე "მანჩესტერ სიტის" მაისურით გამოვიდა. კინმა, როგორც თვითონ ამბობს, დრო იხელთა და "გაკადნიერებულ" ნორვეგიელს სამაგიერო გადაუხადა. "ამ მომენტს ძალიან დიდხანს ველოდი. მას, დამსახურებისამებრ, ერთი მაგრად ვუთავაზე. მიიღე, გველო და არასოდეს გადამელობო წინ. გადაეცი შენს მეგობარ უეზერველს, რომ მასაც იგივე მოელის! – ასე აღწერა კინმა აღნიშნული ეპიზოდი, – მსაჯის გადაწყვეტილებას არც დაველოდე და პირდაპირ გასახდელს მივაშურე".

ამ ეპიზოდმა მკითხველებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ ირლანდიელი უფრო მეტს მოელოდა. "მანჩესტერ სიტიმ" პრეს-რელიზი გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამია, რომ აპირებს, როი კინს ის თანხა აანაზღაურებინოს, რაც ჰოლანდის მკურნალობას დასჭირდა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ კი ინციდენტის გამოძიება მოითხოვა, ოღონდ მას შემდეგ, როცა წიგნი ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება.

სამშაბათს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ოფიციალურ საიტზე გაჩნდა განცხადება: "ასოციაცია ინციდენტის გამოძიებას აპირებს. ის ვერ შეურიგდება განზრახ უხეშობას, რა დონის მატჩშიც არ უნდა მოხდეს იგი. ოფიციალური გამოძიების შედეგების მიხედვით, მისტერ კინის მიმართ შემოღებულია სანქციები".

როგორი იქნება ეს სანქციები, არავინ იცის. სავარაუდოდ, როი კინს ემუქრება ფულადი ჯარიმა და გარკვეული დროით დისკვალიფიკაცია, რომელიც ხანგრძლივი თუ აღმოჩნდა, ადვილი შესაძლებელია, ირლანდიელმა "მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტნის სამკლაური და, ამასთან, ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგოს.

## მანჩესტერს ბრაუნი გამოაკლდა

ინგლისური "მანჩესტერ იუნაიტედისთვის" უნგრულ "ზალაეგერსეგესთან" წარუმატებელი გამოდგა ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი. უსახელო მეტოქესთან წაგების გარდა (1:0), ინგლისელებს 22 წლის მცველი, ვეს ბრაუნი დაუშავდათ. გუშინ ფეხბურთელს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა და ფეხის მოტეხილობა დაუდგინდა. ექიმთა განცხადებით, მცველს გამოსაჯანმრთელებლად, დაახლოებით, შვიდირვა კვირა დასჭირდება.

## მომღერალი მარადონა

ისეთი არაორდინალური პიროვნებისგან, როგორიც დიეგო მარადონაა, გასაკვირი თითქოს არაფერი უნდა იყოს, მაგრამ...

ახლა არგენტინელმა მომღერლობაც მოინდომა და ორი დღის წინ დისკიც გამოუშვა. მარადონას არც ქველმოქმედება დავიწყნია - დისკის გაყიდვიდან შემოსული თანხა ბუენოს-აირესის ერთ-ერთ საავადმყოფოს გადაეცემა.

## ისევ ბიელსა

რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, არგენტინის ნაკრებს, მსოფლიო ჩემპიონატზე განცდილი ფიასკოს მიუხედავად, კვლავაც მარსელო ბიელსა გაწვრთნის. მწვრთნელმა გუშინ მოაწერა ხელი ახალ ოთხწლიან კონტრაქტს.

ბიელსა მომავალ კვირას პრესკონფერენციის მოწყობას აპირებს, სადაც ასევე ისაუბრებს მსოფლიო ჩემპიონატზე ნაკრების ფიასკოს შესახებ.

არგენტინაში ფედერაციის ასეთ გადაწყვეტილებას მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, თუმცა აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც ბიელსას კვლავაც ენდობიან. მათი აზრით, მუნდიალზე ნაკრების წარუმატებლობის მთავარი მიზეზი არა მწვრთნელი, არამედ ფეხბურთელები არიან. თუმცა, ყველაფერი მომავალ კვირას, ბიელსას პრესკონფერენციაზე გაირკვევა. მასზე უკეთ ხომ არავინ იცის, რა ვითარება იყო ნაკრებში მსოფლიო ჩემპიონატზე.

## კიგანი ფლაუერსს აბრუნებს

პრემიერლიგის დაწყებამდე, ცოტა ხნით ადრე, "მანჩესტერ სიტის" მწვრთნელი, კევინ კიგანი გამოუვალ მდგომარეობაშია. საქმე ისაა, რომ ვარჯიშისას, მძიმედ დაშავდა გუნდის მეკარე ნიკი ვივერი, პიტერ შმაიხელიც შეუძლოდაა. ასე რომ, გუნდი მეკარის გარეშე დარჩა, რადგან კიგანის თქმით, მესამე და მეოთხე მეკარეები ძალიან ახალგაზრდები და თან გამოუცდელები არიან.

ვითარების გამოსასწორებლად მწვრთნელი "ლესტერის" გოლკიპერს, ტიმ ფლაუერსს დაეკონტაქტა და "სიტიში" იჯარით გადასვლა შესთავაზა. რამდენადაც ცნობილია, გარიგების წინააღმდეგი არც ფლაუერსია. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, "მანჩესტერ სიტის" კარის დაცვა მომავალი სეზონში ფლაუერსს დაევალოს.

## გერმანიას ლინკე დაუბრუნდა

გუშინ გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, რუდი ფიოლერმა გამოაქვეყნა იმ ფეხბურთელების სია, რომლებიც ბულგარეთის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში მიიღებენ მონაწილეობას. ნაკრებიდან წასვლის თაობაზე, ცოტა ხნის წინ გაკეთებული განცხადების მიუხედავად, შემადგენლობაშია ტომას ლინკე. ამის მიზეზია ფეხბურთელსა და მწვრთნელს შორის წინა კვირას შემდგარი საუბარი. როგორც ჩანს, ფიოლერმა შეძლო ლინკეს დარწმუნება, არ დაესრულებინა სანაკრებო კარიერა.

# „ფენერბახჩე„ ლორანტს გაძევებას უპირებს, ერიკ გერეტსი შესაძლო შემცვლელია

სტამბულის "ფენერბახჩეს" გერმანელი მწვრთნელი, ვერნერ ლორანტი კრიტიკის ქვეშ მოექცა. ყველაფერი ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის გასვლითი მატჩის შემდეგ დაიწყო, როდესაც "ფენერბახჩე" როტერდამში ადგილობრივ "ფაიენოორდთან" დამარცხდა (0:1).

ლორანტს მოთამაშეებთან ურთიერთობაშიც ბევრი პრობლემა აქვს. გუნდი როტერდამიდან ოთხშაბათს, დილით, დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელებს თითქმის მთელი ღამის განმავლობაში მოუწიათ სტამბულამდე მგზავრობა და ძალიან დაიღალნენ, მწვრთნელმა გუნდის ვარჯიში იმავე დღეს, დილის 10.00 საათზე დანიშნა. "ფენერბახჩეს" მოთამაშეებმა ვარჯიშზე სასტიკი უარი განაცხადეს.

ფეხბურთელებთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, ლორანტმა თავისი გადაწყვეტილება შეცვალა და ვარჯიში 17.00 საათისათვის გადადო. ამ ინციდენტს, თურქეთში, მწვრთნელსა და გუნდს შორის ურთიერთობების დაძაბვად მიიჩნევენ. უმეტესობა ეჭვობს, რომ ორი კვირის შემდეგ, "ფაიენოორდის" წინააღმდეგ საშინაო მატჩში, ლორანტი კვლავ "ფენერბახჩეს" მწვრთნელის პოსტზე იქნება.

ვერნერ ლორანტი ყველაზე მძაფრად გააკრიტიკა გუნდის არგენტინელმა ლეგიონერმა, არიელ ორტეგანმა. ლორანტმა, როტერდამში, ორტეგა მხოლოდ მატჩის 75-ე წუთზე შეიყვანა მოედანზე. ამას წინ უძღოდა თურქეთის წლევანდელი ჩემპიონატის პირველი მატჩი "ტრაბზონსპორის" წინააღმდეგ (0:0), როდესაც არგენტინელი შეხვედრის პირველი ნახევრის დასრულებისთანავე შეცვალეს.

ორტეგა უკმაყოფილოა იმით, რომ ლორანტმა "ფაიენოორდის" წინააღმდეგ თავიდანვე არ ათამაშა, დორტმუნდის "ბორუსიადან" ახლად გადმოყვანილ მიროსლავ სტევიჩს კი ამის საშუალება მაშინ მისცა, როდესაც ორტეგამ "თავისი ახალი თანაგუნდელის სახელიც კი არ იცის".

ვერნერ ლორანტის წარუმატებლობის შემთხვევაში, "ფენერბახჩეს" მწვრთნელის პოსტზე, ასევე განიხილებოდა გერმანელი კრისტოფ დაუმის კანდიდატურა. უკანასკნელი ინფორმაციით, დაუმის გარდა, თურქები "ეინდჰოვენის" ყოფილ თავკაცთან, ბელგიელ ერიკ გერეტსთანაც აწარმოებენ მოლაპარაკებას.

## ვენეიბლზმა მარტინი გაუშვა

"36 წლის ვარ და ამისთანა რამ არ გამიგია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შეურაცხყოფაა", - ასე შეაფასა აწ უკვე "საუთჰემპტონის" მეკარემ, ნაიჯელ მარტინმა მისი ყოფილი გუნდის "ლიდსის" მოქმედება, რომელმაც ფეხბურთელი ისე გაყიდა, რომ მარტინმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

ჯერ კიდევ სეზონისწინა სამზადისის დაწყებამდე "ლიდსის" მწვრთნელმა, ტერი ვენეიბლზმა აგრძნობინა მარტინს, რომ უპირატესობას ახალგაზრდა რობინსონს და მილოშევიჩს ანიჭებდა, მაგრამ ასე მალე და იოლად თუ შეელეოდა კლუბი მის პირველ მეკარეს, მარტინს ნამდვილად არ წარმოედგინა.

და აი, გუშინ ვარჯიშიდან შინ მიბრუნებულმა მარტინმა ტელევიზიით შეიტყო, რომ მომავალ სეზონში მას არა "ლიდსის", არამედ "საუთჰემპტონის" კარის დაცვა უწევს. მეკარის სანაცვლოდ, "ლიდსმა" 2 მილიონი გირვანქა აიღო.

ცურვა

# რეკორდი რეკორდის წილ

ბიგა ბურასაშვილი

ოკეანის გაღმა კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდის დამხობა იშვიათობას არ წარმოადგენს. ცისფერ ბილიკებზე ამერიკელთა ბატონობა ყოველთვის თვალშისაცემი იყო. ერთადერთი, ვისაც მათი გამოწვევა შეუძლია, ავსტრალიელებია. ისინი ამჟამად წყნარი ოკეანის თამაშებისთვის, ამერიკელები კი ამ თამაშებამდე ფორტ ლაუდერდეილში მიმდინარე ამერიკის ჩემპიონატისთვის ემზადებიან. მორიგი რეკორდიც სწორედ იქ დაემხო. უჩვეულო ის იყო, რომ 400 მეტრზე კომპლექსური გაცურვისას ერთბაშად მსოფლიოს ორი საუკეთესო შედეგი დაფიქსირდა. თუმცა, ნამდვილი მსოფლიოს რეკორდსმენის სახელი და დიდება ერთს დარჩა. მაიკლ ფელპსისა და ერიკ ვენდტის პაექრობა მართლაც საინტერესოდ წარიმართა. ორივე მათგანმა თანამემამულე ტომ დოლანის მიერ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე დამყარებული მსოფლიოს რეკორდი – 4.11,16 - გააუმჯობესა. ვენდტმა დოლანის რეკორდი - 49 მეასედით, ხოლო ფელპსმა 67 მეასედი წამით გააუმჯობესა – 4.11,09.

"სასიამოვნო სანახაობა სულაც არ ყოფილა, თუ როგორ გართმევენ რეკორდს. მაგრამ, ფაქტია, რომ ისინი აქ სასეირნოდ არ ჩამოსულან,"- განაცხადა აწ უკვე ყოფილმა რეკორდსმენმა.

სხვათა შორის, 1994 წელს ტიმ დოლანმაც ამგვარი მიღწევით ისახელა თავი. სიდნეის ოლიმპიადაზე კი საკუთარი რეკორდის დამხობით ოლიმპიური ჩემპიონობაც იზეიმა. ახლა ერთბაშად ჩამოაქვეითეს.

რაც შეეხება ვენდტსა და ფელპს შორის ორთაბრძოლას, საწყის ბატერფლაისა და გულაღმა პაექრობისას, თავდაპირველად, ეს უკანასკნელი დაწინაურდა. 200 მეტრის შემდეგ მათ შორის სხვაობა სამი მეასედი წამი იყო. ვენდტმა კი უპირატესობა 350-ე მეტრზე ბრასით ასპარეზობისას მოიპოვა და აუზის კიდეს მასზე ადრეც შეეხო. აი, დასკვნით კროლში, მაშინ, როდესაც ჩემპიონისა თუ რეკორდსმენის ტიტულამდე ოციოდე მეტრი რჩებოდა, ფელპსმა იძალა და...

"ვიცოდი, რომ ყველაფერი ასე დამთავრდებოდა. მოვლენები ისე წარიმართა, რომ ვხვდებოდი, ჩვენს შორის რეკორდსმენი ის გახდებოდა, რომელიც პირველი დაასრულებდა ასპარეზობას,"- ამბობს ფელპსი.

იმავე აზრისაა მსოფლიოს მეორე უსწრაფესი მოცურავე ვენდტიც: "ვხვდებოდი, ვინც ჩემპიონი გახდებოდა, რეკორდსმენის ტიტულიც მას დარჩებოდა. მე მთელი ძალ-ღონე გამარჯვებისთვის გავიღე, მაგრამ აშკარაა, რომ იგი, ამჟამად, ამერიკის საუკეთესო მოცურავეა."



მაიკლ ფელპსი

ჩოგბურთი

**მონრეალი. კანადა. ქალები. ჰარდი. საპრიზო ფონდი 1 224 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი სერენა უილიამსი (აშშ). მესამე წრე.**

*ამელი მორესმო (საფრანგეთი, 7)* – ლაურა გრანვილი (იტალია) 7:6, 7:6

*დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 8)* – ამანდა კეტცერი (ს.აფრიკა) 6:1, 6:3

*ფაბიოლა ზულუაგა (კოლუმბია)* – ვირჯინია რუანო პასკალი (ესპანეთი) 6:3, 6:2

*ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 2)* – აი სუგიამა (იაპონია) 6:1, 7:5

*ელენა დოკიჩი (იუგოსლავია, 3)* – ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 1:6, 7:5, 6:1

*ბარბარა შეტი (ავსტრია)* – კიმ კლიისტერსი (ბელგია, 4) 6:4, 6:4

*ჟიუსტინ ენინი (ბელგია, 5)* -- ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 6:3, 7:6

*მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 6)* – კლარისა ფერნანდესი (არგენტინა) 6:4, 6:2

**ვაშინგტონი. აშშ. ვაჟები. ჰარდი. საპრიზო ფონდი 800 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ენდი როდიკი (აშშ). მესამე წრე.**

*ტომას ენკვისტი (შვედეთი, 7)* – ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) 6:3, 7:5

*ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია, 16)* – ენდი როდიკი (აშშ, 2) 6:4, 6:4

*იარკო ნიემინენი (ფინეთი, 8)* – ალექს კიმი (აშშ) 0:6, 6:4, 6:3

*ანდრე აგასი (აშშ, 1)* – ბრაიან ვახეილი (აშშ) 6:1, 7:6 (7:3)

*მარსელო რიოსი (ჩილე, 5)* – ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 6:1, 6:3

*ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 6)* – გილიერმო კორია (არგენტინა) 6:3, 7:5

*პარადორნ სრიშაფანი (ტაილანდი, 14)* – სიენგ შალკენი (ჰოლანდია, 3) 4:6, 6:2, 6:4

*ალექს კორაჩა (ესპანეთი, 4)* – კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:1, 6:1

**ინდიანაპოლისი. აშშ. ვაჟები. ჰარდი. საპრიზო ფონდი 800 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი პატრიკ რაფტერი (ავსტრალია). მესამე წრე.**

*რაინერ შუტლერი (გერმანია, 9)* – ქსავიე მალისი (ბელგია, 8) 6:3, 6:2

*ტომი ჰაასი (გერმანია, 3)* – მიშელ კრატოშვილი (შვეიცარია, 13) 4:6, 7:5, 6:1

*მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია)* – ტიმ ჰენმანი (დიდი ბრიტანეთი) ჰენმანმა თამაში შეწყვიტა

*გრეგ რუსედსკი (დიდი ბრიტანეთი, 14)* – ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 1) 7:6 (7:4), 6:4

*ანდრეი პაველი (რუმინეთი, 11)* -- ფელიქს მანტილია (ესპანეთი) 2:6, 6:4, 6:1

*არნო კლემანი (საფრანგეთი, 15)* – მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:3, 6:4

*სებასტიენ გროსჟანი (საფრანგეთი, 6)* – ნიკოლას კიფერი (გერმანია) 7:6 (7:4), 6:3

*არნო დი პასკუალე (საფრანგეთი)* -- ფაბრის სანტორო (საფრანგეთი, 16) 7:6 (7:5), 6:2

# პაფ დედი საზოგადოებრივ აზრს იკვლევს

ჰიპ-ჰოპის ცნობილი მომღერალი პაფ დედი ახალ ბიზნესში ჩაება. მას საკუთარი კომპანია აქვს, რომელიც საზოგადოებრივ აზრს იკვლევს. ეს კომპანია საზოგადოებრივი აზრის ყოველკვირეულ მიმოხილვას გამოაქვეყნებს სხვადასხვა თემაზე. გასულ კვირას ჰიპ-ჰოპის ვარსკვლავი ეროვნული ეკონომიკის პრობლემებით დაინტერესდა, მიმდინარე კვირას კი სოციოლოგიური კვლევის თემატიკა 11 სექტემბრის ტრაგიკულ მოვლენებს ეძღვნებოდა. როგორც პაფ დედის პარტნიორები ამბობენ, ის საკმაოდ მიზანდასახული პიროვნებაა და ტყუილუბრალოდ არაფერს აკეთებს. პაფ დედიმ ასეთი კომპანიის შექმნის საჭიროება დაინახა და გადაწყვიტა თავად მოეკიდა ხელი ამ საქმისთვის.

32 წლის პაფ დედის ხმის ჩამწერ სტუდიასთან, ორ რესტორანთან და კიდევ სხვა უძრავ ქონებასთან ერთად ახლა უკვე საკუთარი კომპანიაც აქვს. ამ წარმოებას ყოველწლიურად დაახლოებით 300 მილიონი დოლარი მოგება აქვს. ამას გარდა, პაფ დედიმ კინოშიც სცადა ბედი. ერთ-ერთი ჟურნალის ცნობით, მომღერლის წლიურმა შემოსავალმა დაახლოებით 50 მილიონ დოლარს მიაღწია.

მართალია, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა სრულიად ახალი და უცხო საქმიანობაა პაფ დედისთვის, მაგრამ მომღერალს ეს სრულებითაც არ აშინებს და საკმაოდ სერიოზული გეგმები აქვს.



პაფ დედი

REUTERS

# შემოსავლები სიკვდილის შემდეგ

როკ-ენ-როლის მეფე ელვის პრესლი, სიკვდილის შემდეგაც სოლიდურ თანხებს შოულობს. ჟურნალ Forbes-ის ცნობით, მომღერალი ცნობილი მიცვალებულებიდან პირველ პოზიციაზეა მათ შორის, ვისაც სიკვდილის შემდეგაც სერიოზული მოგებები აქვთ. პრესლის ანგარიშზეა 37 მილიონი დოლარი, რომელიც მან 2001 წლის ივნისის თვიდან 2002 წლის ივნისამდე გამოიმუშავა. შედარებისთვის რეიტინგის მიხედვით მესამე ადგილზეა ჯონ ლენონი - 20 მილიონი დოლარით, ტოლკიენი მე-7-ე ადგილს (12 მილიონი დოლარი) მერლინ მონრო კი მე-11-ე ადგილს ფლობს (7მილიონი დოლარი).

ეს ინფორმაცია დაზუსტებულია გარდაცვალებული პოპ-ვარსკვლავების კუთვნილი, ფირფიტების სუვენირების, წიგნების და სხვა პროდუქციის აუქციონებსა და სხვა ფორმით რეალიზაციის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით. შეგახსენებთ, რომ პრესლის სიმღერის A Little Less Conversation-ის რემიქსი, რომელიც ჰოლანდიელმა დი-ჯეიმ JXL-მა ჩაწერა, ივნისში ზედიზედ ოთხი კვირის მანძილზე ლიდერობდა. ამან პრესლის საშუალება მისცა, გარდაცვალებიდან 25 წლის შემდეგ "ბითლზისათვის" გაესწრო და მუსიკალურ რეიტინგში მე-18-ჯერ გასულიყო პირველ ადგილზე. მარტო ერთი კვირის განმავლობაში ბრიტანეთში ამ ჩანაწერით 250 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა. საერთო შემოსავალმა კი 4 მილიონი დოლარი შეადგინა.

გარდა პოპ-კულტურის წარმომადგენლებისა, Forbes-ის სიაშია ახლახან გარდაცვლილი გამოჩენილი ამერიკელი კარიკატურისტი ჩარლზ შულცი – სნუპის პერსონაჟის "მამა". იგი შემოსავლების მიხედვით პრესლის შემდეგ მეორე ადგილზეა და მის ანგარიშზე 28 მილიონი დოლარი ირიცხება. მეოთხე ადგილზე 20 მილიონი დოლარით ცნობილი ამერიკელი ავტომრბოლელი დეილ ერნჰარტია.

სიაში ასევე შევიდნენ: რეგეის მეფე ბობ მარლი 10 მილიონი დოლარით, ბრწყინვალე გიტარისტი ჯიმი ჰენდრიქსი, რომელიც ახლახან ყველა დროისა და ხალხის საუკეთესო ვირტუოზად აღიარეს, რეპერი თუფაქ შაკური და Grateful Dead-ის ლიდერი ჯერი გარსია. სიის შედგენის დროს შემოსავლების ის ნაწილი გაითვალისწინეს, რომელიც მხოლოდ გამოჩენილ ადამიანებს ეკუთვნოდათ.

# გვინეტ პელტროუ ცხოვრებას უკვე სხვაგვარად უყურებს

გვინეტ პელტროუს სექტემბერში 30 წელი უსრულდება, ამ თარიღს პოპულარული მსახიობი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. პელტროუ მიიჩნევს, რომ მის ცხოვრებაში ბოლო წლების განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, და გარკვეულწილად რაღაცრაღაცეების გადაფასების დროც დადგა. გვინეტ პელტროუ უკვე სხვაგვარად უყურებს ცხოვრებას: "ოცი წლის რომ ვიყავი, არაფერზე ვიხევდი უკან, უარს არაფერზე ვამბობდი, ნებისმიერ ფილმში მონაწილეობაზე ვაცხადებდი თანხმობას, იმიტომ რომ ან რეჟისორი მომწონდა, ან ფილმში ჩემი მეგობრები თამაშობდნენ,.." – ამბობს ახალგაზრდა მსახიობი.

ამიერიდან გვინეტ პელტროუ საკუთარი კარიერის გადასინჯვაზე იფიქრებს. ის აღარ მიიღებს ნებისმიერ შემოთავაზებას და მხოლოდ იმ რეჟისორებთან თანამშრომლობას აპირებს, რომლებიც მის სერიოზულ დაინტერესებას გამოიწვევენ. როგორც ცნობილია, პელტროუ იმ ვარსკვლავთა რიგს მიეკუთვნება, რომლებიც "ყოველთვის შიმშილს განიცდიან", და არასოდეს არიან თავინთი თავით კმაყოფილნი. პარტნიორები მას ასე ახასიათებენ: "გვინეტ პელტროუ რეპეტიციაზე ყოველთვის იმ მოწესრიგებული მოსწავლესავით მიდიოდა, რომელსაც საშინაო დავალება ხუთიანზე ჰქონდა მომზადებული, პელტროუ ყოველთვის მზად იყო, სერიოზულად ემუშავა ხასიათის, თანაც საკმაოდ რთული ხასიათის შექმნაზე."



გვინეტ პელტროუ

"ათიოდე წლის წინ მე სულ სხვაგვარად ვუდგებოდი ამა თუ იმ მოვლენას და უფრო რომანტიკულიც ვიყავი, ახლა ეს აღარ მოხდება, საკუთარ თავს იგნორირებას აღარასოდეს გავუკეთებ", - ამბობს პელტროუ, რომელმაც ამასწინათ ჟურნალ-გაზეთებში ცნობილი ადამიანების ისტორიების კითხვაც კი მიატოვა, აღარც პაპარაცებს აქცევს ყურადღებას და მომავალი კარიერისთვის სერიოზულ გეგმებს ადგენს.


## უმაღლესი განათლება
## დიდ ბრიტანეთში

**თუ ხართ დაინტერესებული ბრიტანულ უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მიღებით**

შედარებით დაბალ ფასებში

**დაგვიკავშირდით:**

- (899)-175381 26 აგვისტომდე
- ან პირდაპირ უნივერსიტეში
  29 აგვისტოს შემდეგ
  +441978293404

- ელ. ფოსტა: n.purcell@new.ac.uk

ორივე შემთხვევაში იკითხეთ ნელი პირსელი

www.newi.ac.uk



## წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


## TV პროგრამა 17 აგვისტო

### რუსთავი - 2

- 08.00 მუსიკა
- 09.00 კურიერი
- 10.00 პოლტერგეისტი
- 11.00 მულტსერიალი
- 12.30 სერიალი "ნიკიტა"
- 13.30 მხ.ფილმი
- 15.20 სიმფსონები
- 16.00 მხ. ფილმი
- 18.00, 00.00 კურიერი
- 18.20 რუსული ფილმი
- 20.00 ჯეოპოპი
- 21.00 კურიერი PS
- 22.00 ფსიქო. მხ.ფ. "მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები"
- 00.15 მხ.ფ. "ბრძოლის ველი - დედამიწა". მთ.როლებში ჯონ ტრავოლტა, ბარი პეპერი
- 02.00 ღამის ჯაზი

### პირველი არხი

- 08.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე
- 08.10 მულტსერიალი "შავი მეკობრე"
- 09.00 "მსოფლიოს ველური ბუნება"
- 09.55 "მხიარული კარუსელი"
- 10.20 დოკ. ფილმი "მეხუთე განზომილება"
- 10.45 "კვალი"
- 11.15 დავით აღმაშენებელი
- 12.15 "საწინდარი"
- 12.55 "შენ ხარ ვენახი"
- 13.20 "ენა დედაა ერისა"
- 13.40 "ზღვარი"
- 13.55 მულტფილმი "ჩექმებიანი კატა"
- 15.15 მხ. ტელეფილმი "ცარიელი სივრცე"
- 16.50 დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ"
- 17.45 სატ. სპექტაკლი "თეთრი დღე"
- 19.00 "ვესტნიკი"
- 19.40 "დროშა"
- 20.25 "ქიმერიონი"
- 21.10 ირმა სოხაძე დიდ საკონცერტო დარბაზში
- 23.00 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
- 23.20 მეალომანია
- 00.15 მხ. ფილმი "შიშველი მახა"

### მეორე არხი

- 19.00 იყო და არა იყო რა
- 19.30 მხ. ფილმი "ვეფხვის ისტორია"
- 21.20 დოკ. ფილმი
- 22.00 მხ. ფილმი "განსაწმენდელი"

### ევრიკა

- 10.00 მხ. ფილმი "გენიალური ჩვილები"
- 12.00 პროგრამა "სალონი"
- 13.30 ექიმი გვირჩევს
- 14.30 მუსიკა
- 15.00, 21.00 ვესტი
- 15.30 მულტფილმი "პრინცესა მონოკოკე"
- 17.30 თქვენი ადვოკატი
- 18.30 სერიალი "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" მე-12 სერია
- 19.30 ცეროდენა ვარსკვლავები
- 20.00 თინეიჯერი
- 21.25 ზერკალო
- 22.00 ...და ღმერთმა შექმნა ქალი
- 22.40 თეატრალური შეხვედრები
- 23.40 მსოფლიო სპორტი
- 00.40 მხ. ფილმი "მხიარული აღდგომა"

### იბერია

- 08.00 ანონსი, მულტფილმი
- 08.15 აღსავალი
- 08.20, 10.15, 10.45, 14.10, 17.20, 19.40, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
- 08.30 მხ.ფ. "კონდორის სამი დღე"
- 10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
- 10.25 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
- 10.50 მხ. ფილმი "გაძარცვა ინგლისურად"
- 13.10, 17.30 მულტფილმი
- 18.00 დოკუმენტური ფილმი
- 19.30 ჩანახატი
- 20.00 მხ.ფ. "სიყვარულის ცეკვა"
- 22.30 მხ. ფილმი "ველდოსიპედისტი"
- 00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

- 07.30 "ცხოვრება სიტყვაში"
- 10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
- 12.30 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
- 14.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
- 15.30 მხ. ფილმი
- 17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "როგორ გავხდე პრინცესა"
- 19.00 ქართული მუსიკა
- 19.30 ვიდეო-რადიო
- 21.00 ქართული ათეული
- 23.00 მუსიკა
- 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "იქს-ადამიანები"
- 01.50 "ღამურა" მხ.ფ. "ხანგრძლივი კოცნა ძილის წინ".
- 03.20 ნონ-სტოპი

### კავკასია

- 12.00 მხ. ფილმი "მარსის მოჩვენებები"
- 13.30 მხ. ფილმი "დიდი ფსონი"
- 15.15 მხ. ფილმი "გონება და გრძნობა"
- 17.15 მულტფილმი "ანასტასია"
- 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
- 19.20 მულტფილმი
- 21.00 მხ. ფილმი "ინტუიცია"
- 22.30 მხ.ფ. "რაბინი იაკობის თავგადასავალი"
- 00.20 მხ.ფ. "ბელა მაფია"

### მეცხრე არხი

- 09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
- 09.20 ლიმონი და ლიმონათი
- 09.35 მულტფილმი "შეჰრაზადა" 29-ე სერია
- 10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა"
- 11.20 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 29-ე სერია
- 11.45, 18.45, 00.20 მუსიკა
- 12.00 მხ. ფილმი "თქვენთან წერილია" მთ. როლებში ტომ ჰენკსი, მეგ რაიანი
- 14.00 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო"
- 14.45 მულტფილმი "ვარდისფერი პანტერა"
- 16.20 მხ. ფილმი "ფეხებით წინ"
- 17.45 დოკ. ფილმი "ინდური კინო"
- 18.50 მხ. ფილმი "ველური, ველური დასავლეთი". მთ. როლებში უილ სმიტი, კევინ კლაინი, კენეტ ბრანა

(continued)

- 21.10 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
- 22.05 მხ. ფილმი "ჩასაფრებული ვეფხვი, გარინდული დრაკონი". რეჟ. ანგ ლი
- 00.40 მხ.ფ. "რწმენის შენარჩუნებით" მთ. როლებში ბენ სტილერი, დევი დელფმანი

### აჭარის ტელევიზია

- 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
- 09.30 სათავგადასავლო ფილმი "უძილობა სიეტლში"
- 11.15 "ექსკლუზივი"
- 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
- 12.15 ქართული მხატვრული ფილმი
- 13.40 სათავგადასავლო ფილმი "შვიდი წელი ტიბეტში"
- 16.15 მულტფილმი "გასაოცარი გადარჩენა"
- 17.25 სათავგადასავლო ფილმი "გრაფი მონტე კრისტო" 1 ნაწილი
- 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
- 19.30 "პრესდაიჯესტი"
- 19.40 მხატვრული ფილმი "მოსკოვს ცრემლების არ სჯერა" 1 ნაწილი
- 20.45 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი
- 21.40 "ფოკუსი"
- 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
- 22.50 Слово
- 23.30 დოკუმენტური ფილმი
- 00.50 თრილერი "მორიდებული ჯაშუში"
- 03.30 მხატვრული ფილმი "ოქროს მტვერი"

### არხი

- 18.00, 21.45,23.00,01,55 ანონსი
- 18.05,21.50 ამინდის პროგნოზი
- 18.15 მუსიკალური ტაიმაუტი
- 18.25 "სახლიდან გაუსვლელად"
- 19.00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი.
- 19.45 "აჩიკუდა" (შესვენებისას)
- 19.55 "ბედნიერი ერი" (შესვენებისას)
- 21.00 რაგბი. 3 ერი. აფრიკა - ავსტრალია.
- 23.05 "სახლიდან გაუსვლელად"
- 23.40 "საყვარელი ფილმი" - "იმედის გაბრწყინება"
- 01.30 პრესის მიმოხილვა
- 01.45 "სახლიდან გაუსვლელად"
- 02.15 მუსიკალური ტაიმაუტი
- 02.50 პრესის მიმოხილვა.

### ОРТ

- 08.05 "Правдв о птицах"
- 09.00, 11.00, 15.00, 19.00 Новости.
- 09.10 "Играй, гармонь любимая!"
- 09.50 Слово пастыря.
- 10.05 сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО"
- 11.10 Смехопанорама Евгения Петросяна
- 11.45 Смак
- 12.05 "Кумиры"
- 12.35 х.ф. "НИКТО НЕ ХОЧЕТ УМЕРАТЬ"
- 14.30 Дисней-клуб
- 15.10 "Трагедия "Русского чуда"
- 15.40 "БЕГЛЕЦ"
- 16.30 "Жизнь замечатеьных людей"
- 17.00 "Ералаш"
- 17.15 х.ф. "ОСОБО ОПАСНЫЕ"
- 19.15 Концерт Валерии "Тлаза цвета неба"
- 19.55 Юмористическая программа
- 21.00 "Кто хочет стать миллионером?"
- 22.00 Время
- 22.30 х.ф. "ФРАНЦУЗСКИЙ ПОЦЕЛУЙ"
- 00.35 х.ф. "ИНФОРМАТОР"
- 02.30 Реальная музыка
- 03.00 х.ф. "ВЕЧНОСТЬ"

### РТР

- 07.30 х.ф. "СТАРЫЙ ЗНАКОМЫЙ"
- 09.00 Здоровье и жизнь
- 09.35 Золотой ключ.
- 09.55 Доброе утро, страна!
- 10.30 "Наука и техника"
- 11.25 "Вокруг света"
- 11.20 "100 к одному"
- 13.15 х.ф. "САМЫЙ ДУРАЦКИЙ КОРАБЛЬ В АРМИИ"
- 15.00, 21.00 Вести
- 15.20 х.ф. "КОЛЬЦО ИЗ АМСТЕРДАМА"
- 17.00 Футбол. Чемпионат России. "Ротор" - "ЦСКА"
- 19.00 Моя семья
- 19.55 Аншлаг
- 21.25 х.ф. "ВОЛК"
- 23.50 х.ф. "КОЛЕСО ЛЮБВИ"
- 01.30 Чемпионат мира по автогонкам в классе "Формула-1"
- 02.50 "ТВИН-ПИКС"

- 07.45 Анонс дня.
- 07.45 Детское утро на НТВ. "РАЗБУДИТЕ ЛЕНОЧКУ", "ЛЕНОЧКА И ВИНОГРАД".
- 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня.
- 09.10 Михаил Жаров и Людмила Целиковская в музыкальной комедии "ВОЗДУШНЫЙ ИЗВОЗЧИК".
- 10.25 Доктор Бранд. "Без рецепта".
- 11.20 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". "ШКОЛА "ПАУКА".
- 12.20 "Квартирный вопрос": "Спальня для молодых".
- 12.55 Вкусные истории.
- 13.25 Зинаида Шарко, Николай Волков и Лев Дуров в мелодраме "ЛУНОЙ БЫЛ ПОЛОН САД".
- 15.30 Путешествия натуралиста.
- 16.05 Своя игра.
- 17.25 Сериал "НЕИЗВЕСТНАЯ ПЛАНЕТА". "ШАМАНЫ - ПОВЕЛИТЕЛИ ДУХОВ".
- 18.20 Чистосердечное признание.
- 18.50 Андрей Макаревич. "Женский взгляд" Оксаны Пушкиной.
- 19.25 "Вы будете смеяться" Виктор Коклюшкин.
- 20.35 Амалия Мордвинова в детективе "ОХОТА НА ЗОЛУШКУ".
- 21.40 Эрик Робертс в боевике "ЛУЧШИЕ ИЗ ЛУЧШИХ". (США).
- 23.40 Профессиональный бокс. Супербой: Костя Цзю против Мигеля Гонзалеса.
- 00.40 Эротический детектив "ПОСЛЕДНЯЯ ТАТУИРОВКА".
- 02.35 Триллер "В ЗОНЕ".

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"